საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
30 აპრილი - 6 მაისი, 2014
№15 (250)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 ვის მიჰყავს კრახისკენ საქართველო და უკრაინა?



„ალასანიას დღესაც აქვს მყარი პოზიციები აშშ-ში, გარკვეული წრეები მხარს უჭერენ ან რატომ არ უნდა დაუჭირონ, ის ხომ მათი ყველა ბრძანების შესასრულებლად მზად არის?!“

## «ამერიკელების ყველაზე სანდო პირი ხელისუფლებაში ალასანიაა და დღეს ეს ადამიანი რომ ამბობს, «ნაციონალებს» ჩადენილი დანაშაული უნდა ვაპატიოთო, არა მხოლოდ მისი ფრაზა, არამედ ამერიკის სურვილის გახმაურებაცაა» 8

ყოფილი დიქტატორის ადვოკატები პროკურორის მანტიას ირგებენ



«ხელები შორს «დემოკრატიის შუქურისგან»!

## რაზე ესაუბრნენ ღარიბაშვილს ამერიკაში? გაითვალისწინებს თუ არა ამერიკელების რჩევებს და რას მოიმოქმედებს ახლო მომავალში? 6

«ეს რომ პატრიარქის შეურაცხყოფაა, ვერ ხვდებით?!»

## «ქართულ ოცნებას» წინასაარჩევნოდ რომ ეთქვა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს მივიღებო, რომელი ქართველი მოგცემდათ ხმას?!» 2



მამა დავითი (ლასურაშვილი):

## ანტიდისკრიმინაციული კანონის ამ სახით მიღება აუცილებლად გამოიწვევს არეულობას 3

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სასულიერო პირებმა კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს!




## ქართველებს ევროპიდან მასობრივი დეპორტაცია ემუქრებათ?!

**ევროპაში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს, საქართველო-ევროკავშირის შეთანხმების საფუძველზე, სამშობლოში დაბრუნება მოუწევთ.**

ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის — ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებას არ ექნება მასობრივი ხასიათი და ის ეტაპობრივად განხორციელდება. ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ევროპაში არალეგალურად მცხოვრებ ქართველებს საკონსულოები და საელჩოები მათთვის საჭირო ინფორმაციას მიაწვდიან და სიტუაციაში გაარკვევენ.




## თბილისში უცხოელმა 15 წლის ბიჭი გააუპატიურა

**29 აპრილს თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, უცხოელმა 15 წლის მოზარდი გააააუპატიურა. როგორც ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, დილის 8:00 საათზე 15 წლამდე ბიჭი ყვირილით შევარდა ერთ-ერთ სახლში და დახმარება ითხოვა.**

„დილის 8 საათი იქნებოდა, კარზე ბრახუნის ხმა გავიგეთ. გავაღეთ კარი, ატყდა წივილ-კივილი, იყო 15-16 წლის მოზარდი ბიჭი, თითქმის შიშველი, პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული და შველას ითხოვდა. რამდენიმე წუთში გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელიც მოვიდა და ბავშვის გაყვანას შეეცადა, თუმცა არ გავატანეთ. შემდეგ უცხოელმა ბავშვს ტანსაცმელი მიუტანა, — განაცხადა ზანდუკელის ქუჩის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომელსაც მოზარდმა უთხრა, რომ „გლდანის გამანაწილებელში“ ცხოვრობს, ხოლო უცხოელებს იმიტომ გაჰყვა, რომ სიგარეტს და საკვებს დაჰპირდნენ.

**ქართველმა სამართალდამცველებმა, 15 წლის მოზარდის გაუპატიურების ბრალდებით, ზანდუკელის ქუჩაზე, 1993 წელს დაბადებული ერაყელი დააკავეს...**

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ერაყელმა თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში არასრულწლოვანი ბიჭი მოტყუებით მიიყვანა, შემდეგ ძალის გამოყენებით მასთან სქესობრივი კონტაქტი დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე დააკავეს.

**იმ ბინაში, სადაც 15 წლის ბიჭი გააუპატიურეს, მოსახლეობა მივიდა და იქ მცხოვრებ უცხოელებს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდა.**

ბოლო ინფორმაციით, გაუპატიურების ბრალდებით დაპატიმრებულია ერაყის კიდევ ორი მოქალაქე.

## «ეს რომ პატრიარქის შეურაცხყოფაა, ვერ ხვდებით?!»

## «ქართულ ოცნებას» წინასაარჩევნოდ რომ ეთქვა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს მივიღებო, რომელი ქართველი მოგცემდათ ხმას?!

**საქართველოს პარლამენტის ბიუროს 29 აპრილის გადაწყვეტილებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დღის წესრიგში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონპროექტის განხილვის შეჩერებას საპატრიარქო ითხოვდა. ანტიდისკრიმინაციულ კანონს, სავარაუდოდ, 30 აპრილის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით უყრიან კენჭს.**

ანტიდისკრიმინაციული პაკეტის საფუძველზე პირდაპირ იკრძალება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია. კანონის მიზანია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანობა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ან სხვა ნიშნის მიუხედავად. კანონპროექტი კრძალავს დისკრიმინაციას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში.

აღსანიშნავია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტს კანონპროექტის განხილვის გადადების თხოვნით მიმართა — პატრიარქისთვის მიუღებელია წარმოდგენილი პროექტი.

**„ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში კონსტიტუციაში არარსებული ცნებების „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათა ღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად“, — აღნიშნულია პატრიარქის განცხადებაში.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოების აზრით, ეს კანონპროექტი ყველა რელიგიის მიერ აღიარებულ ძირითად თეორიას ეჭვქვეშ აყენებს. ეს კი, თავის მხრივ საზოგადოების ფართო ფენების დისკრიმინაციის საშიშროებას ქმნის.

29 აპრილს გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომა, რომელზეც ანტიდისკრიმინაციული კანონი მუხლობრივად განიხილეს. სხდომას ესწრებოდნენ სასულიერო პირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

— **რატომ უნდა შევასრულოთ ვიღაცის დირექტივა**?! — ამ შეკითხვით ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წევრებს სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა, **დეკანოზმა დავით ლასურაშვილმა** ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვისას მაშინ მიმართა, როცა დეპუტატებმა სასულიერო პირებს განუმარტეს, რომ აღნიშნული პაკეტის მიღება ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე ევროკავშირის მოთხოვნაა. როგორც დეკანოზმა აღნიშნა, დეპუტატები უნდა დაფიქრდნენ, ვიდრე ვიღაცის თითის დაქნევაზე იმოქმედებენ. „ამ კანონის მიღება იქნება შეურაცხყოფა ქართველი ერის, კულტურისა და ზნეობის. ჩემი, როგორც სასულიერო პირის, შეგონებად ჩათვალეთ, ოღონდ არა ჭკუის სწავლებად – გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ, ასეთი გამოთქმა არსებობს, მაგრამ, როცა ადამიანი პარლამენტარი ხდება, უნდა გაითვალისწინოს, რომ გმირობას მოსთხოვენ. **გმირობაა, როცა ბიძინა ივანიშვილი დაგიქნევთ თითს რომელიღაც შეკრებაზე, როდესაც ფულე დაგიქნევთ ხელს, როცა სხვები დაგიქნევენ ხელს და ყველაფერს მაინც ზნეობისა და ჩვენი კულტურის გათვალისწინებით გააკეთებთ**. რატომ უნდა შევასრულოთ ვიღაცის დირექტივები?! ასეთი კანონი არ მიუღია ევროკავშირის იმ ქვეყნებიდან არავის, რომლებიც ჩვენ რაღაცით, მათ შორის, სარწმუნოებით გვგავს. კვიპროსი და საბერძნეთი ისე მიიღეს ევროკავშირში, რომ ასეთი ნორმები არ მიუღიათ. მაინცდამაინც ჩვენ რატომ გვთხოვენ, გადავაბიჯოთ ტრადიციებს, რათა გავხდეთ ევროპის ოჯახის წევრი?! მე არ მინდა ოლანდის ევროპა!.. **ქალბატონმა თეა წულუკიანმა „აღმოჩენა“ გააკეთა, ისეთი ჯგუფები არსებობენ ეკლესიაში, პატრიარქის განცხადების ტონი და სულისკვეთება აღარ მიკვირსო** – დაახლოებით ასეთი იყო კონტექსტი. **ეს რომ პატრიარქის შეურაცხყოფაა, ვერ ხვდებით?!** თუ ეკლესიის პოზიციას ახალი ხელისუფლებაც არ გაითვალისწინებს, მე თქვენ ველარ მოგიხსენიებთ ლოცვებში!“ — განუცხადა დეკანოზმა დავით ლასურაშვილმა დეპუტატებს.

„ქართული ოცნების“ მწვავე კრიტიკით გამოვიდა დეკანოზი გიორგი რაზმაძეც, მან კანონპროექტს საშინელი უწოდა და განაცხადა, რომ ვინც მას ხელს მოაწერს, ყველა უზნეო იქნება. **„ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ რომ ეთქვა, ანტიდისკრიმინაციულ კანონს მივიღებო, რომელი ქართველი მოგცემდათ ხმას?!** — მიმართა დეკანოზმა გიორგი რაზმაძემ უმრავლესობის წევრებს. მან სხდომაზე მყოფ არასამთავრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოუწოდა, წავიდნენ სოდომ-გომორში, რომელსაც დღესაც ცეცხლი უკიდია. **„თქვენნაირი ხალხის ცოდვების გამო დაიწყო ეს ყველაფერი, ჭკუით იყავით, თქვენ ცოტა!“** — განაცხადა დეკანოზმა. სასულიერო პირებმა ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. როგორც საპატრიარქოს წარმომადგენლები აცხადებენ, ჩანს, რომ უმრავლესობასთან ვერ შეთანხმდებიან.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 3 საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელთაგან ერთი — რელიგიურ გაერთიანებების იურიდიულ სტატუსს, მეორე — თვითმმართველობის კოდექსს, ხოლო მესამე ანტიდისკრიმინაციულ კანონს ეხებოდა. საპატრიარქოს პოზიციის მიუხედავად, წინა მოწვევის პარლამენტმა 2011 წელს მაინც მიიღო კანონი რელიგიური გაერთიანებების შესახებ, თვითმმართველობის კოდექსი ილია მეორის განცხადების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა, უცნობია, რა ბედი ეწევა ანტიდისკრიმინაციულ კანონს.



**«ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად»**

**P.S. „კანონის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა“, ამოქმედება ნიშნავს ჯარში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, პენიტენციარულ სისტემაში „ცისფერების“ შესვლას. პირველი მოსმენით კანონპროექტი 109 ხმით არავის წინააღმდეგ დამტკიცდა. მართლმადიდებლებს პარლამენტში 1 ხმა არ აღმოაჩნდათ „ცისფერი დიქტატურის“ წინააღმდეგ. საქართველო ხომ ისეთი არაა, როგორიც მისი პარლამენტია. პარლამენტი უნდა იყოს საზოგადოების პოლიტიკური შეხედულებების ანარეკლი. მხოლოდ სამი დეპუტატი გამოვიდა კანონპროექტის წინააღმდეგ. საქართველო თავისუფალი ქვეყნაა, სხვათა შორის, ამ ქვეყნაში თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება ნაძირალებსაც აქვთ, რომლებმაც სული გაყიდეს. თუმცა მსგავსი ადამიანების მორალის გავლენის ქვეშ ვერ მოვექცევით. ჰომოსექსუალიზმი ეს არის ანომალია, ნორმიდან გადახრა, ამიტომაც საზოგადოების 90 პროცენტი არ ეთანხმება იმას, რომ ჰომოსექსუალები საბავშვო ბაღებში შევიდნენ და აღმზრდელებად იმუშაონ. ბაღში აღმზრდელად უნდა მუშაობდეს ნორმალური ფსიქიკის ქალი ან კაცი“,— განაცხადა კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ.**

**ბიბლიაში წერია, რომ მამათმავლობა ღვთისთვის საძაგელი ცოდვაა, ამიტომ ეს ურთიერთობები მე მოვიხსენიე, როგორც ბილწი და მე არც ერთი კონკრეტული ადამიანისთვის ან კონკრეტული ჯგუფისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი, მამა დავით ლასურაშვილი იმ სასულიერო პირებს შორისაა, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს აქტიურად აპროტესტებენ. აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მამა დავითის გამოსვლას ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი და პროტესტი მოჰყვა. „საქართველო და მსოფლიოს“ მამა დავით ლასურაშვილი ესაუბრა.**



**ევროკავშირის დირექტივაა ამ კანონმდებლობის მიღება. იმის გამო, რომ ჩვენს მოქალაქეებს ამა თუ იმ ქვეყანაში უვიზო რეჟიმი ჰქონდეთ, ასეთ მძიმე კომპრომისებზე არ უნდა მივდიოდეთ. დაუშვებელია საკუთარი ღირსების, ტრადიციების, რწმენის ნიველირება, რათა უვიზო მიმოსვლის ღირსნი გაგვხადონ.**

## მამა დავითი (ლასურაშვილი):

# ანტიდისკრიმინაციული კანონის ამ სახით მიღება აუცილებლად გამოიწვევს არეულობას

**— მამაო, თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ სასულიერო პირთაგან, რომლებიც ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს აპროტესტებენ. გთხოვთ, მკითხველს განუმარტოთ, კონკრეტულად რა არის მიუღებელი და რა საფრთხეს ხედავთ ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში?**

— კანონპროექტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ამკვიდრებს ახალ ტერმინებს, რომელთაც არ სცნობს და არ იცნობს კონსტიტუცია. მაშინ, როდესაც, ყველა ნორმა, ყველა მიღებული კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.

ამ კანონპროექტის მესვეურებს უმრავლესობის უფლებების შელახვის ხარჯზე სურთ, კანონიერად დაამტკიცონ ზოგიერთი უმცირეობის უფლება, რომელსაც ისედაც არავინ ზღუდავს. ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის საფუძველზე უმცირესობებს ჭარბი უფლებები მიენიჭებათ. უწმინდესმა სააღდგომო ეპისტოლეში უკვე ბრძანა, ვინ დაიცავს უმრავლესობის უფლებებსო.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი ჯერ კანონადაც არ ქცეულა და საკუთარი აზრის გამოთქმის გამო, საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ უკვე საჩივარია შესული და წარმოიდგინეთ, ეს კანონი რომ ძალაში შევა, რა მოხდება.

**— საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში სწორედ ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე თქვენს კომენტარს 9 არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი მოჰყვა...**

— მე გახლავარ სასულიერო პირი, რომელსაც მეორე სასულიერო პირთან ერთად მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გადმოსვლის პირდაპირი რეპორტაჟი მიმყავდა. ცეცხლის გადმოსვლის მოლოდინის რეჟიმში, ხელისუფლებას ვთხოვე, გაეთვალისწინებინა ჩვენი ეკლესიის, უწმინდესის თხოვნა და არ მიეღო კანონპროექტი ამ ფორმით, როგორაც ის იყო წარმოდგენილი, ვინაიდან ეს აუცილებლად გამოიწვევდა ერში შეხლა-შემოხლას. **ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ბრალს მდებს, თითქოს შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოვიხსენიე სექსუალური უმცირესობები. ეს სიცრუეა. ბიბლიაში წერია, რომ მამათმავლობა ღვთისთვის საძაგელი ცოდვაა, ამიტომ ეს ურთიერთობები მე მოვიხსენიე, როგორც ბილწი და მე არც ერთი კონკრეტული ადამიანისთვის ან კონკრეტული ჯგუფისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.** აქედან გამომდინარე, თავის მართლებას და არავისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, რადგან ის ადამიანები, რომლებიც ლგბტ საზოგადოებას მიეკუთვნებიან, ეკლესიის მიერ დავიწყებულნი არ არიან. **ყველა მათგანს აქვს უფლება, იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვილი. მერწმუნეთ, არაერთი ასეთი ადამიანი მოსულა ეკლესიაში ჩემთან და სინანული გამოუთქვამს საკუთარი ცხოვრების გამო, მაგრამ არავის მათი დისკრიმინაცია არ უფიქრია. ეკლესია გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.**

საზოგადოებრივ მაუწყებელს არც ერთი მუხლი არ დაურღვევია და იმედი მაქვს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მესვეურები ჩემ გამო ბოდიშს არ მოიხდიან. ეს არასწორი იქნება.

**რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა იქით არის გამოსაკვლევი, თუ ვისი დაკვეთით რა პროექტებს ახორციელებენ და საერთოდ რა მიზნები აქვთ. ბოლო დროს ყველა მოვლენაზე კომენტარს აკეთებენ. ამ ე. წ. „ენჯეოების“ საქმიანობამ და გააქტიურებამ საქართველოში უკვე საკმაოდ საშიში სახე მიიღო.**

გახსოვთ, ალბათ, როგორ მოხდა უახლოეს წარსულში კანონპორექტის მიღება, რომელიც ითვალისწინებდა რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის პირის იურიდიული სტატუსის მინიჭებას. **ეკლესიამ თავისი პოზიცია დააფიქსირა, ათიათასობით ადამიანმა გამოხატა პროტესტი, ლოცვითი მსვლელობაც მოეწყო, თავად პატრიარქმაც ითხოვა, ვეტო დადებოდა ამ კანონპროექტს, მაგრამ იმავე საღამოს, ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კანონპროექტს ხელი მოაწერა. ამით პარლამენტმა და პრეზიდენტმა შეურაცხყვეს პატრიარქი და ეკლესია და ასეთი ფაქტები არაერთი იყო.**

**კიდევ კარგი, კონკორდატი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია, თორემ არც წინა და არც ამ ახალი ხელისუფლების პირობებში, ვფიქრობ, ამის შესაძლებლობა არ იქნებოდა.**

**— ჩვენ გვახსოვს შემთხვევები, როდესაც ხელისუფლება არ ითვალისწინებდა ეკლესიისა და პატრიარქის პირდაპირ თხოვნასაც კი, რა ვითარებაა ახლა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?**

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნულ საკითხებზე თავისი პოზიცია არაერთხელ დააფიქსირა, მათ შორის, ახლახან სააღდგომო ეპისტოლეშიც ისაუბრა, მაგრამ პატრიარქის მოსაზრებების გათვალისწინების კონკრეტულ პრეცედენტებს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვხედავ.





**ზოგიერთი სასულიერო პირი პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებსაც ესწრებოდა და თავისი პოზიციაც დააფიქსირა, მაგრამ ზოგიერთი კომიტეტის ხელმძღვანელისგან მხოლოდ აგრესია მიიღო პასუხად. სამწუხარო იქნება, თუ ყოფილი ხელისუფლების მიერ დაწყებულ ეკლესიის შეურაცხყოფას ახალი ხელისუფლებაც გააგრძელებს.**

წმინდა კვიპრიანე კართაგენელის სიტყვებს შეგახსენებთ, რომლისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არც ღმერთია მამა. ხელისუფლებას მორალური პასუხისმგებლობა აქვს, უსმენდეს ეკლესიას. ანტიდიკრიმინაციული კანონის მიღება იმ სახით, როგორადაც გვთავაზობენ, აუცილებლად გამოიწვევს არეულობას.

**არაერთი ღირსეული პიროვნებაა დღეს საქართველოს პარლამენტში და არ ვიცი, რამ აიძულა ეს ადამიანები, ასე მდუმარედ და ერთხმად მიეღოთ ეს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი. მე ვიცი მათი პოზიცია, თუმცა ხმამაღლა ვერ აფიქსირებენ საკუთარ აზრს. მინდა მივმართო საქართველოს პარლამენტის წევრებს, მოწოდების სიმაღლეზე დარჩნენ და დააფიქსირონ საკუთარი მართებული პოზიცია.**

**— რატომ ვერ აფიქსირებენ, რისი ეშინიათ?**

— ჩვენთვის კულუარულად ცნობილია, საიდან მოდის ეს ყველაფერი, ამჯერად არ დავასახელებ კონკრეტულ გვარებს, მაგრამ გეტყვით, ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან არსებობს მითითება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სასწრაფოდ მიიღონ ეს კანონპროექტი.

**ხალხი ცალსახად ამბობს — რომ ჩვენ არ გვინდა ფრანსუა ოლანდის ევროპა, რომელმაც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. ჩვენ იმ 800 ათასი ფრანგის ევროპა გვინდა, რომელიც ამ კანონის წინააღმდეგ გამოვიდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამდენი ხალხის პროტესტმაც კი ერთი პწკარიც ვერ შეაცვლევინა საფრანგეთის ხელისუფლებას**

**ვფიქრობ, იმდენად მტკივნეული და ფაქიზი თემაა, კარგი იქნება, საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩაატაროს. გავიგოთ, რამდენად უჭერს მოსახლეობა მხარს ამ და მსგავსი კანონების მიღებას.**

— მამაო, ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღება ის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველომ ევროკავშირთან მოკლევადიანი უვიზო რეჟიმის მიღების მიზნით იკისრა. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

— დიახ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, **ევროკავშირის დირექტივაა ამ კანონმდებლობის მიღება. იმის გამო, რომ ჩვენს მოქალაქეებს ამა თუ იმ ქვეყანაში უვიზო რეჟიმი ჰქონდეთ, ასეთ მძიმე კომპრომისებზე არ უნდა მივდიოდეთ. დაუშვებელია საკუთარი ღირსების, ტრადიციების, რწმენის ნიველირება, რათა უვიზო მიმოსვლის ღირსნი გაგვხადონ.**

თუ ევროკავშირის სივრცე პლურალიზმით განთქმული სახელმწიფოების ადგილია, მაშინ მათ ჩვენ ტრადიციებსაც პატივი უნდა სცენ. ყოველდღიურად ბევრ ადამიანს ვესაუბრები და ვიცი ხალხის განწყობა. **ხალხი ცალსახად ამბობს — რომ ჩვენ არ გვინდა ფრანსუა ოლანდის ევროპა, რომელმაც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. ჩვენ იმ 800 ათასი ფრანგის ევროპა გვინდა, რომელიც ამ კანონის წინააღმდეგ გამოვიდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამდენი ხალხის პროტესტმაც კი ერთი პწკარიც ვერ შეაცვლევინა საფრანგეთის ხელისუფლებას.** ევროპიდან განათლების სისტემაში რაღაც პოზიტიური სიახლეები გადმოვიღოთ, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს ვეზიაროთ, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც ევროპასთან ვერ შევთანხმდებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროპასთან არ უნდა ვითანამშრომლოთ.

თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან, რომლებიც რელიგიურად და მენტალურად განსხვავდებიან ჩვენგან, წარმატებული ურთიერთობა გვაქვს და კონკრეტულ სფეროებში ვთანამშრომლობთ აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, ირანთან და ერთმანეთს პრეტენზიებს არ ვუყენებთ, ყველა საკითხი ერთნაირად აღვიქვათ.

2010 წლის 31 მარტს ევროპის საბჭოს კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია „სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ რეკომენდაციაა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მისი შესრულების ვალდებულება ეკისრებათ. მშობელს, რომელიც შეამჩნევს შვილს საკუთარი იდენტობიდან გადახვევის ნიშნებს, ეკრძალება ბავშვი ექიმთან მიიყვანოს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს რამდენიმე კანონში შევიდა ცვლილებები, ეს ქმედებები არ წარმოადგენს მთავრობის გამიზნული პოლიტიკის შედეგს. ეს ცვლილებები განხორციელდა ევროპის საბჭოს ზეწოლის შესაბამისად, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.

**ჩვენ ვხედავთ საშიშროებას, რომ შეიძლება ზოგიერთებმა გარყვნილების პროპაგანდა კიდევ უფრო წაახალისონ. ამიტომ ვთხოვეთ ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ეკლესიის პოზიცია და აკრძალოს გარყვნილების პროპაგანდა. გასულ წლებში 17 მაისსა და სხვა დღეებშიც ადგილი ჰქონდა მოწოდებებს — „გაფერადდი“, „იყავი ჩემნაირი“ და ა. შ. ეს მოწოდებები არის პირდაპირ ადამიანის დაღუპვისკენ მიმართული.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დედამიწის მოსახლეობის რაოდენობამ 7.2 მლრდ-ს მიაღწია



**გაეროს მონაცემებით, 2014 წლის დასაწყისში დედამიწის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა და 7.2 მლრდ კაცს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ათი წლის წინათ, 1994 წელს, ჩვენს პლანეტაზე 5,7 მლრდ კაცი ცხოვრობდა.** სპეციალისტების პროგნოზით, უახლოეს ათ წელიწადში აფრიკის მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, 2050 წლისთვის კი აფრიკის მოსახლეობის მატების ტემპი 6-ჯერ გადააჭარბებს ლათინური ამერიკის მოსახლეობის ზრდის ტემპს, 15-ჯერ — აზიის მოსახლეობისას. 2014-2050 წლებში შემცირდება 40 ქვეყნის მოსახლეობა, განსაკუთრებით — გერმანიის, ჩინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სერბეთის, რუსეთის, იაპონიისა და უკრაინის, აგრეთვე, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების. **2025 წელს დედამიწის მოსახლეობის რიცხვი 8.1 მლრდ-ს მიაღწევს, 2050 წელს კი — 9,6 მლრდ-ს.**



### მარინ ლე პენი:

# მე საფრანგეთს ნატოდან გამოვიყვან!

**ცნობილმა ევროპელმა პოლიტიკოსმა, საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა რუსული გამოცემა „კომსომოლსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, საფრანგეთს ნატოდან გამოიყვანს.**

„საფრანგეთი ამჟამად ნატოს ხაზს მიჰყვება, მაგრამ, თუკი მე ამირჩევენ, საფრანგეთს ნატოდან გამოვიყვან; იმიტომ, რომ ამჟამად საფრანგეთს თავისი ხმა დაკარგული აქვს, **ჩვენ ვასრულებთ ბრძანებებს, რომლებიც ვაშინგტონიდან მოდის. ზოგჯერ ბრძანება ბერლინიდანაც მოდის“**, — განუცხადა მარინ ლე პენმა გამოცემას.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის პროამერიკული პოლიტიკის ფონზე მარინ ლე პენს აქვს შანსი, გახდეს ქვეყნის პირველი პირი. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან კი პარიზს ყოველთვის რთული ურთიერთობა ჰქონდა — ქვეყანა გამოსული იყო ბლოკის სამხედრო სტრუქტურიდან, თავისი ტერიტორიიდან გაძევებული ჰყავდა ნატოს შტაბბინა. საფრანგეთში ნატოს საწინააღმდეგო განწყობილება საკმაოდ ძლიერია პოლიტიკოსებსა და განსაკუთრებით სამხედროებს შორის.

საერთოდ კი, ფრანგები დიდი სიმპათიით არ არიან განმსჭვალულნი ამერიკელების მიმართ. ამერიკელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იწყება გენერალ შარლ დე გოლის ეპოქიდან, რომელიც საფრანგეთზე აშშ-ის გავლენის შესუსტებას ცდილობდა. ეს „დამოუკიდებლობის სულისკვეთება“ ფრანგებში არ ჩაკლულა და ის, რომ ქვეყნის ბოლო ორი პრეზიდენტი თავგამოდებული პროამერიკელი იყო, ფრანგი საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. აქედან გამომდინარე, მარინ ლე პენს მართლაც აქვს შანსი, გახდეს საფრანგეთის პრეზიდენტი. ასეთ შემთხვევაში კი ის დე გოლის რეცეპტს გამოიყენებს: უარს იტყვის ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთი 30 წლის განმავლობაში უარს ამბობდა ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობაზე, მარინ ლე პენის მხრიდან ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა რეალურია.

> **ის, რომ ქვეყნის ბოლო ორი პრეზიდენტი თავგამოდებული პროამერიკელი იყო, ფრანგი საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. აქედან გამომდინარე, მარინ ლე პენს მართლაც აქვს შანსი, გახდეს საფრანგეთის პრეზიდენტი**



## სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარედ სააკიანი აირჩიეს

**სომხეთის ეროვნული საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური იყო 13 აპრილიდან, მას შემდეგ, რაც ამ პოსტზე მყოფი ოვიკ აბრამიანი, პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის განკარგულებით, მთავრობის მეთაურად დაინიშნა.**

29 აპრილს კი სომხეთის ეროვნული საკრებულოს (პარლამენტის) სპიკერად სომხეთის მმართველი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე გალუსტ სააკიანი აირჩიეს. გავრცელებული ინფორმაციით, სააკიანს საქართველოში ნათესავები ჰყავს, თუმცა კონკრეტულად ვინ, ჯერჯერობით უცნობია.

### ამერიკელი ჟურნალისტი:

# აშშ მსოფლიოს CNN-ის ფარდით გამოეყო

**ტელეარხ RT(Russia Tiday)-ს ჟურნალისტმა გადაცემა Keiser Report-ის წამყვანმა მაქს კაიზერმა განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლება, რომელსაც ახლა მძიმე პერიოდი უდგას, ცდილობს, თავისი წარუმატებლობა საერთაშორისო არენაზე ტელეარხ CNN-ის მეშვეობით გადაფაროს.**




„ამერიკელები, რომლებიც მსოფლიოს მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენენ, CNN-ის ფარდის მიღმა იმყოფებიან და ვერ ამჩნევენ, რომ დანარჩენმა 95 პროცენტმა უკვე დიდი ხნის წინათ დაიწყო ცხოვრება პოსტამერიკულ სამყაროში“, — განაცხადა ცნობილმა ტელეჟურნალისტმა მაქს კაიზერმა, რომელსაც RT (Russia Tiday)-ის ეთერში გადაცემა Keiser Report მიჰყავს.

„ერთპოლუსიანი სამყარო უკვე მრავალპოლუსიანით შეიცვალა. XXI საუკუნეში ჩვენ მომსწრენი ვართ იმ იდეოლოგიის მზის ჩასვენებისა, რომელმაც აშშ-ის გლობალური ჰეგემონია მოგვიტანა. საერთაშორისო არენაზე აღმოცენდნენ ახალი აქტორები — სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოები: ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, „აზიური ვეფხვები“, კარიბის ზღვის აუზისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ თავიანთი, დასავლეთისგან განსხვავებული განვითარების გზა“, — თვლის ჟურნალისტი.

**მაქს კაიზერის აზრით, ჯონ კერისა და ჰილარი კლინტონის გამოსვლები, რომლებიც ძველებურად, იდეოლოგიური ზეწოლის მეთოდით ცდილობდნენ აშშ-ის ჩარევის გამართლებას სხვა ქვეყნის საქმეებში — ამჯერად უკრაინის — იმაზე მიუთითებს, რომ ისინი წარსულში, ამერიკის ჰეგემონიის ხანაში ჩარჩნენ.**

„როგორც ბერლინის კედლით იზოლირებული აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა იყო ჩამორჩენილი თავისი დასავლელი თანამემამულეებისაგან, ისე არ არის მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში ამერიკელი მოსახლეობა. **ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ისინი უყურებენ CNN-ს და იჯერებენ ყველაფერს, რასაც უყვებიან რუსეთის შეჭრაზე უკრაინაში, უოლსტრიტის წმინდანობაზე და სჯერათ, რომ ამერიკა დღესაც „ბორცვზე მდგარი მბრწყინავი ქალაქია“, როგორც მას უწოდა რონალდ რეიგანმა.**

CNN-ის მიერ შექმნილ ილუზორულ სამყაროში, სადაც აშშ-ს თავისი მიზნები აქვს დასახული, ცხოვრობს 300 მლნ ამერიკელი, რომლებსაც სულ უფრო მეტად უჭირთ ფეხის აწყობა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის“, — განაცხადა მაქს კაიზერმა.

> **«CNN-ის მიერ შექმნილ ილუზორულ სამყაროში, სადაც აშშ-ს თავისი მიზნები აქვს დასახული, ცხოვრობს 300 მლნ ამერიკელი, რომლებსაც სულ უფრო მეტად უჭირთ ფეხის აწყობა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის»**






## რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები აღრმავებს უთანხმოებას აშშ-სა და ევროკავშირს შორის

**აშშ-მა რუსეთის ფედერაციის 7 მოქალაქესა და 17 კომპანიას სანქციები დაუწესა. რუსეთს სანქციები ყირიმის მიერთების გამო, რასაც აშშ არ აღიარებს, აგრეთვე, უკრაინის მიმართ პოზიციისთვის დაუწესეს.**

ახალი სანქციები, რომელთა შესახებაც ვაშინგტონმა 28 აპრილს განაცხადა, კიდევ უფრო გააღრმავებს უთანხმოებას აშშ-სა და ევროკავშირს შორის, რადგან ევროპელებს ხელს არ აძლევთ ასეთი ზომების გატარება რფ-ის მიმართ.

**„ეს სანქციები ქაღალდის ვეფხვს უფრო ჰგავს და მსოფლიო ობამას დასცინის. მან უკვე აღარ იცის, კიდევ რა მოიმოქმედოს, სახე რომ არ დაკარგოს. აშშ-ის ევროპელი პარტნიორები უენთუზიაზმოდ განიხილავენ რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპელთა კონკურენტი არის აშშ და არა — რუსეთი, რომელთანაც ევროკავშირს მრავალი ეკონომიკური პროექტი აკავშირებს.** შედეგად, ადრე თუ გვიან, ობამა დაკარგავს სატელიტი სახელმწიფოების ნდობას, რადგან ასეთი ვითარება მათთვის წამგებიანი იქნება. საერთოდ კი, რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ შეზღუდვების დაწესება გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით უნდა მოხდეს“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი კლიმოვმა, რომელმაც დასძინა, რომ ცდილობენ, უკრაინაში მომხდარ არეულობაში რუსეთი დაადანაშაულონ, არადა, ეს ტრაგიკული მოვლენები სწორედ ობამას ადმინისტრაციისა და მისი მხარდამჭერი ევროპელი პოლიტიკოსების ზეგავლენით დაიწყო.

კლიმოვმა ისიც განაცხადა, რომ 25 მაისს არჩევნები არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ ევროპარლამენტშიც გაიმართება. წავლენ ისეთი პოლიტიკოსები, როგორებიც არიან ჟოზე მანუელ ბაროზუ, კატრინ ეშტონი, მათ ადგილას კი სხვა ადამიანები მოვლენ — უფრო მეტად კონსერვატორები და ნაციონალისტები, შედეგად ევროკავშირს მოუწევს ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან შეგუება.

**მესამე რაიხის ნანგრევებზე, მაშინაც კი, როდესაც ბერლინს საბჭოთა არტილერია ბომბავდა, გერინგს, გებელსსა და ჰიმლერს წამითაც კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ხელისუფლებისთვის და ყველაზე კრიტიკულ მომენტში მასზე უამრავი დრო და ენერგია დახარჯეს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის მიჰყავს კრახისკენ საქართველო და უკრაინა?



**ერთი შეხედვით, ქვეყნის დესუვერენიზაციისა და დაშლის საფრთხემ ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გააერთიანოს, თუმცა ბრძოლა ხელისუფლებისთვის კიევში წამითაც არ წყდება. ის ერთობ მოაგონებს ბრძოლას კაპიტნობისთვის იმ ხომალდის ბორტზე, რომელსაც სწრაფი ჩაძირვა ემუქრება.**

**ახალი ამბები უკრაინიდან სულ უფრო მეტად აკვირვებს და აბნევს ქართულ აუდიტორიას, უპირველესად კი, მათ, ვინც თებერვალში „ევრომაიდანს“ გულშემატკივრობდა. ახალი მთავრობა კიევში ძალზე არადამაჯერებლად, ხშირ შემთხვევაში, უსუსურად გამოიყურება და მისი მოქმედების ლოგიკის გაშიფრვა სულ უფრო რთული ხდება. გაუგებრობის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ ქართველი ექსპერტების ნაწილი ამ ხელისუფლებას მონოლითურ ერთობად განიხილავს, არადა, რეალურად სიტუაცია გაცილებით რთული ჩანს და იმ ძალებს უკრაინაში, რომელნიც, ერთი შეხედვით, მტკიცე კავშირს ქმნიან, შესაძლოა, ერთმანეთის უფრო ეშინიათ, ვიდრე ვლადიმერ პუტინის.**

საერთოდ, სამყაროს სურათის მაქსიმალური გამარტივება და მისი დაყვანა შავ-თეთრ ბიპოლარულ მოდელამდე არა მხოლოდ პრიმიტიული პოლიტოლოგიის, არამედ შიზოფრენიის უტყუარი ნიშანიცაა. ამ მიდგომის გავრცელებას საქართველოში ხელი სააკაშვილის რეჟიმმა შეუწყო, რომელსაც, უბრალოდ, არ შეეძლო აღეწერა პრობლემა, ვიდრე მის წარმოქმნაში ჩართულ ძალებს ორ პოლუსამდე არ დაიყვანდა — „სიკეთე“ და „ბოროტება“, „დასავლეთი“ და „რუსეთი“, „ჩვენ“ და „მტრები“ და ა. შ. რეჟიმი დაემხო, მაგრამ ეს მიდგომა კვლავინდებურად გავრცელებულია (შესაძლოა იმიტომ, რომ შესაბამისი მოდელის გამოყენება განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ძალისხმევას არ მოითხოვს) და, სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის უკრაინული მოვლენების არაკორექტული შეფასებები და მათ ტყვეობაში საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის მოქცევაც.

**ერთი შეხედვით, ქვეყნის დესუვერენიზაციისა და დაშლის საფრთხემ ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გააერთიანოს, თუმცა ბრძოლა ხელისუფლებისთვის კიევში წამითაც არ წყდება. ის ერთობ მოაგონებს ბრძოლას კაპიტნობისთვის იმ ხომალდის ბორტზე, რომელსაც სწრაფი ჩაძირვა ემუქრება.**

ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მერაბიშვილისა და ახალაიების დაპირისპირება 2012-ში, რომელმაც ხელი შეუწყო „ქართული ოცნების“ გამარჯვებას; სააკაშვილის მინისტრები მაშინ მოქმედებდნენ ისე, თითქოს საერთოდ ვერ აღიქვამდნენ საფრთხეს, რომელიც რეჟიმს ემუქრებოდა. მსგავსი რამ კაცობრიობის ისტორიაში არაერთგზის მომხდარა; რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ჯგუფები აშკარა საფრთხის მიუხედავად, რომელსაც ისინი, თუნდაც დროებით უნდა გაეერთიანებინა, ახრჩობდნენ ერთმანეთს, ქმნიდნენ ფარულ ალიანსებს და კონტრ-ალიანსებს, მანამ, სანამ არ მოვიდნენ ბოლშევიკები, რათა ყველა ერთად დაეპატიმრებინათ.

**მესამე რაიხის ნანგრევებზე, მაშინაც კი, როდესაც ბერლინს საბჭოთა არტილერია ბომბავდა, გერინგს, გებელსსა და ჰიმლერს წამითაც კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ხელისუფლებისთვის და ყველაზე კრიტიკულ მომენტში მასზე უამრავი დრო და ენერგია დახარჯეს.**

უკრაინელი ლიდერები ამ მხრივ გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენენ და პოლიტიკოსების „ძირითადი ინსტინქტი“ მათ მუდმივი დაპირისპირებისკენ უბიძგებს, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო შეიძლება ყველაფერი დაკარგონ. ტაქტიკური აუცილებლობა მსგავს შემთხვევებში სრულად ფარავს სტრატეგიულ პერსპექტივას, ხოლო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ინტელექტუალურ შემადგენელს კარგავს და გლადიატორების ბრძოლას ემსგავსება.

დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერამ და „ევრომაიდანმა“ მოუტანა იულია ტიმოშენკოს გუნდს ძალიან სერიოზული პოზიციები ხელისუფლებაში, რომელთა დათმობა ცოცხალი თავით არ სურს.

მაგრამ **პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგებში ტიმოშენკო მნიშვნელოვნად ჩამორჩება პეტრე პოროშენკოს, ხოლო თანამდებობებზე მყოფი მისი თანაგუნდელების პოპულარობა სწრაფად მცირდება. ტიმოშენკო სრული დომინირებისკენ მიისწრაფვის; გამორიცხული არაა, რომ ამის გამო, „ძალზე არასტანდარტული“ გადაწყვეტილებები მიიღოს და „მეორე უკრაინული რევოლუცია“ ისეთივე წარმატებით დაასამაროს, როგორც პირველი. კომენტატორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლების გულისთვის იულია ტიმოშენკო (ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილი) ხელს აბსოლუტურად ყველაფერს მოაწერს.**

ფორმალური თვალსაზრისით, ოლიგარქი პეტრე პოროშენკო დამოუკიდებელი კანდიდატია, თუმცა მის უკან სხვა უკრაინელი, უპირველესად კი, დნეპროპეტროვსკელი ოლიგარქების ინტერესები მოიაზრება. საგულისხმოა, რომ „რეგიონების პარტიამ“, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლიგარქები აკონტროლებენ (იანუკოვიჩის კრახის მიუხედავად, მისი ლიდერები მაინც ინარჩუნებენ მნიშვნელოვან გავლენას ამ რეგიონის ელექტორატზე), უარი უთხრა მხარდაჭერაზე პერსპექტიულ კანდიდატს — სერგეი ტიგიპკოს და თავის კანდიდატად ხარკოვის ოლქის გუბერნატორი მიხეილ დობკინი დაასახელა, რომელიც საკუთარი ოლქის ფარგლებს გარეთ ძალზე არაპოპულარულია, თუნდაც თებერვალ-მარტის კრიზისის დროს დაკავებული პოზიციის გამო. ანუ ავანსცენაზე გამოიყვანეს აპრიორი სუსტი კანდიდატი, რომელიც პოროშენკოს საერთო ელექტორალურ ნიშაში ყველაზე ნაკლებ ხმას წაართმევს. თავად პოროშენკო კი, მარტივად რომ ვთქვათ, „განახლებული იანუკოვიჩია“, რომლის გამარჯვების შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლიგარქების გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება, თანაც, სავარაუდოდ, ადგილი არ ექნება „დონეცკელთა“ და „დნეპროპეტროვსკელთა“ შორის ბალანსის სერიოზული დარღვევის მცდელობას, რის გაკეთებაც იანუკოვიჩმა სცადა და (მნიშვნელოვანწილად ამის გამო) მართვის სადავეები დაკარგა. დღეს პოროშენკო მწვავედ აკრიტიკებს რუსეთს, თუმცა სტრატეგიულ პერსპექტივაში მასთან დიალოგის გარდა სხვა გზას არ ხედავს, ხოლო მისი საწარმოები, ყველაფრის მიუხედავად, ამ წუთებშიც კი ასრულებენ მრავალმილიონიან შეკვეთებს რუსეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ დეკორაციები შეცვლილია, ჩვენ საქმე 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურ „რიმეიკთან“ გვაქვს — ერთი მხრივ, იულია ტიმოშენკო, რომელიც უკრაინის დასავლეთის (აქ ნაწილი ნაციონალისტ კანდიდატებს მიემხრობა) და ცენტრის (აქ პოროშენკო სერიოზულ კონკურენციას გაუწევს) ამომრჩევლების მობილიზებას ცდილობს და, მეორე მხირვ — ოლიგარქების კანდიდატი, რომელიც ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთის ამომრჩევლებს ეყრდნობა (ამჯერად პოროშენკო იანუკოვიჩის ნაცვლად, რომლის უკან, უპირველესად, დნეპროპეტროვსკის და არა დონეცკის კლანები დგანან, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს უმნიშვნელო ნიუანსებია).

თუ არჩევნები დათქმულ ვადაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაიმართება, იულია ტიმოშენკო, რეიტინგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდი ალბათობით, წააგებს. მაგრამ, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთში გაფართოვდება უკონტროლო ზონა, სადაც არჩევნები არ ჩატარდება („დონეცკის რესპუბლიკა“, „ლუგანსკის რესპუბლიკა“ და ა. შ.) და ადგილობრივი ოლიგარქები სიტუაციაზე კონტროლს დაკარგავენ, ტიმოშენკოს შანსები, უკრაინას დაეპატრონოს, მნიშვნელოვნად გაიზრდება, არჩევნების გზით მოხდება ეს თუ (უკიდურესი ესკალაციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთში რუსეთის ჯარის უშუალო ჩარევით) უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, პროტესტის ჩახშობის, არჩევნების გადატანისა და დღევანდელი გარდამავალი ხელისუფლების არსებობის გახანგრძლივების გზით. რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, ამ კონტექსტში, სამხრეთ-აღმოსავლეთის მეამბოხეები და კრემლი, რომელიც მათ უკან მოიაზრება, ტიმოშენკოს სიტუაციური მოკავშირეები ხდებიან. თუმცა აქ გასათვალისწინებელია სტრატეგიული ასპექტიც: მიუხედავად იმისა, რა რიტორიკას იყენებენ დღეს ოლიგარქები, ისინი მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი არიან რუსეთის ეკონომიკაზე, მის ენერგომატარებლებზე და, აქედან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში ყოველთვის შეეწინააღმდეგებიან „საბოლოო მოწყვეტას“ რუსეთისგან. ამიტომ დასავლეთის ქვეყნებისთვის უფრო მომგებიანია, რომ უკრაინაში არა უშუალოდ ოლიგარქებს, არამედ იმ პოლიტიკოსებს დაეყრდნონ, რომელთაც ზურგს ძირითადად დასავლეთი და ცენტრალური უკრაინის ამომრჩევლები და ახალი ეროვნული, მკვეთრად პროდასავლური სახელმწიფოს შექმნის იდეები უმაგრებენ. მათი მართვა უფრო იოლია, ამასთანავე, მათ შეუძლიათ სტარტი მისცენ (სავარაუდოდ, ავტორიტარულ) გარდაქმნას, რომელიც შეზღუდავს ოლიგარქების გავლენას, მათ მუდმივ სურვილს, „ორ სკამზე ისხდნენ“ და რუსეთთან სარფიანი თანამშრომლობა გააგრძელონ.

**დღეს „ევრომაიდნის“ ხელისუფლება გავლენის პროეცირებას სამხრეთ-აღმოსავლეთში არა პირდაპირ, არამედ ადგილობრივი ოლიგარქების მეშვეობით ახდენს, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, დნეპროპეტროვსკის ოლქის თავკაცი იგორ კოლომოისკი. ის ცდილობს, დნეპროპეტროვსკი და მიმდებარე ოლქები უშუალოდ გააკონტროლოს, ხოლო დამოკიდებულება კიევზე ნომინალური გახადოს.**

დღეს მისი რაზმები გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებიან, ვიდრე ოფიციალური სტრუქტურების ძალოვნების დემორალიზებული ჯგუფები. მას, პარტნიორებთან ერთად, რეგიონი, ფაქტობრივად, კიეველი პოლიტიკოსების კონტროლიდან გამოჰყავს და მასში ერთგვარ „ოლიგარქიულ ავტონომიას“ ქმნის, თანაც ისეთ „ავტონომიას“, რომელიც პერსპექტივაში, სავარაუდოდ, უკრაინის მთელ პოლიტიკურ ელიტას დაიმორჩილებს. თავის მხრივ, კრემლი და მასზე ორიენტირებული ძალები სამხრეთ-აღმოსავლეთში თანდათან აფართოებენ პოზიციებს დონეცკში, ლუგანსკსა და სხვა ოლქებში. ეს რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს, სულ უფრო დიდი გავლენა მოახდინოს როგორც ტიმოშენკოსა და მის კადრებზე უკრაინის მთავრობაში, ისე ოლიგარქებზე. გამორიცხული არაა, რომ სწორედ იულია ტიმოშენკოს უსაზღვრო ამბიციების გამო კრემლი უკრაინაზე ან, როგორც მინიმუმი, მის სამხრეთ-აღმოსავლეთზე სრულ კონტროლს დაამყარებს; საქმე შეიძლება ქვეყნის საბოლოო დანაწევრებამდეც კი მივიდეს.

**შესაძლოა, ის, ვინც უკრაინის დღევანდელი ხელისუფლებისგან ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას ან ეფექტური ძალისმიერი ოპერაციების ჩატარებას მოითხოვს, ერთობ მიამიტურად იქცევა, რადგან დღეს ამ პოლიტიკოსების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, არა ერთიანი და ძლიერი უკრაინისთვის, არამედ, უპირველესად, სკამებისთვის იბრძვის და საზოგადოების სამართლიან პროტესტს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.**

კაცმა რომ თქვას, ნამდვილად ცოდოა ამათ ხელში უკრაინის მრავალტანჯული, საოცრად თბილი, გულწრფელი და შრომისმოყვარე ხალხი, ქვეყანა, რომლის დასავლეთი და აღმოსავლეთი შეიძლება უმძიმეს სისხლიან დაპირისპირებაში ჩააბან.

უკრაინის ტრაგედიის მთავარი გაკვეთილი საქართველოსთვის საერთაშორისო პოლიტიკასა და ზესახელმწიფოების ბრძოლას, სავარაუდოდ, ნაკლებად ეხება.

**მთავარი, ალბათ, ისაა, რომ საზოგადოებამ უნდა გაამკაცროს კონტროლი პოლიტიკურ ელიტაზე, ერთხელ და სამუდამოდ ზურგი შეაქციოს დემაგოგებს, თაღლითებს, კორუფციონერებსა და პოლიტიკურ მეძავებს, რადგან კრიზისის შემთხვევაში ისინი საქართველოს, დიდი ალბათობით, უარესს დამართებენ, ვიდრე მათი კიეველი კოლეგები უკრაინას. დეგრადირებული ელიტის ტოტალურ წმენდას ალტერნატივა არ აქვს და საზოგადოებამ, სავარაუდოდ, ძალზე სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც მას დაუყონებლივ, სააკაშვილის რეჟიმის მოცილებისთანავე არ შეუდგა.**

თუმცა არც ახლაა გვიანი — მკაცრ სამოქალაქო კონტროლს და უსინდისო პოლიტიკოსების მხილებას მოკლე დროში საოცარი შედეგის მოტანა შეუძლია; გასარკვევი მხოლოდ ის თუ არის, რამდენად არის მზად ამისთვის ქართული საზოგადოება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რაზე ესაუბრნენ ღარიბაშვილს ამერიკაში? გაითვალისწინებს თუ არა ამერიკელების რჩევებს და რას მოიმოქმედებს ახლო მომავალში?




# «ქართული ოცნების» ამერიკული თავსატეხი

**გართულდება თუ არა ქართულ-ამერიკული ურთიერთობები მიხეილ სააკაშვილის გამო? სრულფასოვან კრიზისზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა მცირე დაძაბულობას ან, როგორც მინიმუმი, გაუგებრობას ადგილი უკვე აქვს და ბოლო პუბლიკაციები ამერიკულ მედიაში ამაზე აშკარად მიუთითებს. როგორ მოიქცევა ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება?**

### პროკურორებად ქცეული ადვოკატები

26 აპრილს „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო საბჭოს მორიგი წერილი სათაურით **„საქართველოსა და მოლდოვას დახმარება სჭირდებათ, მაგრამ საკუთარ თავს თავადაც უნდა დაეხმარონ“**, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის შესაძლო სისხლისსამართლებრივი დევნის თემას კიდევ ერთხელ შეეხო. ვიდრე მის ციტირებას დავიწყებთ, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკული მედიის პუბლიკაციებიდან თეთრი სახლის პოზიციასთან ყველაზე ახლოს სწორედ „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭოს წერილები დგას. ეს არ არის ხელისუფლების პოზიციის პირდაპირი ტრანსლირება, ჩინური „ჟენმინ ჟიბაოს“ სტილში და ლობისტებს ამ წერილების შინაარსზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლიათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭო არასოდეს მოაწერს ხელს იმას, რაც ადმინისტრაციის პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგება.

ახლა კი ჩვენთვის საინტერესო ციტატა: **„უფრო უსიამოვნო პრობლემებია საქართველოში, სადაც 2012 წლის თავისუფალი არჩევნების შედეგად მოსული მთავრობა საკუთარი თავისთვის საზიანო ომს აგრძელებს წინამორბედთან. თებერვალში, ვაშინგტონში ვიზიტის დროს, პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო შეხვედრა პრეზიდენტ ობამასთან, მაგრამ, აგრეთვე, გაფრთხილება მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მთავრობის პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 22 მარტს მიხეილ სააკაშვილი პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის ჩვეულებრივი პრელუდიაა. ამას წინ უძღოდა მისი ყოფილი პრემიერმინისტრის სისხლისსამართლებრივი დევნა და თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენება. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს, დაკითხვაზე არ გამოცხადდა, ობამას ადმინისტრაციამ კი უმალ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საქართველოს ლიდერებს მოუწოდებს, ქვეყნის ენერგია მომავლისკენ მიმართოს. თუ საქართველო დასავლეთისკენ სვლას აპირებს და არა მოსკოვისთვის დანებებას, მთავრობამ ყურად უნდა იღოს ეს რჩევა“.**

ეს მესამე შემთხვევაა, როდესაც „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭო ამ თემას ეხება. თავიდან ავტორები არ უარყოფდნენ ყოფილი მაღალჩინოსნების შესაძლო ბრალეულობას, ხოლო მოწოდებებს კანონის უზენაესობის პრინციპის აშკარა უგულვებელყოფისკენ, ასე თუ ისე, ნიღბავდნენ. ციტატა 2012 წლის 28 ნოემბრის წერილიდან: **„შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ყოფილი ჩინოვნიკი მართლაც დამნაშავეა. მაგრამ გარკვეული საქმეები ფოკუსირებულია შედარებით ნაკლებ კანონდარღვევებზე ან ისეთ ბრალდებებზე, რომლებიც ბოლოდროინდელი საარჩევნო კამპანიის ბინძურ ტრიუკებს უკავშირდება. ბ-ნი ივანიშვილი რომ სერიოზულად გეგმავდეს, დაანახოს დასავლურ მთავრობებს, რომ საქართველო მათ რიგებშია, ის უარს იტყოდა ამგვარ საქმეებზე...“**. 2013 წლის 1 ივნისის პუბლიკაციაში კი სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, პირდაპირ იყვნენ წარმოჩენილნი დამნაშავეებად, რაც, აშშ-ის სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, სრული ნონსენსია: **„საქართველოს წინა მთავრობა, ბატონი მერაბიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, დამნაშავე იყო კანონის გვერდის ავლაში და ხანდახან ოპონენტებსა და მედიაზე ზეწოლას ახდენდა“.** თუმცა ამის შემდეგ მოდიოდა პასაჟი, რომელიც წინარე ფრაზას აბათილებდა: **„მაგრამ, ამასთანავე, ამ წყვილმა უზრუნველყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები და სწრაფად აღიარა მარცხი არჩევნებში, რამაც ბატონი ივანიშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბატონ მერაბიშვილს პოლიტიკური მიზეზების გამო არ დევნიან, ისევე ნაკლებად სარწმუნოა, როგორც ის, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერი იულია ტიმოშენკო ციხეში იმიტომ ზის, რომ პრემიერმინისტრის პოსტზე სამსახურებრივი გადაცდომები ჰქონდა“.** კაცმა რომ თქვას, საკმაოდ უცნაური ლოგიკაა — ჯერ დაწერო „დამნაშავე იყო“ და დაუყოვნებლივ იმის მტკიცება დაიწყო, რომ ადგილი აქვს ფიგურანტის პოლიტიკურ დევნას, თანაც იმ კოშმარული არჩევნების „ყველაზე დემოკრატიულად“ გამოცხადების ფონზე. შემდგომ დაფიქსირდა კანონის უზენაესობის პოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ დაქვემდებარების მოწოდება: **„ბატონ ივანიშვილს, რუსეთში გამდიდრებულ მილიარდერს, შეეძლო ბატონი სააკაშვილის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაცემის სანაცვლოდ არ დაეშვა წინა რეჟიმის დევნა და ფოკუსირება მოეხდინა წინა წლების სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაზე“.**

ახალ წერილში რიტორიკა შეიცვალა და შედარებით გამკაცრდა; ამჯერად ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალეულობაზე არაფერი თქმულა, ხოლო სააკაშვილის დაბარება დაკითხვაზე აღწერილია, როგორც **„სისხლისსამართლებრივი დევნის ჩვეულებრივი პრელუდია“ (ამ ფორმულირებამ შეიძლება ნებისმიერი ამერიკელი იურისტი გააგიჟოს) და ცალსახად წარმოჩენილია, როგორც პოლიტიკური დევნის აქტი. წერილის ავტორები აპელირებენ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 24 მარტის განცხადების მიმართ, რომელშიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ნათქვამი იყო: „კანონზე მაღლა არავინ დგას, მაგრამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთდროული დაწყება ყოფილი პრეზიდენტის ფიგურირებით ლეგიტიმურ ეჭვს აჩენს პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით როდესაც სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაშია“**, მაგრამ აღარ ახსენებენ კანონის უზენაესობას და ამტკიცებენ, რომ სახეზეა „პოლიტიკური დევნა“, ხოლო ღარიბაშვილმა ამერიკელი პარტნიორების მოწოდება არაფრად ჩააგდო (ეს გამომდინარეობს სიტყვებიდან „მაგრამ, მიუხედავად ამისა...“). ეს კი უკვე სააკაშვილის დაცვა კი არა, მთავრობის აშკარა დადანაშაულებაა; ყოფილი დიქტატორის ადვოკატები აშკარად პროკურორის მანტიას ირგებენ.

რაზე ესაუბრნენ ღარიბაშვილს ამერიკაში? გაითვალისწინებს თუ არა ამერიკელების რჩევებს და რას მოიმოქმედებს ახლო მომავალში?

## ყოფილი დიქტატორის ადვოკატები პროკურორის მანტიას ირგებენ



ხელები შორს «დემოკრატიის შუქურისგან»!

## ფაქტია, რომ «ვაშინგტონ პოსტის» სარედაქციო საბჭო არასოდეს მოაწერს ხელს იმას, რაც ადმინისტრაციის პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგება

### რა მოხდა ვაშინგტონში?

როგორც ჩანს, გარკვეულ „გაფრთხილებას“ ვაშინგტონში ადგილი მართლაც ჰქონდა. „ვაშინგტონ პოსტი“ ასეთ დელიკატურ სიტუაციაში, ობამას ადმინისტრაციას უხერხულობაში არ ჩააყენებდა და ფაქტების პირდაპირ გაყალბებაზე არ წავიდოდა. ამ გარემოებას თავი რომც დავანებოთ, გაფრთხილება პოლიტიკური დევნის დაუშვებლობასთან დაკავშირებით ადრეც არაერთგზის გაჟღერებულა. ამ შემთხვევაში მთავარია, თუ რას აღიქვამენ მხარეების „პოლიტიკურ დევნად“. **„ეს არის აბსოლუტურად ნორმალური პროცესი. მით უმეტეს, პროკურატურას საუბარი აქვს ძალიან მძიმე დანაშაულებზე“**, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო დეპარტამენტის 24 მარტის განცხადების კომენტირებისას და ამავე კონტექსტში ნიკოლა სარკოზისა და სილვიო ბერლუსკონის დაკითხვა გაიხსენა. თუმცა სააკაშვილის მეგობრებს ამერიკაში, როგორც ჩანს, პრობლემის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვთ და მის დაკითხვაზე დაბარებასაც კი დაუშვებლად მიიჩნევენ.

ოფიციალურ რელიზებში, რომელნიც აღწერენ ღარიბაშვილის ვიზიტს ამერიკაში, 24 თებერვალს თეთრ სახლში გამართულ მოლაპარაკებებსა და სხვა შეხვედრებს, განხილული საკითხი მოხსენიებული არ არის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნებისმიერ დეტალიზაციას, დიდი ალბათობით, მოჰყვებოდა ფაქტების დამახინჯება და მწვავე კრიტიკა, რომლის ფარგლებში სიტუაცია წარმოჩენილი იქნებოდა ისე, თითქოს ამერიკული მხარე მოუწოდებდა ქართულს, უარი ეთქვა კანონის უზენაესობაზე, ხოლო ჩვენი პრემიერი იჯდა და ამას მორჩილად ისმენდა. სხვათა შორის, ამ სიტუაციას არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ იურიდიული ასპექტიც აქვს, რადგან, ქართული კანონმდებლობის თანახ- ▶

# როდესაც საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობა უცხო ძალების ზეწოლის ქვეშ იმყოფება, მისთვის სასურველია, საჯაროდ და მკაფიოდ დააფიქსიროს უცხოელი პარტნიორების წინაშე, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც საკუთარ კანონებს ვერ გადაუვლის.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სააკაშვილის მეგობრებს ამერიკაში, როგორც ჩანს, პრობლემის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვთ და მის დაკითხვაზე დაბარებასაც კი დაუშვებლად მიიჩნევენ

◀ მად, მოლაპარაკებები სააკაშვილისთვის (ან ნებისმიერი სხვა პირისთვის) იმუნიტეტის მინიჭებაზე და, შესაბამისად, მის კანონზე მაღლა დაყენებაზე, შეიძლება შეფასდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლი: **„უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენლებთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“. ძნელი წარმოსადგენია რაიმე უფრო ანტიკონსტიტუციური და სუვერენიტეტის შემზღუდავი, ვიდრე უცხო სახელმწიფოს ზეწოლით კანონის უზენაესობის პრინციპზე უარის თქმაა. თუ ვითარებას სს კოდექსის ამ მუხლზე დაყრდნობით შევაფასებთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ მთავრობას, უბრალოდ, არ აქვს ამ თემაზე მოლაპარაკების გამართვის უფლება და, თუ ამას მართლა აკეთებს, მით უარესი მისთვის.** ამავე მიზეზით, ეს თემა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საიდუმლო დიპლომატიის ნაწილი — საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, არღვევს თუ არა ხელისუფლება კანონს.

მიხეილ სააკაშვილის ვერსიით (22 აპრილის ჩართვა მისი ინიციატივით შექმნილი ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიაზე), მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: **„თქვენს, ახლავე დავაკავებთ, თუ დაკითხვაზე არ გამოცხადდებაო, მაგრამ ორ დღეში ყველაფერი უკან წაიღეს. თქვენ გგონიათ, უცებ სინდისმა შეაწუხათ და თვალები გაუნათდათ?! — არა. ამერიკის ძალიან მაღალი დონის თანამდებობის პირმა დაურეკა ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს, შემდეგ ელჩი მივიდა წერილით და უთხრეს, თქვენ, მე მგონი, ვერაფერი გაიგეთ, რადგან ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი დიდხანს ესაუბრა ღარიბაშვილს, რომ ეს არ გააკეთოს. უთხრეს, ჩვენ ვართ ძალიან გაბრაზებული და ეს ამ მთავრობას დაუჯდება ძვირად. მეტიც, უთხრეს, პირადად ივანიშვილს დავუწესებთ სანქციებსო — მის ანგარიშებს დავაყადაღებთ, მის ფრანგულ მოქალაქეობას გადავხედავთ, ველარ გადაადგილდება და ექნება პრობლემაო“.**

ზოგიერთმა მონაკვეთმა ამ განცხადებაში შეიძლება სერიოზული ეჭვი გამოიწვიოს. მაგალითად, აშშ-ის არც ერთი ოფიციალური პირი, 99%-იანი ალბათობით, არასოდეს იტყვის საჯაროდ „მის საფრანგეთის მოქალაქეობას გადავხედავთ“, რადგან ეს საფრანგეთის სუვერენიტეტის ღია და აშკარა შეურაცხყოფაა, რომელსაც შეიძლება სერიოზული სკანდალი მოჰყვეს. ზოგადად, ჩვენი მთავრობა და აშშ-ის საელჩო საქართველოში, დიდი ხანია, არ რეაგირებენ მსგავს განცხადებებზე, რადგან, ფორმალური თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილი ერთი კერძო პირია, რომლის მენტალური მდგრადობა, სავარაუდოდ, ძლიერ შეირყა, მაგრამ კონკრეტულად ამ განცხადების დატოვება რეაგირების გარეშე, ალბათ, არ შეიძლება — ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ახდენს თუ არა ვინმე ზეწოლას ხელისუფლებაზე, რომ მან საქართველოს სუვერენიტეტსა და კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს გადააბიჯოს.

## არც ერთი ნაბიჯი უკან

**როდესაც საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობა უცხო ძალების ზეწოლის ქვეშ იმყოფება, მისთვის სასურველია, საჯაროდ და მკაფიოდ დააფიქსიროს უცხოელი პარტნიორების წინაშე, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც საკუთარ (დემოკრატიული სტანდარტების შესაბამის) კანონებს ვერ გადაუვლის.** საქართველო, მისი სისუსტის მიუხედავად, არავისი არ არის, მათ შორის არც აშშ-ის კოლონიაა, არც 100 წლის წინანდელი ფილიპინები, არც 50 წლის წინანდელი ლათინოამერიკული „ბანანის რესპუბლიკა“. თუ ვინმეს ეს არ ესმის, მთავრობამ უნდა შეაგნებინოს, რადგან სწორედ ისაა პასუხისმგებელი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ღირსების დაცვაზე.

დროებით თავი დავანებოთ საკითხის ფორმალურ მხარეს, რათა მოვიყვანოთ კიდევ ერთი საგულისხმო ფრაზა „ვაშინგტონ პოსტის“ განხილული პუბლიკაციიდან: **„ნატოს არ შეუძლია ამ ქვეყნების (საქართველოსა და მოლდოვას) დაცვა რუსეთის შემოჭრისგან“.** თუ სიტუაციას რეალური პოლიტიკის ცინკური რაკურსიდან შევხედავთ, ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს ფორმულირება, თავის ლოგიკურ განვითარებაში, ვაშინგტონს და მითუმეტეს „ვაშინგტონ პოსტს“ იმპერიული დიქტატის უფლებას ართმევს: თუ იმპერიას არ შეუძლია დაიცვას ესა თუ ის ქვეყანა, ის მისთვის ჭკუის სწავლების უფლებასაც კარგავს (ეს აქსიომაა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან). თანაც საქართველოს ხელისუფლება ამ შემთხვევაში კრიმინალურს არაფერს აკეთებს და უბრალოდ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებს.

რამდენიმე საათში „ვაშინგტონ პოსტის“ პუბლიკაციიდან ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ ყრილობაზე გააკეთა განცხადება, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პასუხი: **„მათ უნდათ, პირად ამბიციებს გადააყოლონ სახელმწიფო ინსტიტუტები და ქვეყნის იმიჯი. მათ გასაგონად ვიტყვი: ყველა, ვინც დაარღვევს კანონს, აგებს პასუხს. და როგორც უნდა ეცადონ, არავის მივცემთ უფლებას შელახოს სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაცია. კანონის უზენაესობის დაცვა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა!“.** პრინციპში, მშვენიერი დეკლარაციაა, თუმცა ყოველივე ამას საქმით დამტკიცება დასჭირდება. **არაერთგზის ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი აპატიებს ხელისუფლებას თითქმის ყველაფერს, დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯის იდეაზე უარის თქმის გარდა. ის, სავარაუდოდ, ყურადღებით დააკვირდება, რას მოიმოქმედებს პროკურატურა უახლოეს მომავალში, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რომელიც ახლა უცხოელი ლობისტების ზურგს ამოფარებული საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს დასცინის.** ამასთანავე, საზოგადოებას ძალიან გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ მას არანაირი კავშირი არ აქვს იმ საქმეებთან, რომელთა გამოც მისი მთავრობის საკვანძო წარმომადგენლებს ასამართლებენ.

ვაშინგტონის ყოფილი ფავორიტები ციხეში ბოლო დროს არცთუ იშვიათად ხვდებიან, იქნება ეს ალბერტო ფუხიმორი პერუში, ჩენ შუიბიანი ტაივანში თუ სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტები. ერთ-ერთმა ქართველმა ექსპერტმა (კერძო საუბარში, რადგან საჯაროდ ამას ვერ იტყოდა) განაცხადა, რომ ვაშინგტონი, შესაძლოა, ცდილობს, ვადაგასული აქტივისგან (მიხეილ სააკაშვილსგან), რომლის გამოყენება ქართულ პოლიტიკაში უკვე შეუძლებელია, მაქსიმალური ამონაგები მიიღოს და, მისთვის არაფორმალური იმუნიტეტის მოხსნის სანაცვლოდ, საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან ძალზე სერიოზული დათმობები მიიღოს და ყოველივე ეს ბანალური „ჰაერის გაყიდვაა“, რომელშიც ამერიკელ ბიზნესმენებს, როგორც ცნობილია, ბადალი არ ჰყავთ. **შესაძლოა, ამ ვარაუდის უკან გარკვეული ლოგიკა დგას, თუმცა ასე რომც არ იყოს, საზოგადოებამ, ალბათ, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ აიძულოს ხელისუფლება, არც ერთი ნაბიჯით არ გადაუხვიოს კანონის მოთხოვნებს და განსასჯელთა სკამზე დასვას უკლებლივ ყველა სახელმწიფო მოხელე, რომლებმაც 2003-12 წლებში (სავარაუდოდ) დანაშაული ჩაიდინეს, მიხეილ სააკაშვილი იქნება, თუ ნებისმიერი სხვა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ შეეცდება ყოფილი დიქტატორის, მისი მინისტრებისა და სხვა მონსტრების დაცვას, ოფიციალური ვაშინგტონი, „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭო თუ ჰოკეის გუნდი „ვაშინგტონ კეპიტალსი“ სრული შემადგენლობით.**

**დიმიტრი მონიავა**



# «ქართული ოცნების» ამომრჩეველი აპატიებს ხელისუფლებას თითქმის ყველაფერს, დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯის იდეაზე უარის თქმის გარდა



# აშშ-ის სპეცსამსახურებს ნება დართეს, ნებისმიერი ქვეყნის სერვერიდან მოიპოვონ ინფორმაცია

**ფედერალურმა სასამართლომ მოსამართლის — ჯეიმს ფრენსისის გადაწყვეტილებით, აშშ-ის ხელისუფლების მოთხოვნა ინტერნეტკორპორაციების მომხმარებელთა მონაცემების გაცემის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს მონაცემები უცხოეთში ინახება.**

Reuters-ის ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ გამოიტანა კორპორაცია „მაიკროსოფტისა“ და აშშ-ის ხელისუფლების სასამართლო პროცესზე. კორპორაციის იურისტებმა უარი უთხრეს სპეცსამსახურის თანამშრომლებს ერთ-ერთი კლიენტის მონაცემების გადაცემაზე, რადგან ეს მონაცემები დუბლინში (ირლანდიაში) ინახებოდა. ხელისუფლება დაინტერესებული იყო ამ პიროვნების მიმოწერის, საბანკო გადარიცხვებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციით, თუმცა რატომ გამოწერა სასამართლომ ორდერი ამ მონაცემების სპეცსამსახურებისთვის გადაცემაზე, საიდუმლოდ დარჩა.

„მაიკროსოფტის“ იურისტები მიუთითებდნენ კანონზე, რომლის თანახმადაც, დაპატიმრების ორდერი ძალას კარგავს, თუკი ეჭვმიტანილი უცხოეთში იმყოფება, და ეს წესი ინტერნეტის მომხმარებელთა პირად ინფორმაციაზეც უნდა გავრცელებულიყო. სასამართლომ კი გადაწყვიტა, რომ ციფრული კონტენტის (ინფორმაციული რესურსი — ტექსტები, მულტიმედია, გრაფიკა, ხმოვანი და ვიდეოფაილები) მოპოვების შესახებ ორდერის გაცემას არეგულირებს კანონი „ინფორმაციის შენახვის“ (Stored Communications Act) შესახებ.

და **რადგან სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პირველია, ის პრეცედენტად ითვლება და ავტომატურად გავრცელდება ყველა ამერიკულ კომპანიაზე.**

**მაგალითად, თუკი ამერიკულ კომპანიას აქვს სერვერი საქართველოში, აშშ-ის ხელისუფლებას ქართული მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია აიღოს ნებისმიერი მონაცემი, რომელიც კი ამ სერვერზე ინახება.**

აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ მიიღო ედვარდ სნოუდენის მიერ გამოქვეყნებული მამხილებელი დოკუმენტების შედეგად ატეხილი სკანდალის ფონზე — სნოუდენმა აშშ-ის ხელისუფლება გლობალურ თვალთვალსა და მოსმენებში დაადანაშაულა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ალასანიას დღესაც აქვს მყარი პოზიციები აშშ-ში, გარკვეული წრეები მხარს უჭერენ ან რატომ არ უნდა დაუჭირონ, ის ხომ მათი ყველა ბრძანების შესასრულებლად მზად არის?!“**



### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# ალასანიამ გაეროში ელჩად ყოფნის დრო გამოიყენა იმისთვის, რომ კარგად ჩახუტებოდა ამერიკელებს, და ლენგლში სადაზვერვო სამსახურის კურსები გაიარა

**არის თუ არა ხელისუფლებაში განხეთქილება? სწორედ ამ საკითხის განხილვით დავიწყეთ ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მწვავედ შეაფასა.**



— ბოლო ხანს ვარაუდი გამოითქვა, გარკვეული სახელისუფლო წრეები გადატრიალებისთვის ემზადებიანო. ეს ვარაუდი სინამდვილესთან ახლოს დგას. **როგორც ჩანს, კოალიციის დანარჩენი ძალები პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ არ არიან კეთილგანწყობილნი. ამასთანავე, პრეზიდენტი მარგველაშვილი განაწყენებულია ბიძინა ივანიშვილზე,** რის შესახებაც თავადვე განაცხადა პრაღაში ვიზიტისას რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და ისიც თქვა, ჩემზე ცუდად მოქმედებს ივანიშვილის კრიტიკაო. გარდა ამისა, თუ მოხდება მინისტრების შეცვლა, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ოთხი მინისტრის გადადგომა საკმარისია იმისათვის, რომ ახალი კაბინეტი გახდეს დასამტკიცებელი. ეს ყველაფერი გზას გაუხსნის პარლამენტს, რომ ახალი მთავრობა აირჩიოს პრემიერმინისტრითურთ. **ვინაიდან ახალ მთავრობაში აღარ განიხილავენ ღარიბაშვილს, ეს ნიშნავს, რომ გადატრიალებას მართლაც ამზადებენ.** ასევე **არსებობს მოსაზრება, რომ პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი „ნაციონალებთან“ არის გარიგებული და ამ ყველაფრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს არავინ დაუჭერს მხარს, შედეგად მოხდება გაპრემიერმინისტრება ირაკლი ალასანიასი, რაც ხელს აძლევს როგორც „ნაციონალებს“, ასევე რესპუბლიკელებს** და ა. შ. როგორც ჩანს, **ეს ყველაფერი გულზე მოხვდა ირაკლი ღარიბაშვილს და მთავრობის ბოლო სხდომაზე განაცხადა, რომ ჩვენი გუნდი მონოლითურია, ჩვენ შეკრული ვართ და არ გვყავს ადამიანი, რომელიც გვიღალატებსო.** ეს იყო პასუხი იმ ვარაუდზე, რომელიც გავრცელდა ინტერნეტსივრცეში. **რაც უნდა ამტკიცონ ღარიბაშვილმა და „ოცნებელებმა“, რომ ყველაფერი რიგზე აქვთ, ცხადია, მთავრობაში ყველაფერი რიგზე არ არის და ისიც ნათელია, რომ ერთმანეთს ჭამენ;** თითქოს ფარულად, მაგრამ ეს ხმა გარეთაც გამოდის. **ალასანია დაბოღმილი რომ არის ბიძინა ივანიშვილზე, ნათელია, რადგან ივანიშვილმა ორჯერ გაუცრუა იმედი. ცნობილია, რომ პრემიერმინისტრობა ალასანიას სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა, შემდეგ პრეზიდენტობის სურვილიც გამოთქვა, მაგრამ არც ამ შემთხვევაში გაუმართლა.** ამ ყველაფერს თან დაერთო შიგადაპირისპირებაც. როდესაც პრემიერმინისტრი იყო ივანიშვილი, მან ალასანაია პირველი ვიცეპრემიერობიდან მოხსნა.

**ის, რომ ირაკლი ალასანიას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს „ნაციონალებთან“, არ მიკვირს, რადგან ალასანია სააკაშვილის შექმნილია.** ირაკლი ალასანია პოლიტიკურ ცხოვრებაში მამამისის, მამია ალასანიას, დამსახურებით გამოჩნდა — ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ირაკლი ალასანია უშიშროების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ამის შემდეგ სააკაშვილმა, პრეზიდენტი რომ გახდა, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ გადაიყვანა, ცოტა ხანში კი გაეროში გაგზავნა საქართველოს წარმომადგენლად. **ალასანიამ გაეროში ელჩად ყოფნის დრო გამოიყენა იმისთვის, რომ კარგად ჩახუტებოდა ამერიკელებს და ლენგლში სადაზვერვო სამსახურის კურსები გაიარა.** დღეს ალასანიას შვილები ამერიკაში ცხოვრობენ და თვითონაც ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამერიკელებთან, თანაც გაეროში ყოფნის პერიოდში საკმაოდ კარგი პირობები შეიქმნა საკუთარი თავისთვის. ალასანია არ გადადგებოდა გაეროში ელჩობიდან, სააკაშვილს რომ არ მოესურვებინა. როგორც ჩანს, სააკაშვილს მოახსენეს ალასანიას გამყიდველობის შესახებ. **ირაკლი ალასანია მართლაც არ არის სანდო პიროვნება — დღეს შენთან არის, ხვალ — სხვასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავისთვის უკეთეს პირობებს ეძებს. 2008 წლის ომის შემდეგ ალასანია ხმალამოღებული რომ იცავდა სააკაშვილს, ეს საზოგადოებას რატომღაც დაავიწყდა. კარგად მახსოვს მისი გამოსვლები გაეროში, დაბეჯითებით რომ ლანძღავდა რუსეთს და სააკაშვილს აქებდა, თუმცა, ამის მიუხედავად, სააკაშვილი მიხვდა, რომ ის პიროვნება სანდო არ იყო და მოიშორა.** საბოლოოდ კი ისე გამოჩნდა, თითქოს ალასანია გადადგა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გადადგებოდა, რომ არ სცოდნოდა, მის წინააღმდეგ რას მოიმოქმედებდა სააკაშვილი. ამ გადადგომის შემდეგ მან შეინარჩუნა ურთიერთობა ამერიკის გარკვეულ წრეებთან და სწორედ ამერიკა მიიჩნევდა ალასანიას სააკაშვილის შემცვლელად. **როდესაც ალასანია საქართველოში ჩამოვიდა, მას ამერიკელები ჩამოჰყვნენ და გარკვეული პერიოდი საქართველოში დაჰყვეს, როგორც ალასანაიას დაცვის წევრებმა. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ალასანიას დღესაც აქვს მყარი პოზიციები აშშ-ში, გარკვეული წრეები მხარს უჭერენ ან რატომ არ უნდა დაუჭირონ, ის ხომ მათი ყველა ბრძანების შესასრულებლად მზად არის?!** საბოლოოდ კი **ამერიკამ მოახერხა ის, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც და ოპოზიციაც პროამერიკულები არიან. საქართველო არის ამერიკული მოდელი, რადგან მთელი სისტემა, პროამერიკული ტელევიზიებითა და არასამთავრობო ორგანიზაციებით არის დაკომპლექტებული.** საქართველოს ხელისუფლებაში ამერიკელების ყველაზე სანდო პირი ალასანიაა და დღეს, როდესაც ეს ადამიანი ამბობს, „ნაციონალებს“ ჩადენილი დანაშაული უნდა შევუნდოთო, ეს არა მხოლოდ მისი ფრაზა, არამედ ამერიკის სურვილის გახმაურებაცაა. ამერიკას არ სურს, „ნაციონალების“ წინააღმდეგ აღიძრას საქმე, რადგან „დემოკრატიის შუქურის“ მეჩირაღდნე ციხეში არ გამოამწყვდიონ. **ალასანია ყველასთან კარგ ურთიერთობას ამყარებს, რაც მის ფინანსურ მდგომარეობას საიმედოს ხდის. ასევე იქცევიან უსუფაშვილი და ხიდაშელი, რომლებიც წითელ კოჭებს უგორებენ ამერიკელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკამ მათ თითი არ დაუქნიოს.**

**«ამერიკელების ყველაზე სანდო პირი ხელისუფლებაში ალასანიაა და დღეს ეს ადამიანი რომ ამბობს, «ნაციონალებს» ჩადენილი დანაშაული უნდა შევუნდოთო, არა მხოლოდ მისი ფრაზა, არამედ ამერიკის სურვილის გახმაურებაცაა»**

ამერიკამ კი იცის, რომ ამ გზით საქართველოს ცუდი ურთიერთობა უყალიბდება რუსეთთან და ჩვენი ხელისუფალნიც იქცევიან არა ქვეყნის, არამედ მხოლოდ საკუთარი კუჭის ინტერესების შესაბამისად. **ასე იქცევა ივანიშვილიც.** მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ძალიან ბევრმა იშოვა ფული, მაინც ანტირუსულად არიან განწყობილნი. ივანიშვილიც ამ კატეგორიას მიეკუთვნება. **ის, რომ დღეს უცხოეთშია მისი ფული, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქნას გაკონტროლებული ამერიკელების მიერ, აფიქრებს ივანიშვილს და ამიტომაც აქვს საქართველოს ინტერესები მეორე პლანზე გადაწეული. წინა პლანზე კი ის შვიდი მილიარდი დგას, რომელიც რა გზით იშოვა, ღმერთმა იცის.** ან **რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ივანიშვილი საქართველოსთვის თავს გაწირავს?** ეს ის კაცია, რომელიც შესანიშნავად იცხოვრებს არა მხოლოდ ჭორვილაში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდაც კი მისთვის კომფორტული გარემო იყოს. ასეთი გარემოს შექმნა ყველგან და ყოველთვის შეიძლება, თუ გაქვს ფული. **ამიტომაც გამოიყვანეს რუსეთი ბუად, რომელიც ჩვენი მეგობარი ქვეყნის, ანუ ამერიკის სტრატეგიული მტერია. რუსეთის ლანძღვით ივანიშვილი და სხვები ასრულებენ ამერიკის დავალებას.** როდესაც ჩვენი დელეგაცია იმყოფებოდა სტრასბურგში, ევროსაბჭოს ბოლო სხდომაზე, პირველი, ვინც მოინდომა რუსეთის ევროსაბჭოდან გარიცხვა, სწორედ ჩვენი დელეგაცია იყო. საქმე ის არის, რომ რუსეთი, როგორც კი შეხედა ევროსაბჭოში არსებულ სიტუაციას, მიხვდა, რომ იქ არაფერი ესაქმება, რადგან ეს არის მხოლოდ სალაპარაკო ორგანიზაცია, სადაც მხოლოდ ენას იქავებენ, ხოლო საქმე ჯერ არავის გაუკეთებია და ამ ლაპარაკში ყოველწლიურად 23 მილიონის გადახდა ნამდვლად არ აძლევს ხელს რუსეთს და შესაძლოა, წლის ბოლოს თვითონ დატოვოს ევროსაბჭო. ქართველებს კი ჰგონიათ, რომ ძალიან მკაცრები არიან და რუსეთი ევროსაბჭოდან გააგდეს, რაც სასაცილოა.

**— ქართველი ექსპერტები სხვაგვარად აფასებენ ამ პროცესებს...**

— რომელ ექსპერტებზე მელაპარაკებით? სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდა, როგორც ინტელექტის, ისე ეკონომიკის თვალსაზრისით. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ განვლილმა ომებმა აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან, პირველი პრეზიდენტის იარაღით ჩამოგდებამ, მხედრიონის თარეშმა და ამ ყველაფრის გამო შექმნილმა ვითარებამ საქართველოს არ მისცა საშუალება, რომ სწავლება ნორმალურ დონეზე ყოფილიყო. მე თუ მკითხავთ, **საქართველოში 1988 წლის შემდეგ სწავლა აღარ არის.** ამიტომ **წარმოუდგენელია, საქართველოს ჰყავდეს განსწავლული, ჭკვიანი, ანალიტიკური აზროვნების მქონე ექსპერტთა ჯგუფი.** ჩემს გაოცებას არ აქვს საზღვარი, როდესაც გამოდიან პატარა გოგობიჭები, ჩიტიძეები და ა. შ. და ყველას ჰქვია პოლიტოლოგი და ექსპერტი. მათი საუბრიდან, რაც ყველაზე გამაღიზიანებელია, მიკერძოება გამოსჭვივის. ძალიან ბევრი ესქპერტი ემსახურება ამერიკის ინტერესებს, რადგან სწორედ მისგან ფინანსდება. ეს ვაიექსპერტები ისე მიტმასნილნი არიან ხელისუფლებასთან, რომ მათი რუპორები არიან. ეს ტენდენცია სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პე- ▶

**„დარწმუნებული ვარ, სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოს დიდ ქალაქებში მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები დაიწყება სოციალური მოთხოვნებით... ძალიან მალე ხალხი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნითაც გამოვა ქუჩაში“.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...რიოდში დამკვიდრდა და დღესაც გრძელდება... ამის მაგალითია სოსო ცისკარიშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის ხანაში პოლიტოლოგობდა და ექსპერტობდა. რამაზ საყვარელიძე, კვესელავა და ცინცაძე სააკაშვილის მრჩევლები იყვნენ და, როდესაც პრეზიდენტის მრჩეველი ხარ, ძალიან შორს დგახარ პოლიტოლოგიისგან. **მართალია, ცისკარიშვილი არ იყო პრეზიდენტის მრჩეველი, მაგრამ იყო პირი, რომელსაც სააკაშვილი ნდობით უყურებდა წლების განმავლობაში.**

ბოლო წლებში ქართველი კაცი ძალიან გაირყვნა, სადაც ფულს ხედავს, იქ გარბის. დაინახეს ივანიშვილი და ეთაყვანებიან. **ბიძინამ ერთი წლით იყიდა პოლიტოლოგები და ამ ხნის განმავლობაში ალაპარაკა, შემდეგ კი, როცა დაინახა, მათი ლაპარაკი ისეთი არ იყო, როგორიც სურდა, ყველა შეკრიბა და მიჯირყვნა.** ცისკარიშვილის კანტორაც ძალიან სასაცილო რამ არის, — დამოუკიდებელ პოლიტოლოგთა თუ ექსპერტთა კლუბი. ან იმ სოროში თუ კლუბში, სადაც ის არსებობს, ვინ იხდის შენახვის თანხას? **ერთი პატარა სოროს დაქირავება 400-500 დოლარი ღირს, მით უმეტეს, თავისუფლების მოედანზე გაცილებით ძვირია და საინტერესოა, ვინ უხდის ცისკარიშვილს ქირას?! ორი ვარიანტია — მას ან ამერიკა აფინანსებს, რომელიც საქართველოში ყველას ყიდულობს, ან ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ასევე ყველას ყიდულობს.** ამიტომაც საუბრობს ცისკარიშვილი „აწონილ-დაწონილად“, ისე, რომ არც ამერიკას აწყენინოს და არც — ივანიშვილს. ასეთ შემთხვევაში კი ვისი წყენინებაა მომგებიანი? — ცხადია, რუსეთის. ამიტომაც აგინებს რუსეთს. ეს ყველაფერი უცოდინარობის ბრალია. **რაც ყველაზე ცუდია, ეს ე. წ. პოლიტოლოგები თუ ექსპერტები თავს არ იწუხებენ კითხვით. ცისკარიშვილ-საყვარელიძეების თამადობით, არ მინახავს, რომელიმე ამ ე. წ. ექსპერტს თავის ხელით დაეწეროს სტატია და რომელიმე გაზეთში გამოექვეყნებინოს, მხოლოდ ინტერვიუებს იძლევიან და კომენტატორის როლში არიან.** ცისკარიშვილი, გასალანძღია თუ არა, რეგულარულად ლანძღავს რუსეთს. ცხადია, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებს. რატომ კადრულობს ამას? **იმიტომ, რომ ასეთი აზრის გავრცელება საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, მთავრობას აძლევს ხელს, თანაც რუსეთის ლანძღვას გაცილებით მეტი შემოსავალი მოაქვს.** არ შეიძლება ამ ქვეყნის მისამართით ასეთი ყიამყრალი ლაპარაკი. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა დამარწმუნა, რომ რუსეთმა სწორი ნაბიჯები გადადგა. **და როდესაც 75 წლის კაცი ისევე აზროვნებ, როგორც ვიღაც ჩიტაიძე და სხვა ე. წ. ექსპერტები, გამოდის, რომ შენი საქმე მთლად კარგად არ არის.** საინტერესოა, ცისკარიშვილი ვერ ხვდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხალხი აღარ წაიკითხავს მის ნაბოდვარს...

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**



### ლადო სადღობელაშვილი:

# შემოდგომაზე მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები დაიწყება. ბოკერია ისე არ მოისვენებს, რომ არეულობა არ გამოიწვიოს

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება მოძრაობის „მამული, ენა, სარწმუნოება“ დამფუძნებელი ლადო სადღობელაშვილი:**

— როდესაც თბილისში დავბრუნდი, გამაოგნა დანაგვიანებულმა ქუჩებმა, გაფუჭებულმა ასფალტმა, ადამიანების ტრაგიკულმა სახეებმა... ყველამ კარგად იცის ჩემი დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, რომლის წარმომადგენლებსაც საშინლად ვერ ვიტან, მაგრამ მათი მმართველობის პერიოდში ფასადები მაინც გამოიყურებოდა აკურატულად. **ყველა, ვისაც კი შევხვდი, ქვეყნის დატოვებაზე ფიქრობს, ხალხი მეჩხუბება, — საქართველოში რამ ჩამოგიყვანა, აქ რა გინდაო,** მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მიყვარს ჩემი მიწა-წყალი, ვერ შევეგუე ევროპას, არა იმიტომ, რომ ცუდი ქვეყანაა საფრანგეთი, იქ ცხოვრების ათასჯერ უკეთესი პირობებია, მაგრამ მე ჩემი ჭუჭყიანი თბილისი, ჩემი გაპარტახებული ქვეყანა მირჩევნია. თანაც ახლა თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება და ვაპირებ, ძალები მოვსინჯო. **პირველი, რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში, ხალხის სიდუხჭირეა და დარწმუნებული ვარ, სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოს დიდ ქალაქებში მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები დაიწყება სოციალური მოთხოვნებით.** არ ვართ ქართველები ის ერი, რომელიც ამდენ უსამართლობას, ტყუილს, უმუშევრობას, დაპირებების შეუსრულებლობასა და სიბინძურეში ყოფნას მოითმენს. **მოთმინების ფიალა ივსება და დღევანდელ ხელისუფლებას ველარ უშველის მხოლოდ ბაჩო ახალაიასა და მერაბიშვილის დაპატიმრება.** ხალხი იმედგაცრუებულია, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩასხდნენ სავარძლებში, დაითრიეს მსუყე ლუკმები და ხალხის წინაშე ხელები დაიბანეს. ისინი „ნაცებთან“ ერთად მშვენივრად გრძობენ თავს, იცით, ეს რატომ ხდება? დღეს ვინც „ოცნებაშია“, თავის დროზე ყველა „ნაციონალურ მოძრაობაში“ გამოიწრთო. ცხადად ჩანს, რომ ამ არჩევნების შედეგებიც უკვე ცნობილია. **რატომ უნდა გახდეს „ოცნების“ მეროբის კანდიდატი თბილისის მერი, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიძინამ გვირჩია? ბიძინამ მარგველაშვილიც გვირჩია პრეზიდენტად...**

აგერ ნახავთ, **ძალიან მალე ხალხი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნითაც გამოვა ქუჩაში. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, რომ ყველას თავისი ადგილი მიეჩინოს პოლიტიკური სპექტრში. აი, ეს იქნება სამართლიანობის აღდგენის დასაწყისი, რაც „ოცნებამ“ ვერ მოახერხა. თუ „ოცნება“ ძველებურად განაგრძობს „ნაცებთან“ კურკურს, ძალიან მალე მოიმკის იმას, რაც დათესა. არაფერი შეუსრულებია, რაც დაგვპირდა და ხელისუფლებაში შემთხვევით მოსულებივით იქცევიან, არანაირი გეგმა არ აქვთ და ცხოვრება უარესობისკენ მიდის.**

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ჩადენილი დანაშაული უნდა ვაპატიოთო...**

— საინტერესოა, **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის მშობლებისა და ათასობით გაუბედურებული ადამიანის ნაცვლად მიუტევებს ირაკლი ალასანია დანაშაულს „ნაციონალებს“?** გარდა ამისა, სად ალასანია და სად პატიების თემა, ამ სისულელეს რა უფლებით ამბობს? ამ თემით მანიპულირების უფლება დღევანდელ ხელისუფლებაში ძალიან ბევრს არ აქვს, განსაკუთრებით კი — ალასანიას და მის გუნდს. **ასე თუ ვაპატიეთ ბოროტმოქმედებს მკვლელობები და ძარცვა-გლეჯა, მაშ, რაღა საჭიროა ციხეები, პროკურატურა, სასამართლო?!**

— „ქართული ოცნება“ ორმაგი სტანდარტით მოქმედებს — ყურებით ჰყავთ დაჭერილი ბოკერია და უგულავა, დაარბენინებენ სასამართლოში და არც აპატიმრებენ და არც უშვებენ.

**ხელისუფლება ლაპარაკობს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარებაზე, ტერიტორიების დაბრუნებაზე, ამასთანავე, საუბრობს ევროკავშირში გაწევრებაზე და ნაბიჯს არ დგამს რუსეთისკენ.** არ ვამბობ, რომ რუსეთს უნდა დავემონოთ, მაგრამ, **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რომ განაცხადა ყირიმის მაგალითზე, აფხაზეთს და ოსეთს არ გამოუთქვამთ ამის სურვილი და ამაზე საუბარიც არ არისო, ამით რუსეთმა გამოგვიგზავნა მესიჯი და ახლა შემხვედრ ნაბიჯს ჩვენგან ელის, მაგრამ ვინ არის ამის გამკეთებელი?!** 2 წელი ხდება, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია და რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრა არ დაგეგმილა. მიდი და დაელაპარაკე, შე დალოცვილო, აქ ხომ საუბარი მხოლოდ ვითარების მოწესრიგებაზეა?! ამ ხელისუფლებას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება გეგმაშიც არ აქვს. საქართველოში არ არსებობს ნორმალური ადამიანი, რომელსაც სურს, რომ ევროკავშირში საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეს. **განახევრებული საქართველო ვერც ევროკავშირში შევა და ვერც „მაპზე უკეთესს“ მიიღებს, ამიტომ სჯობს, რუსეთთან მოვაგვაროთ ურთიერთობა.** ამ საკითხში ყველა ქვეყანა გვჯობნის. მაგალითად, სომხეთს რუსეთთანაც მოგვარებული აქვს ურთიერთობა, ამერიკასთანაც და ევროპასთან...

დღეს საქართველოს კვლავ ბიძინა ივანიშვილი მართავს. მას მინისტრები როგორც ღმერთს, ისე შეჰყურებენ და ყველა მნიშვნელოვან საკითხს უთანხმებენ. თუმცა შემდეგ ნაწილდება ძალები ღარიბაშვილზე, ალასანიასა და რესპუბლიკელებზე, ამასთან, ბოლო ხანს მარგველაშვილის ფლანგიც ყალიბდება მთავრობაში. დააკვირდით, ძალიან ხშირად რესპუბლიკელების აზრები არ ემთხვევა ღარიბაშვილისას და **საკმაოდ ბევრი ბზარია ხელისუფალთა შორის, რაც უახლოეს მომავალში განხეთქილებას გამოიწვევს. რესპუბლიკური პარტია დაფუძნებისთანავე საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ორგანიზმია და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს. როგორ შეიძლება, ყველა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში კარგად ცხოვრობდე, რეიტინგებში მხოლოდ და მხოლოდ სამი პროცენტი გქონდეს და მატერიალურად მაინც ძლიერად იყო?** რესპუბლიკელები ამ ყველაფერს გრანტებითა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებებით ახერხებდნენ. არ არის გამორიცხული, ეს პარტია დღესაც შეკრული იყოს „ნაცებთან“. სამწუხაროდ, „ოცნება“ ჩამოუყალიბებელი ორგანიზმია, რომელშიც შიგა უთანხმოება იზრდება. ეს ყველაფერი, დიდი-დიდი, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე გაგრძელდეს. შესაძლოა, იმ დროისთვის ღარიბაშვილმა რესპუბლიკელები აღარც შეახედოს პარლამენტში და დაემშვიდობოს ძალას, რომელიც **ანგრევს საქართველოს და მართლმადიდებლობას.** კი გაიაძახიან, — ამერიკა-ევროპაო, მაგრამ რეალურად სხვა მიმართულებით ცდილობენ ქვეყნის წაყვანას და მალე კრახით დაასრულებენ „მოღვაწეობას“...

**ახლახან შევიტყვე, რომ სააკაშვილს მთლიანად გაუქარწყლებს ერეკლეს სასახლე და დღეს, ტელეეთერში რომ გამოჭყავთ წითელწინდებიანი ნიკა რურუა, სწორედ ამ ადამიანის ხელშეწყობით მოხდა ჩვენი მუზეუმების გაძარცვა. ამას რატომ არ ითვალისწინებს ღარიბაშვილი? ნუთუ ვერ ხვდება, რომ ათი წლის შემდეგ ისიც „ნაციონალების“ მდგომარეობაში აღმოჩნდება და ამის გამო ქართველი ხალხი პომიდორსა და კვერცხს დაუშენს?**

**— რას აპირებთ?**

— ძველებურად გააქტიურება. ჩვენი ტრადიციებისა და ეროვნული ღირსების დაცვას. ამ ყველაფრის საფრთხის შემქმნელად უკვე „ოცნებას“ ვხედავ თავისი რესპუბლიკელებიანად. ლგბტ-ს წარმომადგენელი რომ მეტყვის, ჰომოფობი ხარო, სასაცილოა. **თუ საქართველოში ჰომოფობს გიწოდებენ, ნიშნავს, რომ ნორმალური ადამიანი ხარ.** 17 მაისი ახლოვდება და არ მგონია, მხოლოდ გეიფილმის პრემიერით შემოიფარგლონ. **ბოკერია ისე არ მოისვენებს, რომ დაძაბულობა არ გამოიწვიოს თბილისის ქუჩებში.** ამიტომ ხელისუფლებას ეკისრება დიდი როლი, შარშანდელი პროვოკაცია რომ აღარ განმეორდეს და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაყალიბოს თვალსაზრისი ამ ე. წ. საზოგადოების საქართველოში არსებობაზე. **თუ 17 მაისს მოხდა პროვოკაცია, დავდგები მათ მხარეს, ვინც პედერასტებს კვერცხებსა და პომიდვრებს დაუშენს. ამიტომ არ გაბედონ ჰომოსექსუალებმა ამ დღეს პროვოკაციის მოწყობა!** ისე, ეს ხალხი ამ ადამიანების უფლებებს კი არ იცავს, არამედ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად იბრძვის. ბორდელებიდან გამოქცეულებმა ვისი უფლებები უნდა დაიცვან, საკუთარ თავს მიხედონ, სჯობს. ასე რომ, თუ ამ დღეს კვლავ გამოჩნდება მღვდელი „ტაბურეტკით“, გამოვართმევ იმ სკამს და დავცხებ ავადმყოფ პროვოკატორებს!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**



**«სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის მშობლებისა და ათასობით გაუბედურებული ადამიანის ნაცვლად მიუტევებს ირაკლი ალასანია დანაშაულს «ნაციონალებს»?**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ თქვა, საერთოდ, რომ ერთი ადგილის ქიცინი ისტორიული არჩევანია და რატომ გვიმტკიცებს ეს ფილიპ დიმიტროვი, ევროპაში შესვლა მესაჯდომეობას არ ნიშნავს?! რატომ გაჩნდა საერთოდ ეს კითხვა, თუ იქ ძაღლის თავი არ არის დამარხული?!**

„კარგად მესმის მათი, ვისაც ძალიან ცუდად მოექცა სააკაშვილის ხელისუფლება, ვისაც დევნიდნენ და უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს ციხეში. ვიცი, რომ მათთვის ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და ვეტყვი: ჩვენი შვილების მომავლისთვის აუცილებელია, არ დავუშვათ ძალადობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ქვეყნის მომავლისთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის საფრთხეები, რომლებიც ქვეყანას ემუქრება და არ დავანახოთ სამყაროს, რომ შიგნიდან ვართ გახლეჩილი. აქედან გამომდინარე, მოთმინება და „ნაციონალური მოძრაობისთვის" რაღაცების პატიება მოგვიწევს. ეს შემიძლია მე ვთქვა, რადგან შევძელი და ვაპატიე აფხაზებს, რომლებმაც მამა დამიხვრიტეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნოდ მორატორიუმი გამოვაცხადეთ. ეს იდეა მთავრობის სხდომაზე გაგვიზიარა ირაკლი ღარიბაშვილმა, რასაც ყველა დავთანხმდით. მორატორიუმი სრულად უნდა შესრულდეს და საარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალება ყველას უნდა მიეცეს", — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა **ირაკლი ალასანიამ**.

# ვაპატიოთ მკვლელებს!




ძალიან, ძალიან მინდა, სტატია ბოლომდე ისე მივიყვანო, სადმე გინება არ გამეპაროს... რა გამოდის? **„ნაციონალურ მოძრაობას" უნდა ვაპატიოთ ყველაფერი, რათა უფრო რიხით შეძლონ საუბარი და იქეთ ევროპა და აქეთ ამერიკა არ გაგვინაწყენდეს?!** და, ირაკლი (არ დამიწყო ახლა, ბატონოს რატომ არ მეძახიო), რომ ამბობ, მამაჩემი მოკლეს და ვაპატიეო, **ის თუ იცი, რომ ციხეებში ადამიანებს ძირითადად კლავდნენ ნელ-ნელა, ყოველდღიურად, სულში ჩაფურთხებით, ცოცხებისა და „დუნბინკების" უკანალში კეთებით, ცემით, გვემით?**.. ის თუ გახსოვს, რომ მაშინ ომი იყო და ომში ვიღაც კვდება, აქ „მშვიდობა" იყო და მშვიდობის სახელით ციხეებიდან მხოლოდ გმინვა და გოდება ისმოდა?!

**ახლა რომ გვმოძღვრავ, ირაკლი, უნდა ვაპატიოთო, პირდაპირ გეკითხები — შენთვის ერთ ადგილზე ცოცხი რომ გაეკეთებინათ, აპატიებდი?! თუ მეტყვი, ვაპატიებდიო, მაშინ გაიკეთე და დაგიჯერებ. დღეში რამდენიმეჯერ აცემინე თავი ციხის ოფიცრებს და დაგიჯერებ... 12 კვადრატულ მეტრიან საკანში 30 კაცთან ერთად ერთი თვე გაატარე და დაგიჯერებ... ამ თემას კიდევ დავუბრუნდები, ირაკლი, მანამდე კი...**

**„თავდაცვის სამინისტრო სთხოვს ყველა მოქალაქეს, ძალიან წინდახედულად და პატრიოტული გრძნობით შეხედოს, თუ რა ხდება საქართველოში. სოკოებივით მრავლდება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, დიდი ეჭვი მაქვს, ფინანსდებიან ჩვენი არაკეთილმოსურნეების მხრიდან და ეს არის დაუშვებელი".**

ესეც ალასანიას განცხადებაა. **ის თუ იცი, ირაკლი, ვისგან ფინანსდებიან პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები და რატომ არის პატრიოტული, როდესაც გაიძახი, მაპზე უკეთესი გვიჭირავს ხელში და ევროპაში ერთი ადგილის ქიცინი საქართველოს ისტორიული არჩევანიო.** ეგ მაპზე უკეთესი ბარაკ ობამამ რომ გაგაცალათ ხელიდან ერთი განცხადებით, ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ და რა გიჭირავთ ახლა ხელში რეალურად, მაგასაც უნდა ხვდებოდეთ. და **ვინ თქვა, საერთოდ, რომ ერთი ადგილის ქიცინი ისტორიული არჩევანია და რატომ გვიმტკიცებს ეს ფილიპ დიმიტროვი, ევროპაში შესვლა მესაჯდომეობას არ ნიშნავს?! რატომ გაჩნდა საერთოდ ეს კითხვა, თუ იქ ძაღლის თავი არ არის დამარხული?!**

ალასანიამ ისიც თქვა, მე რუსეთისგან საფრთხეს ვერ ვხედავო და მაინც იწევს იქითკენ, საიდანაც არას მეტი არაფერი ისმის. მაინც **ცდილობს, ქართველი სამხედროები, რომლებიც ავღანეთში იბრძვიან, ახლა ცენტრალურ აფრიკაში გაუშვას და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე გაქსუებულმა ევროპარლამენტარმა შეხვედრისას ხელი კამერების წინ ჩამოართვას. მერე რა, რომ ეს ხელი ხანდახან ქართველი ჯარისკაცების სისხლით არის შეღებილი, ევროპაში ხარისხიანი საპონი იშოვება და არც იქაური ვაზელინი უნდა იყოს უხარისხო...**

ისევ პირველ განცხადებას დავუბრუნდეთ. თურმე „ნაციონალურ მოძრაობას" უნდა მიეცეს საარჩევნო პროცესის ნორმალურად ჩატარების უფლება. მოდი, **დავაკონკრეტოთ, ვის უნდა მიეცეს ნორმალურად საარჩევნო პროცესისა და ხელისუფლებაში დაბრუნების უფლება: მეგის ქარდავას, ახალაიების ტრიოს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, სააკაშვილს, მინაშვილს, გაბნაშვილს, წიკლაურს... თურმე ამათ უნდა ვუგოროთ წითელი კვერცხები, რომ თურმე არ გაბრაზდნენ, არ ვაწყენინოთ და...**

რად უნდათ „ნაცებს" პატიება, დიდება და შარავანდედი? „ნაცებს" რაც შეიძლება მალე, ულტიმატუმების გარშე უნდა ჩამოაცვა პოლიეთილენის შავი ტომარა...

არ იქნება დრამატული სცენები, გულისამაჩუყებელი გამოსამშვიდობებელი სფიჩები, გვირგვინებით მორთული ლაფეტი, არც პომპეზური მსვლელობა მუხათგვერდის სასაფლაოსკენ და არც გამოსამშვიდობებელი ზალპი საარტილერიო ქვემეხებიდან. სამგლოვიარო ცერემონიის ნაცვლად იქნება ფორმალინის სუნით გაჟღენთილი პროზექტურა და ამოცნობის ბანალური პროცედურა!

**ვიღაც, შესაძლოა, შემედავოს, ასეთი რამის დაწერა ადამიანებზე არ შეიძლებაო, გეთანხმებით. ამიტომაც ვწერ ამას „ნაცებზე" და არა — ადამიანებზე.**

**დავით მინდიაშვილი**

# «კაცია მამათმავალი?!»



**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ მოქმედ ხელისუფლებას მადლობას ვეუბნები ასე საჯაროდ და მოურიდებლად. საქმე იმ კანონპროექტს ეხება, რომელიც პარლამენტში განსახილველად შევიდა და, მათი ამბავი რომ ვიცი, მალე დაამტკიცებენ. კანონპროექტს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" აქტიურად იხილავენ და, იურიდიული ტერმინებით რომ არ დაგღალოთ, მარტივად გეტყვით: ამ კანონის მიხედვით, დაისჯება ყველა, ვინც სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციას მოახდენს. კიდევ უფრო მარტივად: თუ თქვენ დაინახავთ გეის (გასაგებ ენაზე — პედერასტს) და აგრესიას გამოხატავთ, დაგიჭერენ და, ყველაზე კარგ შემთხვევაში, მსუყე ჯარიმას გამოგიწერენ. როგორია? ვიღაც იტყვის, — კარგია, რადგან ისინიც ადამიანები არიანო, თუმცა კარგი კი არა, საუკუნის აღიარებაა და ძალიან კარგია.**

საქართველოს საკანონმდებლო ბაზას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ადამიანზე ფიზიკური ძალადობა ისედაც ისჯება, ანუ, თუ ვინმეს სცემთ, პასუხისმგებლობას ავტომატურად დაგაკისრებენ. **მაშ, რა საჭირო იყო გეებისთვის ცალკე კანონის მიღება?! ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სექსუალურ უმცირესობებს ადამიანებისგან განსხვავებული კანონი უნდა იცავდეს, ისევე, როგორც ცხოველებს, ფრინველებს, შენობებსა თუ უძრავ-მოძრავ ქონებას?! ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პარლამენტი არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ ისინი ადამიანები არ არიან და ცალკე კანონმდებლობა სჭირდებათ?!** ახლა ვიღაც მეტყვის, — არაო, მაგრამ მაშინ იმ ვიღაცამ უნდა ახსნას, რატომ არის საჭირო მათთვის ცალკე კანონმდებლობა! უფრო კონკრეტულ მაგალითს გეტყვით.

საქართველოს და, საზოგადოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ციხეებში ყველაფერი იერარქიულად არის გაწერილი. ყველაზე დაბალ ფენად ამ იერარქიაში, ე. წ. ქათმები ითვლებიან. „საქათმეში" ხვდებიან უმძიმესი დანაშაულისთვის (გაუპატიურება, გაუმართლებელი მკვლელობა, წამება) გასამართლებული ადამიანები და კიდევ ისინი, ვინც თავისუფლებაზე ე. წ. არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელნი იყვნენ. **„ქათამები" რომ იცნო, მათ ხელზე სპეციალური ლენტი უკეთიათ და ახლა იკითხავთ: მათი ცნობა რისთვის გჭირდებათო?! რისთვის და შემთხვევით რომ არ შეეხო, შემთხვევით მხარი რომ არ გაჰკრა, ანუ ციხეში „ქათამი" უწმინდურია, მისი ცემაც რომ გინდოდეს, ხელს ვერ დაარტყამ, ფეხსაცმლით, ბოთლით, ჯოხით ან რაიმე ნივთით უნდა შეეხო, რადგან „ქათამზე" ხელის შეხება „გრეხია".**

ჰოდა, სწორედ ასეთ დაუწერელ კანონს ჰგავს ის, რასაც ახლა პარლამენტი იღებს და, თუ ვინმე იტყვის, რომ ეს ცუდია, მისი პრობლემაა. პირიქით, ხელზე ლენტის რა გითხრათ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ამ ადამიანებს (ვიდრე კანონი ძალაში შევა, ადამიანებად მოვიხსენიებ, მერე კი ამას კანონი ამიკრძალავს და რამე სხვას დავარქმევ) რამე **ამოსაცნობი ნიშანი ექნებათ**. ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება და მათთვისაც. ჩვენთვის იმიტომ, რომ მეცოდინება, მას უნდა ვერიდო, რადგან, მათი ნაზი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ქუჩაში შემთხვევით მხრის გაკვრამაც კი გაალიზიანოს და პოლიციაში გაიქცეს, — მხარი ჩამოურტყაო და ხომ დამიჭერენ?! მოვერიდები, ამით პასუხისმგებლობასაც ავარიდებ თავს და ისიც მშვიდად იქნება, — არ შემეხო, გეი ვარო, რომ ეწერება ხელზე თუ შუბლზე.

დარწმუნებული ვარ, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ჩემს მოსაზრებას არ დაეთანხმებიან და გამაკრიტიკებენ, მაგრამ პირიქით, ხალხო (ჯერ კიდევ — ხალხო), მე თქვენ მხარეს ვარ და ლოზუნგიც კი მოგიფიქრეთ, ძველი, მაგრამ კარგად აპრობირებული: „პედერასტებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". ხედავთ, რა ყოვლისმომცველი და საინტერესო ლოზუნგია?! ჰოდა, თუ დამიჯერებთ, მალე ჰიმნსაც მოვიფიქრებ და თქვენზე ზრუნვაში გავათენებ ღამეებს. **მერე კი, ევროკავშირში რომ მიგვიღებენ, წინა რიგებში თქვენ დაგაყენებთ, დროშებს მოგცემთ (ტარები გექნებათ) და ასე, დროშის ფრიალ-ფრიალით და იმ ჰიმნის სიმღერით, მე რომ მოგიფიქრებთ, ამაყად შეაბიჯებთ ევროპაში, განსაკუთრებით წარჩინებულები კი საჩუქრად ევროპული გეიაღლუმის მონაწილეებიც გახდებით!**

მერე რა, რომ მაგ დროისთვის პარლამენტს ოფიციალურად არაადამიანებად ეყოლება გამოცხადებული...

**ევროკავშირში რომ მიგვიღებენ, წინა რიგებში თქვენ დაგაყენებთ, დროშებს მოგცემთ (ტარები გექნებათ) და ასე, დროშის ფრიალ-ფრიალით და იმ ჰიმნის სიმღერით, მე რომ მოგიფიქრებთ, ამაყად შეაბიჯებთ ევროპაში, განსაკუთრებით წარჩინებულები კი საჩუქრად ევროპული გეიაღლუმის მონაწილეებიც გახდებით!**

**დავით მინდიაშვილი**

**სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ქუთაისში გადატანა, გოდერძის უღელტეხილზე თავისუფალი მოძრაობა და ითხოვდნენ, ჰქონოდათ ფართო ავტონომია რეგიონული ენის უფლებით ახალქალაქში. დაშნაკების ეს მოთხოვნა 21 საუკუნის დასაწყისში სააკაშვილმა, როგორც ხედავთ, წარმატებით აღასრულა.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანტიდისკრიმინაციული კანონის ანტიქართული ხიბლი

**უკვე რამდენიმე კვირაა, ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული კანონის თაობაზე დავა და კამათი მიმდინარეობს. კანონის წინააღმდეგი საერო საზოგადოებასთან ერთად სასულიერო პირებიც არიან, თუმცა ხელისუფლება პოზიციებს მაინც არ თმობს და მხოლოდ მცირედი ცვლილებებით შემოიფარგლა — მხოლოდ სასჯელები შეამცირა.**
**ანტიდისკრიმინაციულ კანონზე საუბრისას არავის უხსენებია, თუ რა საშიშროების წინაშე ვდგავართ, საუბრობენ მხოლოდ სექსუალური უმცირესობების დაცვის მექანიზმზე, მაგრამ არავინ ამახვილებს ყურადღებას კანონპროექტში ჩადებულ უკიდურესად საშიშ ნაღმებზე.**
**აღნიშნულ კანონზე სპეციალისტებთან საუბრისას ძალიან საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინეთ. კერძოდ, როგორ აუსრულა დიდი ხნის ოცნება მიხეილ სააკაშვილმა სომხებს, როდესაც პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა.**
**„საქართველო და მსოფლიოს“ კანონთან დაკავშირებულ პრობლემებზე ექსპერტი გელა ხუციშვილი ესაუბრა.**



**«ვინმემ იცის, რამდენი სირიელი ლტოლვილია საქართველოში, რა ეთნიკური ჯგუფის ან აღმსარებლობის წარმომადგენლები არიან ისინი, საერთოდ ვაწარმოებთ მათ აღრიცხვას?»**

**«დაშნაკების იდეა იმის შესახებ, რომ თბილისი ამიერკავკასიაში ფორმალურად ნეიტრალურ, რეალურად კი სომხურ ქალაქად იქცეს, ისევ ძალაშია»**

— **ანტიდისკრიმინაციულ კანონში, ერთი შეხედვით, თითქოს ახალი არაფერია, მაგრამ ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ამ კანონის ნებისმიერ ფასად მიღებით ხელისუფლება გარე ძალების ანტიეროვნულ დაკვეთას მორჩილად ასრულებს. არ ვიცი, შეგნებულად არ კითხულობენ და არ ისმენენ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც პირდაპირ ჩვენ წინააღმდეგ არის მიმართული თუ შეუგნებლად აკეთებენ ამას. ამ კანონის უცხოელი შემქმნელები მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლობა და ისლამი წარმოადგენს მთავარ მუქარას დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ისლამი, ისევე, როგორც მართლმადიდებლობა, ცდილობს ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ ცნობს გეებსა და ტრანსგენდერებს, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთმა მამათმავლობის პროპაგანდა ოფიციალურად აკრძალა, რუსეთს ევროპასთან მართლმადიდებლური კედლის აშენებაში ადანაშაულებენ.**

სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თემის ირგვლივ არ ისმის პოლიტოლოგების, თეოლოგების მეცნიერების აზრი, რომელთაც საფუძვლიანი ანალიზის გაკეთება ევალებათ.

ამ ბოლო დროს იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლებაში თამაშობენ, შავს თეთრად წარმოაჩენენ. სწორედ ასეთი დებატები, შავის თეთრად წარმოსაჩენი დისკუსიები იმართება პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ისინი თითქოს ვიღაცას ანგარიშს აბარებენ — ნახეთ რა აქტიურები ვართ პრობლემებთან დაკავშირებითო. ამავე დროს, უნებურად პროპაგანდას უწევენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სერიოზულად დასაფიქრებელია.

**ვერ ვხედავ სახელმწიფო სტრატეგიას, ყველაფერი პოპულისტურია. ადამიანები, რომელთაც ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებათ, გადასულნი არიან გავლენის სფეროების გადანაწილებაზე, რაც საეჭვოს ხდის მათ კეთილსინდისიერებას.**

ქვეყანაში, სადაც მოუწესრიგებელია საზღვრები, მოუწესრიგებელია საემიგრაციო სამსახური, არ არის აღრიცხული არალეგალურ მიგრანტთა დიდი ნაკადი, ვიღებთ კანონს, რომელიც ვალდებულების წინაშე დაგვაყენებს. ჩვენ ამ კანონთან დაკავშირებით უნდა ვიმსჯელოთ და მოსალოდნელი შედეგები გავთვალოთ, უნდა გადავხედოთ იმ საერთაშორისო კანონებსა და კონვენციებს, რომლებიც უკვე მიღებულია და საქართველო უაპელაციოდ უერთდება. უკვე ოცი წელიწადია, ყველა კონვენციას დიდი სიხარულით ვუერთდებით. არსებობს კონვენცია ლტოლვილთა შეახებ, რომელსაც ისეთი დიდი ქვეყნები, როგორებიცაა რუსეთი და თურქეთი გარკვეული დათქმით მიუერთდნენ. თურქეთი სამ თვეზე მეტხანს არ აჩერებს გარკვეულ ჯგუფთა კატეგორიას, ხოლო რუსეთი ზოგიერთი ქვეყნის ლტოლვილებს საერთოდ არ იღებს. ჩვენ კი უაპელაციოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე მივუერთდით ამ კონვენციას და მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ვიღებთ ადამიანებს, თან ვცდილობთ, დასაქმების არეალი შევუქმნათ. რეალურად კი სახნავ-სათესი მიწები საკუთარი მოსახლეობისთვისაც არ გვაქვს საკმარისი.

17 მაისს გეიაღლუმი ტარდება, ნუთუ ჩვენს ქვეყანაში ისინი იმ რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, რომ აუცილებელი ხდება მათი აღლუმების მოწყობა? ანტიდისკრიმინაციული კანონის თანახმად, ჩვენ, მართლმადიდებელ მრევლს, გვეკრძალება საკუთარი აზრის გამოხატვა ამორალური ქმედებების მიმართ, ამ ვითარებაში ჩვენ თავად ვხდებით დასაცავი, თუმცა არ მინდა, საუბარი ამ თემისკენ წავიყვანო და სხვა დატვირთვა მივცე ჩვენს საუბარს.

**მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება. ჩვენს ქვეყანაში უამრავი კონფესია, ეთნიკური ჯგუფია წარმოდგენილი, თან ვხედავთ, რომ საქართველო უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების თუ რელიგიური მიმდინარეობების პოლიგონად გადაიქცა, დაცვის ქმედითი მექანიზმები კი არ გააჩნია. დაცვის მექანიზმების შექმნის მაგივრად ვიღებთ სანქციებს და მკაცრ კანონებს, რომლებიც გვიკრძალავს ამორალურ მოქმედებაზე აზრის გამოხატვას, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, პოლიტიკური სიბეცეა.**

ვინმემ იცის, რამდენი სირიელი ლტოლვილია საქართველოში, რა ეთნიკური ჯგუფის ან აღმსარებლობის წარმომადგენლები არიან ისინი, საერთოდ ვაწარმოებთ მათ აღრიცხვას? **არავის გაუკვირდეს, რომ ასეთ ვითარებაში ზუსტად ისეთი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდეთ, როგორც თავის დროზე ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ხატისოვის ამბავი იყო.**

**არც ერთი ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგი არ ვარ, ყველას პატივს ვცემ, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინტერესები, რომელთა იგნორირება არანაირი საბაბით არ შეიძლება.**

**მოვუწოდებ პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომ ვეტო დაადოს აღნიშნულ კანონს და ის შემოდგომაზე, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ განიხილოს.**

**ახლა — რაც შეეხება სააკაშვილის აკვიატებას პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანის თაობაზე:** ეს მოთხოვნა მენშევიკურ საქართველოს წამოუყენეს „დაშნაქცუტუნის“ ლიდერებმა. მოთხოვნა მიმართული იყო ინგლისის მისიის ხელმძღვანელისადმი. სომხეთის იმდროინდელი პრემიერმინისტრი წერდა, რომ **სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ქუთაისში გადატანა, გოდერძის უღელტეხილზე თავისუფალი მოძრაობა და ითხოვდნენ, ჰქონოდათ ფართო ავტონომია რეგიონული ენის უფლებით ახალქალაქში.** დაშნაკების ეს მოთხოვნა 21-ე საუკუნის დასაწყისში სააკაშვილმა, როგორც ხედავთ, წარმატებით აღასრულა. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ თურქეთი დღის წესრიგიდან არ ხსნის მისწრაფებას ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებში თურქეთის გაფართოების თაობაზე.

**ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა, რომელსაც ჩვენი მთავრობა ამტკიცებს, შესაძლებელია, მოგვცეს ასეთი სურათი: ბათუმის მერად საქართველოს მოქალაქე თურქი მოგვევლინოს იმ ათიათასობით თურქისგან, რომელთაც სააკაშვილმა მოქალაქეობა თავისი პრეზიდენტობის ბოლო დღეებში დაურიგა.** არსებობენ რეაქციული ძალები, რომლებიც ზემოჩამოთვლილი საკითხების წინ წამოწევას ცდილობენ. ეს არის ერთა შორის კონფლიქტის გაღრმავების წინაპირობა. **ანტიდისკრიმინაციულ კანონზე დაყრდნობით გარკვეულ პირთა ჯგუფებს სათავისო ინტერპრეტაციებისა და დემარშების საშუალება ეძლევათ, რაც მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია ქვეყნის სუვერენიტეტისთვის.**

— **რაში სჭირდებოდათ სომხებს ქუთაისში მთავრობის გადატანა?**

— **როდესაც მთავრობა პერიფერიაში გადადის, ყურადღებაც იქითკენ არის მიპყრობილი და მთავარი ქალაქი ყურადღების მიღმა რჩება. შესაძლებელია, ვცდები, მაგრამ დაშნაკების იდეა იმის შესახებ, რომ თბილისი ამიერკავკასიაში ფორმალურად ნეიტრალურ, რეალურად კი სომხურ ქალაქად იქცეს, ისევ ძალაშია.**

როგორც საქართველოს მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის ამ ეტაპზე მიღება არ შეიძლება, ასევე ნაჩქარევად მეჩვენება თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება, რადგან საპარლამენტო ოპოზიცია („ნაცმოძრაობა“) მარგინალური და თან აგრესიული ძალაა, ის ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ფიქრობს, უკან არაფერზე დაიხევს, პროვოკაციებს მოაწყობს და ძალიან ცუდ სიტუაციაში ჩაგვაგდებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## სკანდალური ფეტვა ქალის გაუპატიურების შესახებ

**ეგვიპტელმა მოძღვარმა და ორგანიზაცია Salafisr Call-ის ვიცეპრეზიდენტმა იასირ ბურჰამიმ მიიღო ფეტვა (გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ისლამის პრინციპებზე), რომლის თანახმადაც, ქმარს, იმ შემთხვევაში, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შეუძლია, წინააღმდეგობა არ გაუწიოს სხვა მამაკაცს, რომელიც აუპატიურებს მის ცოლს.**

ზემოაღნიშნული რელიგიური დოკუმენტი ბურჰამიმ ვებგვერდ Anasalafy.com-ზე გამოაქვეყნა. ცოტა ხნით ადრე კი ამავე ინტერნეტმისამართზე გამოაქვეყნა ფეტვა, რომელშიც ახსნილია, სახელდობრ, რა უნდა ქნას მამაკაცმა, თუკი ის ცოლს სხვა მამაკაცთან შეუსწრებს.

**ეგვიპტელი მოძღვრის აზრით, ნების დართვა საკუთარი მეუღლის გაუპატიურებაზე იგივეა, რაც მძარცველს მისცე ფული, რომელსაც ითხოვს.**

ბურჰამის მიერ გამოქვეყნებულმა ფეტვამ დიდი აურზაური გამოიწვია ეგვიპტეში. ის დოკუმენტი გააკრიტიკეს როგორც რელიგიურმა მოღვაწეებმა, ისე რიგითმა ადამიანებმაც. ხელისუფლების წარმომადგენელმა საიდ მოჰამედ ალიმ განაცხადა, რომ ფეტვას საერთო არაფერი აქვს არც შარიათთან და არც საკანონმდებლო ნორმებთან, **„თითოეულმა მუსლიმანმა უნდა დაიცვას თავისი ღირსება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის გამო ციხეში ჩაჯდომა ან სიკვდილი მოუწევს. ცოლის ღირსების დაცვა კი რელიგიური მოვალეობაა“,** — განაცხადა **საიდ მოჰამედ ალიმ.**

ბურჰამის ფეტვა მწვავედ გააკრიტიკეს პრესტიჟული მუსლიმანური სასულიერო აკადემიის — ალ-აზჰარის მეცნიერებმა.

ალ-აზჰარის ფეტვების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის — ალი აბუ ალ-ჰასანის აზრით, ეგვიპტელი მოძღვრის მიერ შემუშავებული დოკუმენტი არ ეფუძნება შარიათის კანონებს, რომელთა თანახმადაც ქალის ღირსების დაცვა მამაკაცის პირდაპირი მოვალეობაა.

ბურჰანის პარტიულმა კოლეგამ ალი ჰათემმა კი განაცხადა, რომ ეგვიპტელი მოძღვრის ფეტვა არასწორად გაიგო საზოგადოებამ. ჰათემის აზრით, ამ დოკუმენტებით ბურჰამი ცდილობდა, ხაზი გაესვა ქალის ღირსების დაცვის მნიშვნელობისთვის. ის ხსნის, რომ იმ შემთხვევაში თუკი მამაკაცი დგას არჩევანის წინაშე მეუღლის ღირსების დაცვასა და საკუთარ სიცოცხლეს შორის, მან უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს ასეთ ვითარებაში.

ბურჰამის მეორე ფეტვაც, რომლის თანახმადაც მამაკაცს უფლება აქვს, მოკლას თავისი ცოლი, თუკი მას სხვა მამაკაცთან სექსუალური აქტის დროს შეუსწრებს, მწვავე კრიტიკის საგანი გახდა.

ისლამის კვლევის საბჭოს ხელმძღვანელის — ალ ჯუნდის აზრით კი, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდვებთან, სასამართლომ უნდა განიხილოს. ალ ჯუნდი მიიჩნევს, რომ ცოლქმრული ერთგულების დარღვევა მკვლელობის საფუძველი არ უნდა გახდეს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განცხადებები, რომ ჩვენ ჯერ უნდა შევეკითხოთ ჩვენს უცხოელ უფროსებს და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, დაველაპარაკოთ თუ არა რუსებს პირდაპირ, ადასტურებს მხოლოდ ერთ რამეს — საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს!“**



### სოსო მანჯავიძე:

# მარიონეტულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებას არავინ მართავს

**რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე, ევროინტეგრაციის პერსპექტივებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე.**

**— ბატონო სოსო, გასულ კვირას პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის დიალოგი პირველი პირების დონეზე უნდა წარიმართოს. კრემლი ამისთვის მზადაა და თავად ვლადიმერ პუტინმა ეს ხაზგასმით განაცხადა, თუმცა ჩვენი ხელისუფლების რეაქცია, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზულობას მოკლებული იყო. გახსოვთ, ალბათ, მარგველაშვილმა მაშინ დასავლელ პარტნიორებთან კონსულტაციების გავლის აუცილებლობაზე ისაუბრა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნია მეზობელი ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრა შესაძლებლად. როგორ ფიქრობთ, დღეს რამდენად ვართ მზად მსგავსი დიალოგისთვის და რა შედეგს მოიტანს სამომავლოდ ეს ყველაფერი?**

— **ის განცხადებები, რომ ჩვენ ჯერ უნდა შევეკითხოთ ჩვენს უცხოელ უფროსებს და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, დაველაპარაკოთ თუ არა რუსებს პირდაპირ, ადასტურებს მხოლოდ ერთ რამეს — საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს,** ანუ, გადაწყვეტილების მიღების ან საერთაშორისო შეთანხმების დადების თვალსაზრისით, ის უუნაროა. როგორც წესი, გარედან მართული სახელმწიფოები ამას მალავენ და ღიად არ აცხადებენ, რადგან **მარიონეტულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებას არავინ მართავს.** მაგრამ ჩვენ შემთხვევაში კომიკური სწორედ ისაა, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ ითქვა. მოგვიანებით კი კიდევ უფრო კომიკური განცხადება გაკეთდა: შეიძლება მარგველაშვილი წავიდეს მოსკოვში, მაგრამ მას აუცილებლად უნდა გაჰყვეს ღარიბაშვილიცო... ახლა თქვენ წარმოგიდგენიათ, ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტრუქტურების თვალში ეს რას ნიშნავს?!

**— რას ნიშნავს?**

— რომ შენ არ ხარ მხარე, არ ხარ სუბიექტი... და თუ მხარე არ ხარ, არც გადაწყვეტილების მიღება შეგიძლია, მაშინ საერთოდ რატომ უნდა დაგელაპარაკოს რუსეთი ან ვინმე, რა მიზანს მიაღწევს ამით? დაელაპარაკება იმ შენს პატრონს და მასთან გაარკვევს, რაც გასარკვევია. **რაც შეეხება აბაშიძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის პირველ პირთან შეხვედრა ახლა გახდა აუცილებელი, ეს შეხვედრა აუცილებელი ახლა კი არა, ყოველთვის აუცილებელი იყო. საერთოდ, როდესაც გახურებული ომია, მაშინაც კი მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მხარეები ასე აღწევენ ამა თუ იმ შეთანხმებას.**

ვურჩევ იმ ხალხს, რომელიც ამბობს, რომ ქართული ეკონომიკა დივერსიფიცირებულიაო, ცოტა აზრზე მოვიდეს. რუსეთი არის სუპერძალა, რომლის მოწინააღმდეგე რეგიონში არ ჩანს და ჩვენ საერთოდ რაზე გვაქვს ლაპარაკი, რა გვინდა? ეს ქვეყანა ფლობს უზარმაზარ სამხედრო-პოლიტიკურ და ფინანსურ ძალას, ის არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოთამაშე... რაღაც უაზრო მუქარებით და ენისგამოყოფით გვინდა, შევაკავოთ ამხელა სახელმწიფო?!

**— დასაწყისში მოლაპარაკებების სამომავლო შედეგზე გკითხეთ, რას ელოდებით ამ პროცესიდან?**

— თითქმის ორი წელია, ეს მოლაპარაკებები მიდის, რამე შეიცვალა? ან ვის ვუშვებთ მოსალაპარაკებლად? **სამწუხაროდ, კვლავ იგივე ვაკხანალიაა, არავინ იცის, ვინაა მომლაპარაკებელი პირი, ამიტომ მოლოდინზე, მგონი, დღეს ზედმეტია საუბარი. ზოგადად, აქ საკითხი გაცილებით უფრო ღრმაა, კერძოდ, მთელი ქართული სახელმწიფო დელეგიტიმირებულია იმ საკონსტიტუციო რეფორმის ბრმა შესრულებით, რომელიც სააკაშვილმა გაატარა;** ასე რომ, ამის ნორმალიზება თუ არ მოხდა, არა თუ წინსვლა არ იქნება, ქვეყნის სტაბილურობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სხვა, მუდმივად იდგება უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ.

**— კონკრეტულად რომელ რეფორმას გულისხმობთ?**

— რომელიც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა განახორციელა. დღეს რა ხდება სინამდვილეში? — საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციურად დადებული აქვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ზავის დადების, ომის გამოცხადებისა და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროცესების განხორციელების ფიცი. ამ უფლება-მოსილებების შესრულებისთვის კი პირველ პირს უნდა ექვემდებარებოდეს სადაზვერვო უწყებები, რომლებიც უშიშროების საბჭოს მეშვეობით მიაწვდიან ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებით ყოველგვარ ინფორმაციას. მარგველაშვილი კი ამჟამად არ ფლობს არანაირ სადაზვერვო ინფორმაციას, ვინაიდან დაზვერვა მას არ ექვემდებარება. **მეორე მხრივ, შექმნილია უსაფრთხოების საბჭო, რომელიც არის უშიშროების საბჭოს ასლი და არაა კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანო, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს კონსტიტუციურ არეულობასთან და უფლებამოსილებები ვერ ხორციელდება ისე, როგორც ქვეყნის უმაღლესი კანონითაა განსაზღვრული.** სწორედ ეს არის ის, რაც დასაწყისში ვთქვი — სახელმწიფოს დელეგიტიმაციის ნათელი სურათი; ასე რომ, სანამ ამ საკითხებს არ გადაჭრის ხელისუფლება, სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იქნება...

**— რეალურად რა დაბრკოლებებს ქმნის ეს ყველაფერი?**

— დავუშვათ, მოხდა რაღაც კონფლიქტი, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ომის გამოცხადებაზე, ზავის დადებაზე და ა. შ.? პრეზიდენტს შესაბამისი სტრუქტურები არ ექვემდებარება, მთავრობის გადაწყვეტილება კი ლეგიტიმური არ იქნება. რა გამოდის? — ფაქტობრივად, ჰაერში ვართ გამოკიდულნი.

**— დასაწყისში თქვენ ისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დღეს იმყოფება საქართველო და ახსენეთ სახელმწიფო პოლიტიკა. რამდენად არის მთლიანობაში დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ელიტა მზად არსებული რეალობისთვის, რამდენად დამაიმედებელია მმართველი გუნდის სტრატეგია და მიდგომები?**

— რომ გითხრათ, დამაიმედებელია-მეთქი, დამიჯერებთ? ამ ხელისუფლებას არ ჰყოფნის დიდი საქმის, დიდი რეფორმების განმახორციელებელი და სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე ხალხი. ეს არის სამწუხარო რეალობა და, აქ თუ სისტემური ცვლილება არ მოხდა, მათ შორის საარჩევნო სისტემასაც ვგულისხმობ, რომელიც არის ვამპირი, გამუდმებით იქნება არასტაბილური ვითარება. ხელისუფლების შეცვლიდან წელიწად-ნახევრის თავზე არა თუ ცვლილებები არ ხორციელდება, სახელმწიფო სტრუქტურებში არის სრული უძრაობა. არაფერი ხდება და ხალხს სრულიად ლეგიტიმურად უჩნდება განცდა, რომ მოატყუეს. არ ვიცი, რას ფიქრობენ ამაზე „ოცნების“ თავები, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ კურსით მმართველ გუნდს წინ სასიკეთო არაფერი ელის. ამაში ისინი ძალიან მალე დარწმუნდებიან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# ევროასოცირება თუ ევროკინტაური?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ 26 აპრილს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით მორიგი სემინარი გამართა. შეხვედრაზე მოწვეულმა ეკონომიკის ექსპერტებმა, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, მოსალოდნელი საფრთხების შესახებ ისაუბრეს და საქართველოს მთავრობისთვის სპეციალური რეკომენდაციები შეიმუშავეს.**

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას საქართველო ივნისში გააფორმებს, მაგრამ **„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის — ნანა დევდარიანის** განცხადებით, ქართულმა საზოგადოებამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ თითქმის არაფერი იცის. „როდესაც გლობალური კვლევების ცენტრის ინიციატივით პირველი კონფერენცია გაიმართა, გვინდოდა, პროფესიონალ ექსპერტებთან ერთად გაგვერკვია, რას მოგვცემდა სამომავლოდ ეს შეთანხმება. შეხვედრაზევე გაჩნდა რეკომენდაციების შემუშავების იდეაც. მინდა აღვნიშნო, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მთავრობას ჭკუას დავარიგებთ, როგორ მართოს ქვეყანა და ყველა საკითხზე რჩევა მივცეთ, მაგრამ ის საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც დავინახეთ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორებიც, რომ სულ მალე, ჩვენი მეზობელი ქვეყნები, შესაძლოა, საბაჟო კავშირის წევრები გახდნენ. იქ თავისი შიდა რეგულაციები აქვთ და საინტერესოა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ამ დროს საქართველო.

საერთოდ კი მინდა, აღვნიშნო, რომ რაციონალური განსჯა ამ საკითხის ირგვლივ არ მიმდინარეობს. „ნაციონალები“ აბრალებენ „ქართულ ოცნებას“, რომ თითქოს მათ ევროპულ არჩევანს გადაუხვიეს, ისინიც უმტკიცებენ, თქვენზე ევროპულები ვართო. ერთმანეთს ეჯიბრებიან და ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია იქნება, მთავრობამ თავისი საინფორმაციო პოლიტიკა ჩამოაყალიბოს. ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, ვინაიდან ხალხს ჰგონია, რომ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უვიზოდ ივლის ევროპაში და ნებისმიერი ჩვენი პროდუქცია ევროპის ბაზარზე გავა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანია ძახილი, რომ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ. არადა, გარკვევით თქვეს გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა — ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა და ლორან ფაბიუსმა, რომ ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირში გაწევრიანებასთან არავითარი კავშირი არ აქვს, მაგრამ პოლიტიკოსების გამოსვლებიდან ეს ილუზია მაინც მუდმივად ინერგება.

ყველა სამინისტრომ თავისი დარგების და მიმართულების მიხედვით უნდა აუხსნას ხალხს, როგორც კი ამ შეთანხმებას ხელი მოეწერება, რის გაკეთებას აპირებს თითოეული მათგანი უახლოესი წლების განმავლობაში, რათა ხალხმა დანამდვილებით იცოდეს, მის ცხოვრებაზე ეს ცვლილებები როგორ აისახება“.

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში მამუკა ჩხეიძე** ამბობს, რომ აუცილებელია, ხელშეკრულების ხელმოწერის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან აწარმოოს მოლაპარაკება. „ჩემი მთავარი რეკომენდაცია იქნება, საქართველოს ხელისუფლებამ პარალელურ რეჟიმში აწარმოოს მოლაპარაკება ჩვენი პროდუქციის მთავარ ექსპორტიორ ქვეყანასთან — რუსეთთან, რათა ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში რუსეთის ბაზარი კვლავ არ დაიხუროს საქართველოსთვის, — განაცხადა მან, — ქართული ეკონომიკისთვის ეს სერიოზული დარტყმა იქნება. ერთი წელია, რუსეთის ბაზარი ქართული ღვინისთვის გაიხსნა, ისიც შერჩევით, ბევრ ღვინისმწარმოებელ კომპანიას არ მიეცა უფლება იქ თავისი პროდუქციის გაყიდვის და, ამის მიუხედავად, ქართული ღვინის ექსპორტის 70% უკვე რუსულ ბაზარზე მოდის. მართალია, ქართული ღვინო საფრანგეთშიც იყიდება, გერმანიაშიც და იტალიაშიც, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ამას ექსპორტი არ ჰქვია და ეს ვითარება არც ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეიცვლება.

მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს ეკონომიკას ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს, ამიტომ ის მოლოდინი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ამჟამად აქვს, ფუჭია. სამწუხაროდ, ხალხს აქვს განცდა, რომ, როგორც კი ამ ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს, ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა გვექნება, პენსიები 500 ევრო გახდება და ევროპელები საქართველოში გამოიქცევიან, რათა გორში ვაშლი დაკრიფონ და პარიზის სუპერმარკეტებში გაყიდონ. თუმცა, თუ ხელშეკრულების პარაფირების დღეს გავიხსენებთ, როდესაც კინტაური დაუკრეს, ყველაფერი ნათელი გახდება. ყველას არ ეხება, მაგრამ მთლიანობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კინტაურის დონეა“.

**სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე:** „მოსახლეობაში არსებობს გადაჭარბებული მოლოდინი და აუცილებელია ხალხმა იცოდეს, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მოკლევადიან პერსპექტივაში, რაიმე შედეგის მიღწევა, პრაქტიკულად გამორიცხულია.

ერთადერთი დადებითი რაც აღნიშნულ ხელშეკრულებას შეიძლება მოჰყვეს გრძელვადიან პერსპექტივაში, არის შიდა კონკურენციის სტიმულირება და წარმოების ხარისხის ამაღლება. თუმცა, ჩვენი საექსპერტო პოტენციალი კიდევ უფრო შემცირდება და რაიმე მკაფიო შთამბეჭდავ ბონუსზე, როგორც ეკონომისტები ამბობენ, არ უნდა ველოდოთ. ამიტომ, ხელისუფლებისთვის ჩვენი ყველაზე მკაფიო გზავნილია, ნუ შექმნის იმედგაცრუების საფუძველს“.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით, 2003-2005 წლებთან შედარებით 2007-2009 წლებში მარცვლეულის წარმოება საქართველოში 40%-ით შემცირდა. საქართველოში ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2003 წელს 28,9% იყო, 2009 წლისთვის 6,7%-მდე შემცირდა. ბოლო რვა წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა.**

სტატისტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მაპზე უკეთესის» მომლოდინე საქართველოს სოფლის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაშია



**2003-2009 წლებში საქართველოში ერთ სულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი შემცირდა 29%-ით, ეს მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია**

**2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, გაჩნდა მოლოდინი, რომ სოფელი აღორძინდებოდა და დოვლათი შეიქმნებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა „ქართულმა ოცნებამაც“ გადაწყვიტა, გლეხებისთვის ვაუჩერები დაერიგებინა, მათ მიწის დამუშავება რომ გაადვილებოდათ, თუმცა ჩასაფრებული „ნაცები“ მაშინვე ახმაურდნენ, — სოფელი რომ მნიშვნელოვანია, სტალინმა ჩაგვაგონა, რადგან მას საქართველოს სხვა კუთხით განვითარება არ უნდოდაო. სოფლის მეურნეობის განვითარების საწინააღმდეგო პროპაგანდას წარმატებით ეწევა ტელევიზია „ტაბულა“, კერძოდ კი, მისი დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი... ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი მონაცემები და შევეცადეთ, ისინი დღეს უკვე „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის“ მქონე და „მაპზე უკეთესის“ მომლოდინე საქართველოს სოფლის მეურნეობის მონაცემებისთვის შეგვედარებინა.**

**სოციალისტურ საქართველოში 800 ათასი ჰექტარი მიწა მუშავდებოდა.**

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობების დასანერგად. სწორედ ამ პერიოდში გატარდა სახელმწიფოს პროტექციონისტური და რეგულირების პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და მის სამრეწველო საფუძველზე გადასაყვანად ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გამოყოფაში. წლების განმავლობაში მაღალრენტაბელური დარგებიდან შეკრებილი ანარიცხების ხარჯზე იქმნებოდა ეკონომიკურად სუსტი მეურნეობების დახმარების ფონდი, რომლის საშუალო წლიური მოცულობა 55-60 მილიონი მანეთი იყო.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მოხდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც, პირველ რიგში, მრავალწლიანი კულტურების პროდუქციაზე აისახა.

1988 წელს, 1950 წელთან შედარებით, ყველა კატეგორიის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება გაიზარდა 3,5-ჯერ, ყურძნის — 3,9-ჯერ, თესლოვანი და კურკოვანი ხილის – 4,3-ჯერ. შესაბამისად იზრდებოდა დასახელებული პროდუქციის სახელმწიფოსთვის მიყიდვის მაჩვენებლები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სტრუქტურამ საკავშირო მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებაზე აშკარად გამოხატული ორიენტაცია შეიძინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მაპროფილებელი კულტურების ხვედრითი წილის ზრდა ხდებოდა თითქმის ყველა სახის პროდუქციის წარმოების ზრდის ფონზე. **მაგალითად, 1988 წელს, 1950 წელთან შედარებით, ყველა კატეგორიის მეურნეობაში ბოსტნეულის წარმოება გაიზარდა 7,6-ჯერ, კარტოფილის — 2,4-ჯერ, ხორცის – 3-ჯერ, რძის – 2,6-ჯერ.**

**ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი წარმოდგენილი იყო მძლავრი გადამამუშავებელი საწარმოებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით. 1988 წელს საქართველოში წარმოებული იყო 114,2 ათასი ტონა ჩაის პროდუქცია, 2,2 მილიონი დეკალიტრი კონიაკი, 24,4 მილიონი ბოთლი შამპანური, 12,5 მილიარდი ღერი სიგარეტი, 497,7 მილიონი ბოთლი მინერალური წყალი, 766,2 მილიონი პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი. აგროსასურსათო სექტორში ფუნქციონირებდა 104 ღვინის პირველადი და მეორადი ქარხანა, რომლებშიც 690 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება შეიძლებოდა. ჩაის ფოთლის გადამუშავებას, მზა პოდუქციის მიღებასა და დაფასოებას ემსახურებოდა 184 ფაბრიკა, შესაბამისად – 728 და 120 ათასი ტონის წარმადობით. ხილბოსტნეულს ამუშავებდა 44 ქარხანა 100 ათასი ტონა ნედლეულის გადამუშავების სიმძლავრით. რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა ლუდის — 17, ხორცისა და ხორცპროდუქტების — 29, რძის — 40, უალკოჰოლო სასმელების — 17, მცენარეული ზეთისა და ეთერზეთების 28 ქარხანა. საკონდიტრო ნაწარმის გამოშვებას ემსახურებოდა 4 ქარხანა.**

საქართველოში იყო **მილიონ ხუთასი ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2 მილიონ ორასი ათასი ცხვარი, მილიონი ღორი.**

**რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და პურის ცხობის ფართო ქსელი. ფქვილის წარმოება თითქმის 1 მილიონ ტონას შეადგენდა. პურისა და პურფუნთუშეულის წარმოება — 800 ათას ტონას, ხოლო კომბინირებული საკვების ყოველწლიური გამოშვება 1 მილიონ ტონას აღემატებოდა. საქართველოში იწარმოებოდა თითქმის ყველა სასურსათო პროდუქცია.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებდა საბჭოთა წარმოების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. შედეგად, 1988 წლისთვის საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებს ერიცხებოდა 1576 ერთეული მარცვლის ამღები კომბაინი, 26 806 — ტრაქტორი, 10343 — სატრაქტორო გუთანი, 5 320 — კულტივატორი, 4 337 — სათესი და 20 182 — სატვირთო ავტომანქანა. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ყველა სახის მინერალური სასუქის ოდენობა 450 ათას ტონას აღემატებოდა.**

მთლიანობაში აგროსასურსათო სექტორი წარმოადგენდა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილ წარმოებას, რომელიც ეკონომიკაში ლიდერის როლს ასრულებდა. მასზე მოდიოდა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი პროდუქტის 55%-ზე მეტი.

**მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდიოდა სახელმწიფოს მიერ შესყიდული ციტრუსების, ხილის, ყურძნისა და ხორცის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, 1988 წელს მან შეადგინა ციტრუსების 79,2%, ხილის — 20,8%, ყურძნის — 20,1%, ხორცის — 38%.**

**მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებზე მოდიოდა ქვეყნის ხეხილის ნარგავების 54,2%, ვაზის — 33,6%, ციტრუსების — 42,1%. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის — 59%, ღორის სულადობის — 54%, ცხვრისა და თხის — 47,3%.**

**საკარმიდამო მეურნეობებში იქმნებოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 45%.**

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საწარმოო და არასაწარმოო მომსახურების გაძლიერების პირობებში საკარმიდამო მეურნეობებს შეეძლოთ უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდის საქმეში.

**2003-2009 წლებში საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი შემცირდა 29%-ით, რაც მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.**

აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობა თითქმის ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდებოდა.

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით, 2003-2005 წლებთან შედარებით, 2007-2009 წლებში მარცვლეულის წარმოება სომხეთსა და აზერბაიჯანში, შესაბამისად, 10 და 16%-ით გაიზარდა, საქართველოში კი თითქმის 40%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მდგომარეობა ამ მიმართულებით მომდევნო წლებში უფრო გაუარესდა. კერძოდ, თუ საქართველოში ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2003 წელს 28,9% იყო, 2009 წლისთვის 6,7%-მდე შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო კულტურებშიც, ეს კი პირდაპირი შედეგია, პრაქტიკულად, ყველანაირი ნათესი ფართობისა და მოსავლიანობის შემცირებისა.**

მიწათმოქმედებასთან ერთად **უარესდება მდგომარეობა მეცხოველეობაშიც. ბოლო რვა წლის განმავლობაში შემცირდა როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა.**

**2008 წელს ქვეყანაში ნათესი ფართობები, 2000 წელთან შედარებით, შემცირდა 1,9-ჯერ. მათ შორის, მარცვლოვან-პარკოსნებისა — 1,6-ჯერ, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა — 1,7-ჯერ; შემცირდა, აგრეთვე, ვაზის, ხეხილისა და მრავალწლოვანი ნარგავების ფართობებიც. დღეს ამ მიმართულებით მდგომარეობა უფრო დამძიმებულია.**

1990-იანი წლების დასაწყისში დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა ნეგატიური გავლენა იქონია კვების მრეწველობის განვითარებაზეც. **ამ პერიოდიდან იწყება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი გაუარესება, გასაღების ბაზრის დაკარგვა, შექმნილი სამრეწველო პოტენციალის განადგურება.**

შევეცადეთ, დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებიც მოგვეძიებინა და დახმარებისთვის ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრს მივმართეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, ხოლო ოპერატიული მონაცემებით დღეისთვის დამუშავებულია **400 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.**

**სოფლის მეურნეობის მთლიანი შიგა პროდუქტი კი 2007 წლიდან ასეთი იყო: 2007 წ. – 10,7, 2008 წ. – 9,4, 2009 წ. – 9,4, 2010 წ. – 8,4, 2011 წ. – 8,8, 2012 წ. – 8,6, 2013 წ. – 9,3.**

როგორც აღმოჩნდა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს და ეს მწვავე პრობლემაა. ეკონომისტი იოსებ არჩვაძე წერს: **„პოლიტიკა მეტად სერიოზული რამაა იმისთვის, რომ იგი „ჰეგელისეულად“, ციფრების იგნორირებით, საერთოდ უსტატისტიკოდ განახორციელო. ამ შემთხვევაში საფრთხე ექმნება არა მხოლოდ ციფრებს, არამედ ყველას, ვისი საქმიანი თუ საზოგადოებრივი ინტერესები ციფრების წარმოებასა და გამოყენებაზე გადის. სტატისტიკა საქართველოში დაფინანსების მხრივ ყოველთვის გერის როლში იყო“.**



**2008 წელს ქვეყანაში ნათესი ფართობები, 2000 წელთან შედარებით, შემცირდა 1,9-ჯერ; მათ შორის, მარცვლოვან-პარკოსნებისა — 1,6-ჯერ, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა — 1,7-ჯერ. შემცირდა, აგრეთვე, ვაზის, ხეხილისა და მრავალწლოვანი ნარგავების ფართობებიც. დღეს ამ მიმართულებით მდგომარეობა უფრო დამძიმებულია**

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სურს, ყველაფერი ისე იყოს, „როგორც დასავლეთში“, მაშინ ჩვენი ყველა საწყალი ბავშვი კარგა ხნის გაყიდული იქნებოდა დიდძალ ფულზე, ყველა მდიდარი ბავშვი კი სქესს შეიცვლიდა და „ნამდვილ“ გეიდ იქცეოდა, ყველა პენსიონერი მკვდარი იქნებოდა ხანდაზმულთა თავშესაფრებში, ყველა გზაზე „ფერარებით“ იქროლებდნენ არაფრისმაქნისი და ამბიციური ტიპები, ლუწ რიცხვებში გეიაღლუმი გაიმართებოდა, კენტში კი — ჯერ კიდევ დარჩენილი ბავშვების გამოფენა-გაყიდვა.**

# 11 კითხვა, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებას არ დაუსვამს



**ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კითხვებს არ დასვამენ, რადგან პასუხად მიიღებენ ისეთ შედეგს, რომელიც იქნება უტყუარი მტკიცებულება მათი სიცრუის, ორპირობისა და ევროპის, როგორც საქართველოს ისტორიული არჩევანის, ილუზორულობისა!**

ყველა პოლიტიკოსმა თუ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც საქვეყნოდ აცხადებს, ევროპა საქართველოს ისტორიული არჩევანიაო, მშვენივრად იცის, რომ ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება „ევროპული არჩევანის“ რიგი საკითხების მიმართ მკვეთრად უარყოფითია —ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინება, გეიაღლუმები, სოდომიის, ინცესტის, პროსტიტუციის, სუტენიორობის დაფინანსება და უკიდურესი აღვირახსნილობის სხვა ორგანული ნაწილები.

რადგან ყველა „მშვენიერება“, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ჩვენთან დასავლეთიდან შემოვიდა, ბუნებრივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ **დამოკიდებულება დასავლეთისა და დასავლური ფასეულობების მიმართ რაღაც ხარისხით განსაზღვრავს ამ „მშვენიერებების“ მიმართ დამოკიდებულებასაც,** ანუ, თუკი მოქალაქეებს ექნებოდათ სწრაფვა ისეთი ცხოვრებისკენ, „როგორიც დასავლეთშია“ ან „ევროპაში შესვლისკენ“, როგორც ეს ჩვენი ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლებს სურთ, მაშინ ყველა ამ „მშვენიერებას“ ოვაციებით უნდა შევხვედროდით და ცხოვრებაშიც ენთუზიაზმით უნდა განგვეხორციელებინა.

**თუკი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სურს, ყველაფერი ისე იყოს, „როგორც დასავლეთში“, მაშინ ჩვენი ყველა საწყალი ბავშვი კარგა ხნის გაყიდული იქნებოდა დიდძალ ფულზე, ყველა მდიდარი ბავშვი კი სქესს შეიცვლიდა და „ნამდვილ“ გეიდ იქცეოდა, ყველა პენსიონერი მკვდარი იქნებოდა ხანდაზმულთა თავშესაფრებში, ყველა გზაზე „ფერარებით“ იქროლებდნენ არაფრისმაქნისი და ამბიციური ტიპები, ლუწ რიცხვებში გეიაღლუმი გაიმართებოდა, კენტში კი — ჯერ კიდევ დარჩენილი ბავშვების გამოფენა-გაყიდვა.**

არადა, **ამ მამაცხონებულ პოლიტიკოსებს, ვიდრე ქვეყნიერებას მოსდებდნენ, ევროინტეგრაცია თითოეული ქართველის სანუკვარი ოცნებააო, რომლის ასახდენადაც, თურმე, ერი და ბერი დღედაღამ ლოცულობს, ერთხელ მაინც ეკითხათ საკუთარი ამომრჩევლის, ქართველი საზოგადოებისთვის — სურს თუ არა, რომ:**

**1. დაკანონდეს ერთსქესიანთა ქორწინება (როგორც დასავლეთშია)?**

**2. არ იდევნებოდეს ჰომოსექსუალიზმი (როგორც დასავლეთშია)?**

**3. დაკანონდეს ინცესტი (სისხლის აღრევა) ოჯახის წევრების თანხმობის შემთხვევაში (როგორც დასავლეთშია)?**

**4. არ აიკრძალოს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა (როგორც დასავლეთშია)?**

**5. სკოლებში აუცილებლად მოხდეს მოსწავლეების განათლება სექსის საკითხებში (როგორც ეს დასავლეთშია)?**

**6. აიკრძალოს სიტყვები: „დედა“ და** ▶

# 8 შოკისმომგვრელი ფაქტი, რომლებზეც ლაპარაკის გამბედაობა მედიას არ ჰყოფნის

**დღეს მასმედიისგან ობივატელი იღებს უამრავ ინფორმაციას, თუმცა ბოლოს მოსახლეობის ტვინში მაინც ფორმირდება საჭირო მიმართულება. ისეთი საინფორმაციო საშუალებები, როგორიც არის Foxnews, CNN, BBC განსაზღვრავენ საინფორმაციო პოლიტიკას არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ტვინის გამორეცხვის მეთოდების ზემოქმედების მაგალითია მარტის ბოლოს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, ყოველი 6 ამერიკელიდან 5-მა არ იცის, სად არის უკრაინა. ისიც აღსანიშნავია, რომ თვით აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ავსტრალიაში ყოფნისას ავსტრალია ავსტრიად მოიხსენია.**

**ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანების ზომბირებაში ქართული ტელევიზიები, რა თქმა უნდა, ამერიკულ ტელეარხებს ვერ გაეჯიბრებიან, თუმცა ამის მცდელობა (და არა ერთი) აქვთ.**

**ინტერნეტგამოცემა Salon-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პოლ ბაქჰაიტის** სტატიაში მოყვანილია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი, ფაქტებზე დაფუძნებული „სერიოზული ახალი ამბავი“, რომელთა შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თავიანთი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, უნდა გვამცნობდნენ, თუმცა შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული მედია მათ, ჩვეულებრივ, გვერდს უვლის:

**1. რეცესიის (წარმოების ან ეკონომიკის ტემპის შენელება) დაწყებიდან ამერიკის შეერთებული შტატები 34 ტრილიონი დოლარით გამდიდრდა. აქედან კი მოსახლეობის 93%-ს თითქმის არაფერი მიუღია.**

ამ მაჩვენებლის თანახმად, თითოეულ ამერიკელს დაახლოებით 100 000 დოლარი ერგება. თუმცა იმ ადამიანებმა, რომლებსაც აქციების უმრავლესობა ეკუთვნის, თითქმის ყველაფერი მიითვისეს. მათ მიერ მიღებული შემოსავლების საშუალო მაჩვენებელმა მილიონ დოლარს გადააჭარბა — გადასახადების გარეშე, თუკი ისინი თავიანთ აქტივებს არ გაანაღდებენ.

**2. 8 მდიდარმა ამერიკელმა გაცილებით მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე მინიმალური ხელფასის მქონე 3,6 მილიონმა ამერიკელმა.**

ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სრულ განაკვეთზე მომუშავე ვერც ერთი დასაქმებული ადამიანი, რომელიც მინიმალურ ხელფასს იღებს, ვერ შეძლებს ისეთი ბინის დაქირავებას სამართლიან საბაზრო ფასად, რომელშიც ერთი ან ორი საძინებელია. ასეთი კი 3,6 მილიონი ადამიანია, ხოლო მათი საშუალო ხელფასი 2013 წელს იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე იმავე წელს საფონდო ბაზრიდან 8 ამერიკელის მიერ მიღებული შემოსავალი. **ისინი თავიანთ წილზე გაცილებით მეტს იღებენ საზოგადოებისგან. ესენი არიან: უოლტონების ოჯახის ოთხი წევრი, კოუკების ოჯახის ორი წარმომადგენელი, ბილ გეითსი და უორენ ბაფეტი.**

**3. საინფორმაციო წყაროები მოსახლეობის მხოლოდ 5%-ის მოსაზრებას გამოხატავენ**

გამამხნევებელი ეფექტი ექნებოდა გულწრფელი წამყვანი სტატიის წაკითხვას სათაურით: **„ჩვენ ძალიან ვაფასებთ ჩვენი მკითხველების 5 ან 7%-ს, რომლებიც დიდძალ ფულს გამოიმუშავებენ და მიაჩნიათ, რომ მათი ქონების ზრდა დანარჩენებს ეხმარება“.**

ამის ნაცვლად, მოგებაზე ორიენტირებულ მედიასაშუალებებს, როგორ ჩანს, საერთოდ, არ ძალუძთ, განასხვავონ ერთმანეთისგან საზოგადოების 5% და დანარჩენი ნაწილი. გაზეთი Wall Street Journal აღნიშნავს: **„საშუალო კლასის ამერიკელები დღეს უფრო მსყიდველუნარიანნი არიან, ვიდრე ოდესმე“,** და შემდეგ განაგრძობს თავის გაუგებარ ტექსტს: **„რა რეცესია?.. ეკონომიკამ სული მოითქვა რეცესიისგან, უმუშევრობა მცირდება“.**

გაზეთი Chicago Tribune, რომელმაც, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაკარგა კავშირი თავის ნაკლებად პრივილეგიურ მკითხველთან, ეკითხება მათ: „რა არის საშიში იმაში, თუკი დიდძალი ფული დაიხარჯება საპრეზიდენტო კამპანიაში?“

**4. სატელევიზიო ცნობები ამერიკელი მაყურებლისთვის უკიდურესად გამარტივებულია.**

2009 წელს გამოცემა European Journal of Communication-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში შეერთებული შტატები შედარებულია დანიასთან, ფინეთთან და დიდ ბრიტანეთთან ინფორმირებულობის თვალსაზრისით საშინაო ახალ ამბებზე საერთაშორისო ახალ ამბებთან შედარებით, აგრეთვე, „სერიოზული“ ახალი ამბების მხრივ (პოლიტიკა, სახელმწიფო მართვა, ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნოლოგიები) „რბილ“ ინფორმაციასთან (ცნობილი ადამიანები, დიდ აუდიტორიაზე გათვლილი სტატიები, სპორტი და გართობა) შედარებით. შედეგები:

**ამერიკელები განსაკუთრებით ცუდად არიან ინფორმირებული საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე.**

**ამერიკელმა რესპონდენტებმა აჩვენეს ძალიან სუსტი შედეგი სერიოზული საშინაო ახალი ამბების ცოდნის მხრივ.**

**ამერიკული ტელევიზიები მნიშვნელოვნად მცირე ინფორმაციას გადასცემენ საერთაშორისო ახალი ამბების შესახებ, ვიდრე ფინური, დანიური და ბრიტანული ტელევიზიები.**

**ამერიკული საინფორმაციო სატელევიზიო ქსელის გადაცემები მოიცავს გაცილებით ცოტა სერიოზულ ინფორმაციას, ვიდრე ფინეთის ან დანიის ტელევიზიებისა.**

ამ კვლევაში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აღნიშნულია, რომ „არჩეული ამერიკული გაზეთები უფრო ორიენტირებული იყვნენ სერიოზულ ახალ ამბებზე, ვიდრე ევროპული ქვეყნების ბეჭდური გამოცემები“. უბედურება არის ის, რომ ამერიკელები სულ უფრო იშვიათად კითხულობენ პრესას.

**5. მედიის ხელმძღვანელების (იმ თეთრი მამაკაცებიდან, რომლებიც შობადობის ბუმის პერიოდის თაობას მიეკუთვნებიან) ვალი საზოგადოების მიმართ ტრილიონობით დოლარს აღწევს.**

მთელი ეს ხმაური „ადამიანზე, რომელმაც საკუთარი თავი თავად შექმნა“ (self-made man), წმინდა წყლის ფანტაზიაა. 1970-იანი წლების დასაწყისში ჩვენ, პრივილეგიურმა თეთრკანიანმა მამაკაცებმა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები დავამთავრეთ და ჩვენ უკვე გველოდა სამუშაო ადგილები მენეჯმენტისა და ფინანსების დარგში, ტექნოლოგიები ფულის შოვნის ახალ საშუალებებს გვიქადდა, გადასახადების შემცირების პერსპექტივას გვიხსნიდა, ხოლო ჩვენს წარმოსახვაში უკვე ვხედავდით ბონუსებისა და საკუთარი კაპიტალის ზრდას.

როდესაც სტუდენტები ვიყავით, თავდაცვის სამინისტრო ამზადებდა ინტერნეტს Microsoft-ისა და Apple-სთვის, ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა საინიციატივო ჯგუფი ციფრული ბიბლიოთეკების შექმნის პროგრამის რეალიზაციისთვის — ამ პროგრამის შედეგები Google-ის მოდელის საფუძვლად გამოიყენეს, ხოლო ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი წინასწარ ტესტირებას გადიოდა ისეთი კომპანიებისთვის, როგორებიცაა Merck და Pfizer.

სამთავრობო კვლევითმა ლაბორატორიებმა და სახელმწიფო უნივერსიტეტებმა მოამზადეს ათასობით ქიმიკოსი, ფიზიკოსი, პროგრამისტი, ინჟინერი, საწარმოო ხაზების შექმნის სპეციალისტი, ბაზრის ანალიტიკოსი, ლაბორანტი და ა. შ.

საკუთარი ძალებით კი ჩვენ მხოლოდ ზედაპირული დამოკიდებულების ჩამოყალიბება შევძელით — ისეთის, სტივ ჯობსმა რომ თქვა: **„ჩვენ არასდროს გვრცხვენოდა დიდი იდეების მოპარვის“.**

**6. მცირდება სკოლებისა და პენსიების დაფინანსება, რადგან კორპორაციები გადასახადებს არ იხდიან.**

სამმა სხვადასხვა კვლევამ ცხადყო, რომ დღეს კორპორაციები იმის ნახევარზე ცოტას იხდიან, რამდენსაც მათგან სახელმწიფო მოითხოვს და რაც სასკოლო განათლებისა და საპენსიო დაფინანსების მნიშვნელოვანი შემადგენლის საფუძველია. ახლახან ანგარიშში სათაურით „კორპორაციების საგადასახადო ბაზა, რომელიც ქრება“ აღნიშნული იყო, რომ კორპორაციული შემოსავლების პროცენტი, რომე- ▶

**12 აპრილს უიარაღო СУ-24, რომელსაც ბორტზე მხოლოდ „ხიბინები“ ჰქონდა, „დონალდ კუკს“ მიუახლოვდა, რომლის რადარებმაც შორიდანვე შენიშნა ბომბდამშენის მიახლოება. ხომალდის ეკიპაჟმა განგაში ატეხა, ჩართო „იჯისი“ და პოსტებზე განლაგდა, მაგრამ უცებ ყველაფერი გაითიშა — „იჯისი“ გაჩერდა, რაკეტებსაც კი არ ჰქონდათ მიზნის მიმართულების დადგენის საშუალება. ამასობაში СУ-24-მა „დონალდ კუკის“ გემბანს გადაუფრინა, მოაწყო რაკეტებით შეტევის იმიტაცია და გაფრინდა. ასე გააკეთა СУ-24-მა 12-ჯერ“. ამერიკული ხომალდის ეკიპაჟის ყველა მცდელობა კი, აემუშავებინათ „იჯისი“ და მიზანში ამოეღოთ საფრენი აპარატი, ამაო აღმოჩნდა.**

ახალი თუნდაც ხისათ...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მამა“ და ისინი შეიცვალოს სიტყვებით: „მშობელი №1“ და „მშობელი №2“ (როგორც დასავლეთშია)?

7. ბავშვების აღზრდის საქმეში პრიორიტეტი იყოს სახელმწიფოს უფლება და არა — ოჯახის (როგორც დასავლეთშია)?

8. ლეგალიზებული იყოს პროსტიტუცია (როგორც დასავლეთშია)?

9. არ იდევნებოდეს მეძავები და სუტენიორები (როგორც დასავლეთშია)?

10. სასამართლოს გადაწყვეტილებით, წაართვან ოჯახს ბავშვი (როგორც დასავლეთშია)?

11. წაართვან ოჯახს ბავშვი იმ მიზეზით, რომ ოჯახში ფსიქოლოგიური კომფორტი არ არის (როგორც დასავლეთშია)?

მაგრამ, **ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კითხვებს არ დასვამენ, რადგან პასუხად მიიღებენ ისეთ შედეგს, რომელიც იქნება უტყუარი მტკიცებულება მათი სიცრუის, ორპირობისა და ევროპის, როგორც საქართველოს ისტორიული არჩევანის ილუზორულობისა!** ამას კი ენ-დი-აისა თუ აირა-ის მიერ გაყალბებული კვლევა ველარ გადაფარავს!

ლიც გადახდილია, როგორც სახელმწიფოს მოგების გადასახადი, რომელიც 1980 წელს 7% იყო, დღეს 3%-მდე შემცირდა.

**7. შეერთებულ შტატებში მოქმედი კომპანიები გადასახადების დიდ ნაწილს საზღვარგარეთ იხდიან.**

კომპანია Citigroup-მა 2011-2013 წლებში საკუთარი შემოსავლების 42% ჩრდილოეთ ამერიკაში (დიდწილად — აშშ-ში) მიიღო, მისმა მოგებამ კი 32 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამასთანავე, ამ სამი წლის განმავლობაში მას ჰქონდა მოგების გადასახადის შემცირების უფლება.

**2011-2013 წლებში კომპანია Pfizer-ის მოგებამ 40% შეადგინა და მისი აქტივების თითქმის ნახევარი შეერთებულ შტატებში იყო, მაგრამ განაცხადა, რომ აშშ-ში მისმა წაგებამ თითქმის 10 მილიარდ დოლარს მიაღწია, აგრეთვე, უცხოეთში მიღებული თითქმის 50-მილიარდიანი მოგებიდან.**

2013 წელს კომპანია Exxon-ს მენეჯმენტის 43%, გაყიდვების 36%, გრძელვადიანი აქტივების 40% და ნავთობისა და აირის საბადოების 70%-90% შეერთებულ შტატებში ჰქონდა, თუმცა საერთო მოგებიდან მხოლოდ 2% გადაიხადა მოგების გადასახადის სახით აშშ-ში. გადახდილი თანხების დიდ ნაწილს შეგვიძლია, „თეორიული“ გადასახადი ვუწოდოთ.

**8. რესტორნებში მიმტანებს, უკვე 30 წელია, ხელფასს არ უმატებენ.**

მიშელ ჩენის შეფასებით, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, იმ ადამიანების მინიმალური ხელფასი, რომლებიც სამუშაო ადგილზე გაწეული სამსახურისთვის საჩუქრად ფულს იღებენ, საათში დაახლოებით 2 დოლარია. ამ ადამიანთა 40% ფერადკანიანია, ხოლო მათი ორი მესამედი — ქალი.

# პენტაგონის ისტერიკა, ანუ «ხიბინები» «იჯისის» წინააღმდეგ

**ამა წლის 12 აპრილს მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა СУ-24-მა რამდენიმეჯერ გადაუფრინა შავი ზღვის ნეიტრალურ წყლებში მცურავ ამერიკულ სამხედრო ხომალდ „დონალდ კუკს“, რომელიც აღჭურვილია მრავალფუნქციური საბრძოლო საინფორმაციო-სამართავი სისტემა „იჯისით“, აგრეთვე, ფრთოსანი რაკეტებით („ტომაჰავკი“).**

14 აპრილს ნატოსა და პენტაგონის წარმომადგენლებმა განგაში ატეხეს და განაცხადეს, რომ რუსულმა საფრონტო ბომბდამშენმა СУ-24-მა (ნატოელებმა მას Fancel („მოფარიკავე“) შეარქვეს) „დაუშვებელი და პროვოკაციული“ ფრენა განახორციელა შავ ზღვაში აშშ-ის სამხედრო ხომალდ „დონალდ კუკის“ თავზე, როცა ის შეტევას იმიტირებდა. **აშშ-ის თავდაცვის უწყების წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა სტივ უორენმა კი დაამატა, რომ რუსულმა თვითმფრინავმა, რომელსაც ბორტზე საბრძოლო მასალა არ ჰქონდა, 90 წუთის განმავლობაში 12-ჯერ ძალიან ახლოს ჩაუქროლა შავ ზღვაში, რუმინეთის სანაპიროსთან მცურავ აშშ-ის სამხედრო ხომალდს.**

ამ ხნის განმავლობაში ხომალდის ეკიპაჟმა ვერაფერი მოუხერხა მართვის სისტემებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ ამუშავდა, როდესაც რუსულმა თვითმფრინავმა ხომალდის თავზე ფრენა შეწყვიტა და თავისი ბაზისკენ აიღო კურსი.

ამის შემდეგ **„დონალდ კუკი“ შევიდა რუმინეთის საზღვაო პორტში, სადაც ეკიპაჟის 27 წევრმა უარი განაცხადა, ხომალდზე ემსახურა. პენტაგონმა აღიარა, რომ СУ-24-ის შეტევის იმიტაციამ ამერიკული ხომალდის ეკიპაჟის წევრებს შორის დემორალიზაციის ეფექტი გამოიწვია.**

სამხედრო ექსპერტთა აზრით, ნატოსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ისტერიკული განცხადებები გამაოგნებელია: **როგორ მოხდა, რომ ძველი თაობის, უიარაღო რუსულმა ბომბდამშენმა 12-ჯერ აუფრინ-ჩაუფრინა კბილებამდე შეიარაღებულ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უახლესი სისტემითა და შეიარაღებით აღჭურვილ ამერიკულ ხომალდს?**

USS Donald Cook (DDG-75) იმ სწრაფმავალი მანევრული და მრავალფუნქციური ხომალდების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მიზანიც არის წყალქვეშა ნავების, საფრენი აპარატების (მათ შორის რაკეტების) და მოწინააღმდეგეების ხომალდებთან ბრძოლა, აგრეთვე, ხომალდების შენაერთების დაცვა და გაცილება.

„დონალდ კუკი“ შეიარაღებულია ორი 6-ლულიანი საზენიტო დანადგარითა და 74 რაკეტა RIM-66 SM-2-ით, ანუ ამ ხომალდის დანიშნულებაა ბრძოლა არა მხოლოდ ნელი და ნაკლებადმანევრული СУ-24-ის, არამედ გაცილებით რთული სამიზნეების, მაგალითად, ხომალდების საწინააღმდეგო რაკეტების წინააღმდეგ, რომელთა სიჩქარე და მანევრირება გაცილებით აღემატება СУ-24-ისას. ყველა მონაცემის მიხედვით, **„დონალდ კუკის“ ეკიპაჟს შეეძლო მშვიდად მჯდარიყო ხომალდში, აემუშავებინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, „იჯისი“ და მომზადებულიყო შეტევის მოსაგერიებლად, მაგრამ ასე არ მოხდა — ეკიპაჟი დემორალიზებულია და 27 კაცმა წასვლის შესახებ შემდეგი შინაარსის განცხადება დაწერა: „არ მსურს, სიცოცხლის გარისკვა“. ამერიკელი სამხედროების დემორალიზება კი გამოიწვია მათმა უძლურებამ „ხიბინის“ წინაშე. „ხიბინი“ — ეს არის რადიოელექტრონული ბრძოლის უახლესი რუსული კომპლექსი** (სხვათა შორის, „ხიბინი“ ჰქვია მთათა სისტემას კოლის ნახევარკუნძულზე, მურმანსკის ოლქში, რომელიც პოლარული წრიდან 150 კმ-ის დაშორებით მდებარეობს), რომელიც **უახლოეს ხანში უნდა დამონტაჟდეს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებზე და რომელსაც მოწინააღმდეგის მართვისა და რადიოსალოკაციო სისტემების მწყობრიდან გამოყვანა შეუძლია...**



**რუსულმა თვითმფრინავმა, რომელსაც ბორტზე საბრძოლო მასალა არ ჰქონდა, 90 წუთის განმავლობაში 12-ჯერ ძალიან ახლოს ჩაუქროლა შავ ზღვაში, რუმინეთის სანაპიროსთან მცურავ აშშ-ის სამხედრო ხომალდს.**

**როგორ მოხდა, რომ ძველი თაობის, უიარაღო რუსულმა ბომბდამშენმა 12-ჯერ აუფრინ-ჩაუფრინა კბილებამდე შეიარაღებულ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უახლესი სისტემით აღჭურვილ ამერიკულ ხომალდს?!**

როგორ ვითარდებოდა მოვლენები? 2014 წლის 10 აპრილს „დონალდ კუკი“ შავი ზღვის ნეიტრალურ წყლებში შევიდა ამერიკის სამხედრო ძლიერების დემონსტრირებისა და რუსეთის დასაშინებლად უკრაინასა და ყირიმში მიმდინარე მოვლენების გამო. მანამდე შავი ზღვის აკვატორიაში უკვე იმყოფებოდა, მონტრეს კონვენციის დარღვევით, ამერიკული სარაკეტო ნაღმოსანი „ტრაკსტანი“, ანუ ამერიკელებმა იარაღის ჟღარუნი დაიწყეს, მაგრამ რუსებმა მათ გაკვეთილი ჩაუტარეს: 12 აპრილს უიარაღო СУ-24, რომელსაც ბორტზე მხოლოდ „ხიბინები“ ჰქონდა, „დონალდ კუკს“ მიუახლოვდა, რომლის რადარებმაც შორიდანვე შენიშნა ბომბდამშენის მიახლოება. ხომალდის ეკიპაჟმა განგაში ატეხა, ჩართო „იჯისი“ და პოსტებზე განლაგდა, მაგრამ უცებ ყველაფერი გაითიშა. „იჯისი“ გაჩერდა, რაკეტებსაც კი არ ჰქონდათ მიზნის მიმართულების დადგენის საშუალება. ამასობაში СУ-24-მა „დონალდ კუკის“ გემბანს გადაუფრინა, მოაწყო რაკეტებით შეტევის იმიტაცია და გაფრინდა. ასე გააკეთა СУ-24-მა 12-ჯერ(!). **ამერიკული ხომალდის ეკიპაჟის ყველა მცდელობა კი, აემუშავებინათ „იჯისი“ და მიზანში ამოეღოთ საფრენი აპარატი, ამაო აღმოჩნდა. ეს მხოლოდ მაშინ შეძლეს, როდესაც СУ-24 რადარების თვალს მიეფარა. სწორედ ამ უბედურების გამო დაწერა 27 ამერიკელმა სამხედრომ ხომალდიდან წასვლის შესახებ რაპორტი.**

# რუსული რაკეტა აშშ-ს 500 კმ-ზე მიუახლოვდა

**26 აპრილს რფ-ის შეიარაღებულმა ძალებმა პოლიგონ „კაპუსტინ იარიდან“, საბრძოლო სწავლების მიზნით, საკონტინენტთაშორისო რაკეტა „რს-24 იარსი“ გაუშვა, რომელსაც 2 საათში 9 ათასი კმ უნდა დაეფარა. რაკეტამ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა, თუმცა, ოფიციალური ინფორმაციით, რაკეტამ კურსს გადაუხვია და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს მიაღწია — აშშ-ის ტერიტორიას.**

აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემამ ვერ შეძლო რუსული რაკეტისთვის დაემიზნებინა, მაშინაც კი, როდესაც ის ამერიკის ტერიტორიიდან 2000 კმ-ზე ნაკლები მანძილით იყო დაშორებული (ეს კრიტიკული მანძილია). რაკეტამ მხოლოდ მაშინ შეიცვალა კურსი და გაფრინდა არგენტინისკენ, როდესაც აშშ-მდე 500 კმ იყო დარჩენილი.

მომხდარს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ პროვოკაცია უწოდა, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ კი განაცხადა, რომ „მოხდა კურსიდან რაკეტის ოდნავი გადახვევა, ამასთანავე, ის აბსოლუტურად უსაფრთხო იყო და ასაფეთქებელ ნივთიერებას არ შეიცავდა“.



ქვათა ღაღადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამველ კარაპეტიანის ინტერესი გასაგები უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც კი წაუკითხავს ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“. კარაპეტიანი, როგორც მისი ზოგიერთი თანამემამულე, ინფიცირებულია „დიადი არმენიის“ იდეით, რომლის მატერიალიზაცია მაინცდამაინც საქართველოს ხარჯზე აქვთ ჩაფიქრებული. ამ აკვიატებული იდეის, ანუ დაავადების მეტასტაზური გამოვლენაა „ტიფლისის (თბილისის) მერები“.**

# კარაპეტიანი წაგვეპოტინა

## პირნავარდნილი სომეხი დედაქალაქს გვედავება

**„ტიფლისის (თბილისის) მერები“ — ასეა დასათაურებული მეცნიერული კვლევის პრეტენზიის მქონე მონოგრაფია, რომლის საგაზეთო ვარიანტს „საქართველო და მსოფლიო“ დღევანდელი ნომრიდან შემოგთავაზებთ. ავტორია სამველ კარაპეტიანი. იკითხავთ — რა ამოძრავებდა ამ სომეხ მკვლევარს, რისთვის ილვწოდა, რა მიზანს ემსახურებოდა, სხვა ქვეყნის დედაქალაქის ისტორიით რომ დაინტერესდა, ასე გამოწვლილვით რომ ჩაუღრმავდა და 119-გვერდიანი ნაშრომი შემოგვთავაზა, სქემებითა და ფოტოილუსტრაციებით გამდიდრებული? ან ჩვენ რატომ გამოვიდეთ თავი ამ აშკარად ტენდენციური მონოგრაფიის სათარგმნელად და გამოსაქვეყნებლად? მივყვეთ თანმიმდევრობით.**

სამველ კარაპეტიანის ინტერესი გასაგები უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც კი წაუკითხავს ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“. კარაპეტიანი, როგორც მისი ზოგიერთი თანამემამულე, ინფიცირებულია „დიადი არმენიის“ იდეით, რომლის მატერიალიზაცია მაინცდამაინც საქართველოს ხარჯზე აქვთ ჩაფიქრებული. ამ აკვიატებული იდეის, ანუ დაავადების მეტასტაზური გამოვლენაა „ტიფლისის (თბილისის) მერები“.

**„1629 წლის ხელნაწერში აღნიშნულია: Тифлис — армянский город“.** ამის განმცხადებელი კარაპეტიანი იმოწმებს სომხურ ენაზე გამოცემულ წიგნს „ქართული წყაროები სომხეთსა და სომხებზე“ *(ტომი მესამე, ქ. ერევანი, 1955 წელი, გვ. 83).* ასეთი „მეცნიერული“ კვლევები ერევანში თავზე საყრელად აქვთ. **ნიშანდობლივია, რომ ამ ტომეულების გამოცემა საეჭვოდ ემთხვევა ხრუშჩოვის მიერ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს აკრძალვის წლებს**.

კარაპეტიანის წიგნი 2003 წელსაა გამოცემული „გიტუტიუნის“ მიერ სომხური არქიტექტურის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს გრიფით, რომლის წევრთა შემადგენლობა აღნიშნული მონოგრაფიისთვის უმეტესი წონის მისაცემად სრულად არის ჩამოთვლილი თავფურცელზე: არქიეპისკოპოსი მესროპ აშჩიანი (ნიუ იორკი), პროფ. გ. ბუშხაუზენი (ვენა), პროფ. ა. მუტაფიანი (პარიზი), პროფ. დოქტორი ხოფრიხტერი (კაიზერსლაუტერნი), პროფ. დოქტორი რ. ოვანესიანი (ლოს-ანჟელესი), პროფ. დოქტორი ჟ. პიპერი (აახენი), პროფ. დოქტორი ლ. ზეკიანი (ვენეცია), პროფ. დოქტორი მ. ასრატიანი.

ხომ დაგვახვიეს თავბრუ ავტორიტეტთა ამ თანავარსკვლავედის წარმოდგენით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მკითხველთა დიდი უმრავლესობისთვის ეს გვარები არაფრისმთქმელია და აღფრთოვანებას არ იწვევს.

ამაოდ დაშვრნენ.

მკითხველი ამ ავტორიტეტების გარეშეც გაერკვევა, სად იწყება და სად მთავრდება მეცნიერული სიმართლე ამ, ყველა მონაცემით, ავანტიურისტულ ნაშრომში.

ანუ სად არის დამარხული ძაღლის თავი?

არის კი, საერთოდ?

ნუ დავიზარებთ და ვცადოთ ნეშტის ამოთხრა იმ ძაღლისა, რომელიც მღვდელსა ჰყავდა და უყვარდა, მაგრამ, ხორცის ნაჭერი რომ მოიპარა, მოკლა, დამარხა და საფლავის ქვას დააწერა: „У попа была собака“...

პირველსავე ბელტს ამოჰყვება ციტატა, რომელსაც ავტორი გულღიად, ანუ, როგორც თვითონ სომხები ამბობენ, ვოროტბაცი, გვთავაზობს:

**„საქართველოს დედაქალაქი — თბილისი, რომელიც ამიერკავკასიის უძველესი და მსხვილი ქალაქია, თავისი ისტორიის ბოლო ათასწლეულის განმავლობაში იმართებოდა ერთმანეთს ჩანაცვლებული და მშობლიურ ქალაქზე შეყვარებული ისეთი მერებით, რომელთა ყოლას დიდ ბედნიერებად მიიჩნევდა ბევრი ქალაქი.**

„კავკასიის პარიზი“ — ხშირად ასე მოიხსენიებოდა ტიფლისი უკვე XIX საუკუნის ბოლოს, თუ, ამასთანავე, გავითვალისწინებთ, რომ გასულ საუკუნეში ქალაქი ხელთ იგდო ალა მახმად ხანმა, სრულად გაძარცვა, დაწვა და დაანგრია. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ტიფლისი „სომხეთის წინკარია, წინა ოთახია“ და რომ **„სომხებმა ტიფლისი ქართველებს კი არ წაართვეს, არამედ სპარსელებს, თურქებსა და გერმანელებს, და ეს არაკანონიერად კი არ გააკეთეს, ცბიერებით, ბნელ ღამეში, არამედ პატიოსანი შრომით, პატიოსანი ფულით, საღ ჭკუაზე და დღისით-მზისით“.**

**მოკლედ — თბილისი ჩვენიაო, სომხების**!

ასეთია ავტორის ამოსავალი დებულება და „შეურყეველი“ დასკვნა.

**XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1917 წლამდე თბილისის მერის თანამდებობაზე 47 კაცი ჩაენაცვლა ერთმანეთს,** — აგრძელებს ისტორიულ ექსკურსს კარაპეტიანი, — **მათგან 45 სომეხი იყო**.

რატომ ხდებოდა ასე?

იმიტომ, რომ თბილისის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სომხები იყვნენო (მაგალითად, 1910 წელს თბილისში 124 901 სომეხი ცხოვრობდა, რაც საერთო ოდენობის 40,9 პროცენტს შეადგენდა, ქართველები — 54 170 და, შესაბამისად, — 17,7 პროცენტს; მერები, ანუ **მელიქები 1864 წლამდე „მხოლოდ თბილისის მკვიდრთა წარმომადგენლები იყვნენ“.**

**ე. ი. კარაპეტიანი ამბობს, რომ თბილისის მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის, პირველი რანგის მოქალაქენი,**



**რომელთა წრიდანაც მერებს ირჩევდნენ, იყვნენ სომხები. მხოლოდ ისინი. აქვეყნებს კიდეც გრძელ ნუსხას, 79 სომხური გვარისას, რომელშიც ქართველების სახსენებელიც არ არის.**

დედაქალაქის ელიტა ქართველების გარეშე? — იკითხავთ.

დიახაცრო, გიპასუხებთ ეს მკვლევარი და თავისი პოზიციის დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ კონტექსტიდან ამოგლეჯილ ციტატას, რომელიც ქართველების დაუფარავი შეურაცხყოფაა... რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

ან უფრო ზუსტად: რაც არ გინდოდეს, ღმერთმა ნუ მოგცესო!

აი, ეს ციტატაც: **„წარმომავლობით ქართველებს მიდრეკილება არ ჰქონდათ ქალაქური ცხოვრებისადმი, სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისადმი. ეს იმდენად ძლიერი იყო, რომ, სარფიანობისა და უპირატესობის მიუხედავად, მოქალაქეთა წოდება თითქმის მხოლოდ სომხებით იყო წარმოდგენილი“.**

და ა. შ., დაუსრულებლად.

კარაპეტიანის ნაღვაწის მე-13 გვერდზე ასეთ ციტატასაც ამოიკითხავთ: „ტიფლისი, ანუ ჩვენებურად (ე.ი. სომხურად. — ა.ს.) თპხის, ძველი საქართველოს დედაქალაქი, სავსებით კანონიერად დღესაც შეიძლება ჩავთვალოთ მთელი

**კარაპეტიანი ამბობს, რომ თბილისის მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის, პირველი რანგის მოქალაქენი, რომელთა წრიდანაც მერებს ირჩევდნენ, იყვნენ სომხები. მხოლოდ ისინი**



კავკასიის და ამიერკავკასიის დედაქალაქად...“

ქართველებს რაო?

გაიღებს მოწყალებას და ასე ამთავრებს მოხმობილ ციტატას: „აგრეთვე, უპირობოდ, სომხეთისა და საქართველოს დედაქალაქად“.

სომხეთის დედაქალაქი თბილისი, ალბათ, ავლაბრიდან იწყება: პრეზიდენტის სასახლიდან.

ამ ნაბეჭდი პროდუქტის განხილვა ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის. მაშ, რატომ ვთავაზობთ მკითხველ საზოგადოებას ასეთ, მრავალგზის და ყოველმხრივ დისკრედიტირებულ ოპუსს?

რატომ გავისარჯეთ?

იმიტომ, რომ დრო დგას შესაფერისი: თბილისი მერის წინასაარჩევნო ეტაპში შევიდა და ეს საპასუხისმგებლო პროცესი ღირსეულად უნდა გავიაროთ, რისთვისაც გვმართებს სიფხიზლე და მობილიზება, **უწინდელი შეცდომები რომ არ გავიმეოროთ.**

უახლეს ისტორიაზე მიგანიშნებთ, სულ რამდენიმე წლის წინანდელზე — 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომლის დასრულების შემდეგ ჩვენი მეზობელი ქვეყნის ზოგიერთ გამოცემაში ასეთი დასკვნა გამოჩნდა: **საქართველოში პრეზიდენტად წარმოშობით სომეხი აირჩიესო.**

ეს ერთი, და მეორეც იმის საჩვენებლად, რა უადგილოა აკვიატებული კამათი იმის გამო, თუ ვინ, საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენელი უნდა ავირჩიოთ დედაქალაქის მერად — მაინცდამაინც თბილისში დაბადებული კაცი, მეგრელი თუ კახელი, გურული ან რაჭველი...

თბილისელმა უგულავამ ხომ აგვაშენა!

**კამათი იმაზე, რომ დედაქალაქის მერი არ შეიძლება იყოს კაცი პროვინციიდან, თავისთავად არის პროვინციალიზმი.**

ავყვებით ამ ტალღას და ისეთ უაზრობამდე მივალთ, როგორიც ის წიგნია, რომლის თარგმანსაც საგაზეთო ვარიანტის სახით გთავაზობთ.

**და მაინც — ვინ უნდა იყოს საქართველოს დედაქალაქის მერი?**

ეს მცირე შესავალი წინასაარჩევნო აგიტაციად ვინმემ რომ არ ჩაგვითვალოს, დავტოვოთ ეს საკითხი თბილისელების გადასაწყვეტად და ყოველი შემთხვევისთვის გავიხსენოთ დიდი ჭაბუა ამირეჯიბის შეგონება:

**„ჭკუით, ქართველებო!“**

**არმაზ სანებლიძე**

**„1629 წლის ხელნაწერში აღნიშნულია: ТИФЛИС — АРМЯНСКИЙ ГОРОД“. ამის განმცხადებელი კარაპეტიანი იმოწმებს სომხურ ენაზე გამოცემულ წიგნს „ქართული წყაროები სომხეთსა და სომხებზე“ (*ტომი მესამე, ქ. ერევანი, 1955 წელი, გვ. 83*).**

ქვათა ღაღადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




სამველ კარაპეტიანი

*ისტორიული ნარკვევი*

# ტიფლისის მერები



**XIX ს. მეორე ნახევარი 1917 წლამდე — აი დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში ტიფლისში ერთმანეთს 47 მერი ჩაენაცვლა, რომელთა მოღვაწეობის ისტორიას ქვემოთ გადმოგცემთ.**

აღნიშნული პერიოდი, შესაძლებელია, სამ ეტაპად წარმოვიდგინოთ:

1. XII-XIII საუკუნეები, როცა მერები ცნობილნი იყვნენ, როგორც ნაცვლები, ამირა ან შააპები;
2. XVII ს. დასაწყისიდან 1801 წლის ჩათვლით, როცა ქალაქს მართავდა მელიქი ან მელიქი-მამასახლისი;
3. 1840-1917 წლები, როცა ამ თანამდებობას უწოდებდნენ მერს.

სავსებით შესაძლებელია და ზოგიერთი არსებული მასალის მიხედვით მტკიცდება, რომ XII ს. მეორე ნახევრამდე, ასევე, XIII-XVII საუკუნეებს შორის ტიფლისს ჰყავდა თავისი მერები — თავადი, ნაცვალი, უხუცესი, მელიქი, მელიქი-მამასახლისი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ცნობები უაღრესად მწირია, რაც, საბოლოო ჯამში, სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის განსახილველ საკითხზე, ამიტომ საკვლევი მასალის შესწავლას ვიწყებთ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

აღნიშნულ პერიოდში და XII საუკუნის ბოლომდე თბილისის ამირას (ნაცვალის) თანამდებობა ეკავათ მახკანაბერდიელთა არწრუნიანცის სათავადო სახლის წარმომადგენლებს. ამ წლებში ერთმანეთი შეცვალეს ნაცვლებმა ვასაკმა და კურდმა, რომლებიც ძმები იყვნენ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მხოლოდ XVIII ს. ბოლოს მელიქის თანამდებობას ახალი სახეები იკავებენ — ბეიბუდიანების გვარის შთამომავლები, რომლებმაც ითავეს თბილისის მართვა ამავე სახელწოდების გუბერნიაში.

მრავალრიცხოვანი წერილობითი წყარო მოწმობს, რომ ბეიბუდიანები მართავდნენ ქალაქს XVII საუკუნის შუა ხანიდან. გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის — მელიქ დარჩის წერილის მიხედვით, რომელიც მან 1802 წლის 21 მარტს გენერალ კნორინგს გაუგზავნა, მელიქების მოვალეობის შესრულებას ისინი მხოლოდ 1714 წელს შეუდგნენ.

მელიქ ბეიბუდიანებს ქართველი მეფეები წყალობდნენ. მათთვის ბოძებული პრივილეგიები ქართველი არისტოკრატების პრივილეგიების ფარდი იყო. „სომხები, ანუ მოქალაქეები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ თბილისში. ქართველი მეფეები მათ ყოველნაირად მხარს უჭერდნენ. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის მოქალაქეებს სიკვდილით არ სჯიდნენ, როგორც სხვა უბრალო წოდებას, მხოლოდ ფულად ჯარიმას ახდევინებდნენ. ქართველთა მეფის — ვახტანგის კანონების თანახმად, მოქალაქისა და მეორე რანგის არისტოკრატის სიცოცხლე ერთნაირად ფასობდა. ძნელბედობის ჟამს, როცა საქართველოს ხარკი სპარსეთის შაჰისთვის უნდა ეხადა ქალიშვილებითა და ჭაბუკებით, რომელსაც არზარი ეწოდებოდა, სომხები ამ ხარკისგან გათავისუფლებულები იყვნენ. სანაცვლოდ ფულს იხდიდნენ. სომხები გარკვეულ ხარკს (მახტას) უხდიდნენ მეფეს, შეეძლოთ სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, უფლება ეძლეოდათ, დაეკავებინათ რამდენიმე თანამდებობაც კი“. ისინი, ჩვეულებრივ, ხელოსნობას მისდევდნენ... ქართველებს მოქალაქეებად არ წერდნენ. როცა რუსებმა ხელთ იგდეს თბილისი, ქართველთა მხოლოდ ერთი გვარი ჩაწერეს მოქალაქედ“.

*(წიგნში მოცემულია თბილისის პირველი რანგის მოქალაქეთა სიაში 79 სომხური გვარია ჩამოთვლილი. მათ შორის ქართველი არც ერთი არ არის).*

რაც შეეხება ქართველების არყოფნას ძირძველი მოქალაქეების სიაში, ეს საკითხი თავის დროზე დასაბუთებული იყო შემდეგნაირად *(ეს ციტატა პუბლიკაციის წინათქმაშიც შემოგთავაზეთ. — რედ.)*:

„წარმომავლობით ქართველებს მიდრეკილება არ ჰქონდათ ქალაქური ცხოვრებისადმი, სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისადმი. ეს იმდენად ძლიერი იყო, რომ, სარფიანობისა და უპირატესობის მიუხედავად, მოქალაქეთა წოდება მხოლოდ სომხებით იყო წარმოდგენილი“.

1640-იანი წლებიდან დაწყებული, 1801 წლამდე, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, ტიფლისის მერის თანამდებობა მემკვიდრეობის უფლებით ეკავათ თავად ბეიბუდიანებს. აღნიშნულ პერიოდში დასახელებული გვარის 15 მელიქი ჩაენაცვლა ერთმანეთს...

| წელი | სომხები | % | ქართვ. | % | რუსები | % | სხვები | % | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1803 | | | | | | | | | 11777 |
| 1848 | 14194 | 46,1 | | | | | | | 30814 |
| 1851 | | | | | | | | | 34888 |
| 1864 | 28404 | 47,3 | 14878 | 24,8 | 12462 | 20,7 | 4341 | 7,2 | 60085 |
| 1865 | 31180 | 47,2 | 14786 | 22,4 | 12142 | 18,4 | 7934 | 12,0 | 66042 |
| 1875 | 36974 | 45,0 | 21295 | 25,9 | 19424 | 23,7 | 4363 | 5,3 | 82056 |
| 1876 | 37601 | 41,0 | 22156 | 24,2 | 20198 | 22,0 | 11713 | 12,8 | 91668 |
| 1880 | 38509 | 45,0 | 22285 | 26,0 | 19804 | 24,0 | | | |
| 1885 | | | | | | | | | 104024 |
| 1891 | 55553 | 38,1 | 38357 | 26,3 | 36113 | 24,3 | 15708 | 10,8 | 145731 |
| 1895 | 66201 | 40,8 | 34623 | 21,3 | 28983 | 17,8 | 32544 | 20,0 | 162351 |
| 1896 | | | | | | | | | 163012 |
| 1897 | 46713 | 32,0 | 40526 | 27,7 | 39213 | 26.8 | 19712 | 13,5 | 163012 |
| 1905 | 84170 | 35,0 | 54558 | 22,7 | 57191 | 23,8 | 44404 | 18.5 | 240323 |
| 1910 | 124901 | 40,9 | 54120 | 17,7 | 67086 | 22,0 | 59100 | 19,4 | 305207 |
| 1914 | | | | | | | | | 344629 |
| 1916 | 142019 | 40.9 | 37584 | 10.8 | | | 167163 | | 346766 |
| 1922 | 85262 | 36,6 | 80072 | 34,4 | 38326 | 16,5 | 29114 | 12,5 | 232774 |
| 1926 | 112000 | 39,0 | | | | | | | |
| 1959 | 149000 | 21,0 | 330000 | 48,0 | 126000 | 18,0 | | | |
| 1979 | 153000 | 14.0 | 653000 | 62,0 | 129000 | 12,0 | | | |

**XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თბილისის სომხური მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მცირდება (ეს პროცესი დღესაც გრძელდება)... 1821 წელს კი... 3368 სახლიდან სომხებს ეკუთვნოდა 2951, ხოლო ქართველებისა და რუსების, ერთად აღებული, 417 სახლი იყო, ანუ 1821 წელს სომხები 87,6 პროცენტს შეადგენდნენ.**

მელიქის პრივილეგია იყო ის, რომ იგი ფლობდა ქალაქის ხუთივე ჭიშკრის (შესასვლელის) გასაღებს: „ქალაქს 5 კარი ჰქონდა: 1. სამხრეთის, სადაც მეფის ბაღი იყო (ბოტანიკური ბაღი) და ეწოდებოდა მას განჯის კარი, განჯის ქარავანი ამ კარიდან შემოდიოდა; 2. აღმოსავლეთის, ხიდთან, რომელიც აბანოსკენ მიგიყვანდათ, და ეწოდებოდა ერევნისა, აქედან შემოდიოდა ქარავანი ერევნიდან და მის გვერდით იყო საბაჟო (რახტარხანე); მე-3 და მე-4 კარები იყო დასავლეთის, ერთი დიდ ქუჩაზე, ჯგრაშენის ქუჩაზე, ზეიდლისა და ტერ-ასატუროვის სახლებს შორის, და ეწოდებოდა კარი წავკისისა, მეორე კი იყო ავთანდილ კუკუჯანიანის სახლთან და ეწოდებოდა კარი დეგომის; მე-5 კარი ჩრდილოეთისა იყო, წყლის მეორე მხარეს მეტეხისა და ჩიპინის ქარავანსარაის შორის, რომელსაც ეწოდებოდა კარი ავლაბრისა. კარები იყო რკინის და საღამოობით იკეტებოდა, მათ გასაღებს ქალაქის თავი ინახავდა, რომელსაც ეწოდებოდა მელიქი“.

ძველთაგანვე და, კერძოდ, 1801 წლამდე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტიფლისის ყველა მელიქი სომეხი იყო. ისტორიკოსი შ. ჩხეტია ამ ფაქტს ხსნიდა ქალაქში სომხების რაოდენობრივი უპირატესობით: „აქ ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ თბილისის მელიქად — ქალაქის თავად ქართველი მეფეების დროს ტრადიციულად ინიშნებოდა სომეხი, რაც ლაპარაკობს იმაზე, რომ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ანგარიშს უწევდა თბილისის სომხურ მოსახლეობას, რომელიც ქალაქის უმრავლესობას შეადგენდა და ქალაქის თავად ირჩევდა სომეხს. მეფის უკანკასკნელი მელიქი თბილისში XVIII ს. ბოლოსთვის იყო დარჩო ბებუთოვი...“

მაგრამ, ფაქტობრივი მასალების მიხედვით, არა მხოლოდ ქართველი მეფეები ნიშნავდნენ სომხებს მერებად. ყოველ შემთხვევაში, XVII-XVIII საუკუნეებისთვის ასეთი ცნობები არ არსებობს (მაგალითად, მელიქმა ბაინდურმა ეს თანამდებობა შაჰ-აბას უმცროსისგან მიიღო, ბეიბუდიანებს კი იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა). ქართველ მეფეებს მხოლოდ უფლება ეძლეოდათ, დაედასტურებინათ შვილის უფლება, რომელიც უნდა ჩანაცვლებოდა მამას მემკვიდრეობით მიღებულ ქალაქის თავის თანამდებობაზე.

## თბილისის მოსახლეობა

პირველწყაროები მოწმობს, რომ თბილისის სომხური მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენდა არა მხოლოდ XIX საუკუნეში, არამედ ადრეც, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მაგალითად, რომუსიოს იტალიურ თარგმანში (XVI ს.) თბილისში მცხოვრებ მრავალი ერის წარმომადგენელთა შორის, პირველ რიგში, ნახსენები არიან სომხები: „ამ მხარეში არის ლამაზი ქალაქი, რომელსაც თბილისი ეწოდება, მის შემოგარენში ბევრი ციხე და ციხის გალავანშემორტყმული სოფელია. იქ ცხოვრობენ ქრისტიანი სომხები, ქართველები და უმნიშვნელოდ „სარაცინები“ და ებრაელები, მაგრამ ისინი ცოტანი არიან...“

1629 წლის საყურადღებო ხელნაწერში აღნიშნულია: **„თბილისი სომხური ქალაქია“.**

ქართველი ბატონიშვილი ვახუშტი 1745 წ. ასევე მიუთითებდა სომხების რიცხობრივ უპირატესობაზე: „თბილისის მცხოვრებნი არიან სპარსელი მუსლიმები ბერდასა და სეიდაბადში, ბერდას გარეთ — უპირატესად სომხები არიან სომხები და მცირედ — ქართველები...“

1770 წ. კაპიტანი იაზიკოვი თავის მოხსენებით ბარათში საქართველოს შესახებ აღნიშნავს: „...მათი მონათხრობით იქ ხუთი ათასი კომლი ითვლება, მცხოვრებნი უპირატესად სომხები და კათოლიკები არიან... არის ბევრი მდიდარი ვაჭარი, რიცხობრივად ქალაქში რამდენი ადამიანია, ამის თქმა შეუძლებელია, რადგან თვითონაც არ იციან...“

ამით იყო განპირობებული, რომ ქართველი მეფეები, სპარსეთის შაჰები და თურქეთის სულთნები სომხებს როგორც მელიქის, ასევე მამასახლისის თანამდებობებს ანიჭებდნენ.

მთელი XIX ს. განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენდნენ. 1860 წლიდან ჩატარებული სტატისტიკური კვლევების შედეგები ასეთ სურათს იძლევა:

**(გაგრძელება იქნება)**

ვინემტორჩგელი ხარ, ბიჭო?!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი ადამიანი, მით უფრო, ექსპერტი, რომელიც გაზეთში წერს ან ინტერვიუებს არიგებს, ვალდებულია, თავისი მოსაზრება პროამერიკულობის უპირატესობის შესახებ არგუმენტების მოშველიებით დაასაბუთოს და არა რუსეთის განქიქებით. ექსპერტის შეფასება ყოველთვის აწონილ-დაწონილი უნდა იყოს, ანუ დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით და, რა თქმა უნდა, ქვეყნის ინტერესების პრიზმაში გატარებული! ამის გარეშე კაპიკია ყველა ანალიზის ფასი!**

# «ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს!»

## ანუ სოსო ცისკარიშვილის «აღმოჩენა», რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით

**ადამიანი ფულით იძენდა და იძენს არა მხოლოდ მატერიალურს, რაც მას საარსებოდ სჭირდება, არამედ იმასაც, რაც სხვებზე მაღლა დგომის, ბატონობის შესაძლებლობას აძლევს — წოდებას, თანამდებობას, სახელისუფლო სავარძელს, ანუ ძალაუფლებას. რაც მთავარია, ფულით ხერხდება როგორც ცალკეული ადამიანების, ისე ხალხთა მასების ნების სასურველი მიმართულებით წარმართვა მოსყიდული, უკაცრავად, დაფინანსებული (პროფესიულ საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით, ცხადია) ჟურნალისტების, ექსპერტებისა და ე.წ. ლობისტების მეშვეობით.**



ოქრო-ვერცხლის ძალაზე უამრავი ისტორია, მხატვრული ნაწარმოები თუ ლაპიდარული გამოთქმა არსებობს. „ჯოჯოხეთის მანათობელ" ძალას ყველა აღიარებს და არც **არავის შეუტანია ეჭვი გამოთქმაში: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს!". ასე იყო 2014 წლის აპრილამდე, ვიდრე ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარემ, ბატონმა სოსო ცისკარიშვილმა ამ გამოთქმის თავისი ინტერპრეტაცია არ შემოგვთავაზა.**

ამას წინათ ცისკარიშვილის ერთი ინტერვიუ (საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან") კრიტიკულად განვიხილე და ნამდვილად არ მეგონა, მისი მომდევნო ინტერვიუც თუ საკრიტიკო გახდებოდა. არადა, იყო დრო, პრეზიდენტად მესახებოდა ბატონი სოსო და მისთვის საქებარი სიტყვებიც არ დამიკლია პრესის ფურცლებზე. ამჟამინდელი ინტერვიუ, ჟურნალისტ თამთა ქარჩავასთვის მიცემული („იქნებ, უკრაინელებს ან მოლდოველებს ვკითხოთ, რა ტიპის დანაშაულია სეპარატიზმი"), მიუღებელ (ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემთვის) დასკვნებთან ერთად, ერთ „აღმოჩენასაც" შეიცავს.

მაშ ასე, მივყვეთ ინტერვიუს:

**„რუსეთს საომარი მოქმედების წარმოება არ ძალუძს, ამას არც მიზანშეწონილად თვლის"** (იგულისხმება, საქართველოს წინააღმდეგ — ი. ლ.).

ჰო, რა თქმა უნდა, არ ძალუძს — **რუსეთი თავისი დაჟანგული ტანკებით ამერიკელების მიერ ერაყ-ავღანეთ-აფრიკაში საბრძოლველად გაწვრთნილ ჩვენს ჯართან, რას გახდება! თანაც, მას ხომ 2008 წლის აგვისტოში თავგამოჩენილი გენერლები — ნაცი „ბაგრატიონები" უდგანან ისევ სათავეში!**

რაც შეეხება ***„...ამას არც მიზანშეწონილად თვლის",*** სწორია, ოღონდ, ჯერჯერობით(!), **არავინ იცის, როდის ჩათვლის რუსეთი „ამას" მიზანშეწონილად, ეს, ძირითადად, ნატოსკენ ჩვენს გაუაზრებელ ლტოლვაზეა დამოკიდებული!**

ჟურნალისტის შეკითხვაზე – ვინ შეიძლება საქართველოში წარმოადგენდეს მეხუთე კოლონას, რომლის საშუალებითაც კრემლი ცდილობს რბილი ძალის ამოქმედებას („რბილი ძალა" ბატონ სოსოს განმარტებული აქვს, როგორც რუსეთის სტრატეგია, ანუ „ნაზუქი, რომელსაც მათრახთან ერთად რიგრიგობით დაარიგებს". — ი. ლ.), იგი ასე პასუხობს (მომყავს სრულად, გამოთქმულ მოსაზრებას რაიმე რომ არ დააკლდეს და კონტექსტიდან ამოგლეჯაზეც არ იყოს ეჭვი):

„თვითლუსტრაცია დღეს აშკარად დაფიქსირებულია გაზეთში „საქართველო და მსოფლიო". ნუ დაიზარებენ ჩვენი მკითხველები, შეიძინონ რამდენიმე ნომერი, თუ სადმე ერთ გადაკრულ ფრაზას მაინც ამოიკითხავენ რუსეთის კრიტიკის სახით, მაშინ ბოდიშს მოვუხდი ამ გაზეთს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთთან ადეკვატური ურთიერთობის დამყარების შესახებ, ცხადია, ეს თემა იფარგლება ქართულ-რუსული ურთიერთობებით. მაგრამ, როდესაც ამის პარალელურად არის არსებული ხელისუფლების ლანძღვა-გინება, ისევე როგორც წინა ხელისუფლების იყო, მაშინ ჩნდება კითხვა, რა მიაქანებს ამ გაზეთს პირდაპირ კრემლისკენ და არა რუსეთისკენ? მეხუთე კოლონა, ასე, შუბლზე დაწერილი ემბლემით ქუჩაში არ გამოდის. მაგრამ, საქართველო არაა იმხელა ქვეყანა, რომ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგოს. ყველას თავისი სახელი და გვარი აქვს".

პატივცემული ექსპერტის ამ პასუხზე ჩემი, არაექსპერტის, პასუხი ასეთია:

**მკითხველი, სხვათა შორის, ბატონი სოსოს თხოვნის გარეშეც, დაუზარელად ყიდულობს და სიამოვნებით კითხულობს „საქართველოს და მსოფლიოს".**

**თუ გაზეთი, რომელიც თავის პოზიციას არ მალავს და ზოგიერთივით არ ინიღბება, მეხუთე კოლონაა, მაშინ მისი მკითხველები, რომლებიც იქ გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებს, ამ კოლონის რიგებში მდგარი ჯარისკაცები გამოდიან. საინტერესოა, პროამერიკული პოზიციის გამოხატვის შემთხვევაში, რომელ კოლონად მიიჩნევდა ბატონი სოსო „საქართველოს და მსოფლიოს" — ისევ მეხუთედ თუ „დემოკრატიულ" მეხუთედ?**

**რაც შეეხება რუსეთის კრიტიკას გაზეთის ფურცლებზე, რუსეთის მინუსებზე ძალიან ბევრი დაიწერა არა მარტო საგაზეთო სტატიებში, არამედ სკოლის სახელმძღვანელოებშიც. ამიტომ, თუ ობიექტურობაზე ვდებთ თავს, მაშინ არც პლუსებზე და არც მოსალოდნელ საფრთხეებზე (ნატოსკენ ლტოლვით წარმოშობილზე) უნდა ვხუჭავდეთ თვალს,** განსაკუთრებით დღეს, როცა რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებისა და ამერიკა-ნატოს ქება-დიდების მეტი არაფერი გვესმის! **კარგი იქნებოდა, ბატონი სოსო თვითონ თუ გაგვახსენებდა თავის, თუნდაც ერთ, გადაკრულ ფრაზას ამერიკის საგარეო (ან საშინაო) პოლიტიკისა და ნატოში გაწევრების მინუსებზე.** რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, ვიღაც მოსწონდეს და ვიღაც – არა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ **ნებისმიერი ადამიანი, მით უფრო, ექსპერტი, რომელიც გაზეთში წერს ან ინტერვიუებს არიგებს, ვალდებულია, თავისი მოსაზრება პროამერიკულობის უპირატესობის შესახებ არგუმენტების მოშველიებით დაასაბუთოს და არა რუსეთის განქიქებით. ექსპერტის შეფასება ყოველთვის აწონილ-დაწონილი უნდა იყოს, ანუ დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით და, რა თქმა უნდა, ქვეყნის ინტერესების პრიზმაში გატარებული! ამის გარეშე კაპიკია ყველა ანალიზის ფასი! ეს ასეა, მაგრამ რა ჰქნან, როცა არგუმენტები არ აქვთ** (მისი არარსებობის გამო)? რომ ჰქონდეთ, ზოგად ფრაზებს რატომ ამოეფარებოდნენ, ამ თემებზე ღია ეთერში დისკუსიას (ჭეშმარიტ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან) რატომ გაექცეოდნენ და მონოლოგის რეჟიმში რატომ ილაპარაკებდნენ? თანამოაზრე „ნაცებთან" შიგადაშიგ გამართული „კოჰაბიტაციური დაკა-დაკა" ყალბი ილუზიების შესაქმნელად, მოსახლეობის „დასაბმელადაა" მოფიქრებული.

**რომელი ლოგიკით „ჩნდება კითხვა", რომ ძველი და ახალი ხელისუფლების კრიტიკა გაზეთს პირდაპირ კრემლისკენ მიაქანებს და არა რუსეთისკენ?! ეს ხომ აბსურდია! გამოდის, ამგვარი იარლიყების მოწებების შიშით, ვერ ამოგვიღია ხმა, ვერ გაგვიკრიტიკებია ერთდროულად „ქოციც" და „ნაციც"!** და კიდევ — **ეგებ აგვიხსნან, შეიძლება თუ არა პირდაპირ რუსეთისკენ გაქანება კრემლის გვერდის ავლით? ან თვითონ ბატონი სოსო ამერიკისა და ნატოსკენ ვაშინგტონის გვერდის ავლით მიექანება?!**

ვეთანხმები ბატონ სოსოს, რომ „საქართველო არაა იმხელა ქვეყანა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს". ყველა ყველაფერს ვიგებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად — საკმაოდ დაგვიანებით. აბა, **თავიდანვე რომ გვცოდნოდა, ვინ ვინ არის, ვინ რომელი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელია, სააკაშვილსა და „თავისუფლების" ინსტიტუტში დაფრთიანებულ ხალხს ხომ არ დავისვამდით თავზე?!** ურემი რომ გადაბრუნდა, ახალი გზა თითქოს გამოჩნდა, მაგრამ ისე ტექნიკურად დაგვაბრუნეს ძველ გზაზე, რომ ბევრი დღესაც ვერ მოსულა აზრზე! **ძველ გზას რომ ადგას, სწორედ ამიტომ ვაკრიტიკებთ ძველთან ერთად ახალ ხელისუფლებასაც!**

შემდეგი ნაწყვეტი ინტერვიუდან:

**„ამა თუ იმ ორგანიზაციის** (არასამთავრობო – ი. ლ.) **მიერ ფურცელზე დაწერილი მიზნები ისე კეთილშობილად ჟღერს, რომ არც იქნება სწორი, რაიმე მიზნით ისინი არ დარეგისტრირდნენ, თუმცა დარეგისტრირება ნიშნავს იმას, რომ, გარდა ენთუზიაზმისა, ამ სტრუქტურას უნდა გააჩნდეს საბანკო ანგარიში. არ ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია ბერკეტები ასეთი კონტროლისა, რამდენად არადემოკრატიული არ უნდა იყოს ასეთი ინტერესი".**

მართალია ბატონი სოსო, მაგრამ **მერე ვინ უშლის ხელისუფლებას, დაამყაროს ეს კონტროლი?** სალანძღავმა რუსეთმა კარგა ხნის წინათ მიიღო შესაბამისი კანონი და კიდევ ბევრი სხვაც. **ეს კანონები უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების კონტროლის, ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვის და მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის თაობაზე ექსპერტებს უმნიშვნელოდ მიაჩნიათ და ამიტომ არ იღებენ ხმას თუ რადგან რუსეთშია მიღებული, თავი უნდა შევიკავოთ?!** ეს ხომ პრიმიტიული აზროვნებაა!

შემდეგი:

**„დღევანდელი გადასახედიდან ასეთი ორგანიზაციების** (იგულისხმება რუსეთზე ორიენტირებული ორგანიზაციები. — ი. ლ.) **მხარდამჭერი შეიძლება იყოს ქვეყნის ღატაკი და ულუკმაპურო მოქალაქე. სამწუხაროდ, ვერც გავკიცხავთ და ვერც დავაჯერებთ იმაში, რომ ის, თუ ახლა შიმშილობს, ოცი წლის მერე, თუ შთამომავალი შემორჩა, ის აღარ იშიმშილებს. ამაზე ცოტა ადრე უნდა გვეფიქრა ყველას ერთად".**

უკაცრავად, მაგრამ **ექსპერტს არ ევალება, აგვიხსნას, რატომ არის ქვეყნის ღატაკი მოსახლეობა ასეთი ორგანიზაციების მხარდამჭერი? ან რატომ ვერ დავაჯერებთ იმაში, რომ მომავალში აღარ იშიმშილებს? რუსეთია ყველაფერში დამნაშავე? შთამომავლობაც რომ შეიძლება არ შემოგვრჩეს, იმაშიც? ასეთი ნიჰილიზმი გაჭირვებული კაცის ბრალია თუ ხელისუფლების?** მაშ, ყოფილა ხელისუფლება საკრიტიკო, თანაც გვარიანად!

ცოტა ადრე უნდა გვეფიქრაო, — ბრძანებს ექსპერტი. ნამდვილად, მაგრამ, **თუ ახლაც არ ვფიქრობთ და ჩვენს დამაქცევარ (ეკონომიკურად და პოლიტიკურად) გზას ვადგავართ, საშველი ისევ რუსეთის ლანძღვასა და ამერიკის ქებაში უნდა ვეძებოთ?** განვლილი გზის ანალიზის გარეშე შეუძლებელია სწორ გზაზე დადგომა, **გზის კრიტიკული ანალიზია გადამწყვეტი და არა — სააკაშვილისა და სხვა „ნაცების"**

▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრემიერის განცხადებიდან რამდენიმე კვირაში სამეგრელოს გუბერნატორი ამბობს, რომ ანაკლიის პორტი არ აშენდება. ინვესტორი გაოგნებული უყურებდა და უთხრა, რომ ავაშენებთ ფოთის პორტს და შემდეგ მივხედავთ ლებარდეს, სქურს და მუხურს, სადაც წყლის საამქროებს გავაკეთებთ და ბაზარზეც გავიტანთო.**

◀ **პიროვნული ლანძღვა-გინება ან თუნდაც დაპატიმრება!**

შემდეგი:

**„ნაციონალურ მოძრაობას" რომ არ დაესწრო, ასეთი აქციები** (იგულისხმება „ნაცმოძრაობის" მიერ ორგანიზებული აქცია-კონცერტი „მე ვირჩევ ევროპას". — ი. ლ.) **ჩატარდებოდა კრემლის დაფინანსებით. თუ ამ ორი სუბიექტის ინტერესები ემთხვევა, მაშინ უფრო თავმოყვარე ნაწილმა უნდა გამიჯნოს თავი ასეთი დუეტიდან".**

ცოტა გაუგებარია, ასეთი აქციის („მე ვირჩევ ევროპას") დაფინანსებას დაასწრებდა კრემლი?! ჯერ ვიფიქრე, რომ კრემლის დაფინანსებით მოწყობილ (შესაძლოა, მომავალში!) აქციაში ბატონმა სოსომ „მე ვირჩევ რუსეთს" იგულისხმა, მაგრამ არა, ექსპერტი გარკვევით ამბობს, რომ, „თუ ამ ორი სუბიექტის ინტერესები ემთხვევა, მაშინ, უფრო თავმოყვარე ნაწილმა უნდა გამიჯნოს თავი ასეთი დუეტისგან". ე. ი. **რა გამოდის? „ნაცები" და კრემლი — ორივენი „მე ვირჩევ ევროპას" აწყობენ?! ბევრი** რამაა შესაძლებელი, მაგრამ არა ასეთი აბსურდი. არ არის გამორიცხული, ბატონი სოსოს აზრი ჟურნალისტმა ზუსტად ვერ გადმოსცა, მაგრამ, ასეც რომ იყოს, კითხვა მაინც რჩება: **თუ აქცია არა დუეტის („ნაცმოძრაობის" და რუსეთის), არამედ მხოლოდ „ნაცების" მიერაა ორგანიზებული, მაშინ პრეზიდენტის მისვლა ასეთ ღონისძიებებზე უთავმოყვარეობად არ ჩაითვლება?**

დასასრულ, კვინტესენცია — ჟურნალისტის მიერ არასამთავრობოებისა და მედიის დაფინანსების თაობაზე დასმულ მეტად მნიშვნელოვან კითხვას ბატონი სოსო წარმოუდგენლად მოკლედ, ერთი პატარა წინადადებით უპასუხებს:

**„ფული ვისია, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ვინ წარმართავს მათ სტრატეგიას"!**

ძალიან **გამაოცა ბატონი სოსოს ამ თვალსაზრისმა ფულის მფლობელზე, ანუ მუსიკის შემკვეთზე, თითქოს არ იცოდეს, რომ ცალკეული დამფინანსებელი (პიროვნება თუ ორგანიზაცია) პირადი სიმპათიით ან ანტიპათიით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ სტრატეგიის განმსაზღვრელთა პოლიტიკას ატარებს (ამ პოლიტიკასაც ისევ ფულის, ოღონდ დიდძალი ფულის მფლობელი ხალხი აყალიბებს). უცხოელთა პირადი ინტერესები თავისთავად თან სდევს და უნისონშია ამ სახელმწიფოების სტრატეგიასთან!**

ექსპერტი, რომელიც იტყვის: „ფული ვისია, ამას მნიშვნელობა არ აქვს", ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ იგი ფინანსდება, თანაც, დიდი ალბათობით, უცხოეთიდან! თუმცა მერე რა, ამას ხომ, თურმე, მნიშვნელობა არ ჰქონია, ბატონი სოსო მაინც იმას იტყვის და დაწერს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს და მას დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნებისთვის წაახალისებენ კიდეც! სულ ამ ნიშნით არ აფასებს და აფინანსებს დასავლეთი არასამთავრობოებს, ჟურნალისტებსა და ექსპერტებს?

**იაკობ ლეჟავა**

ჯუნა მხეიძე:

# ანაკლიაში პორტი არ აშენდება, პრემიერი ღარიბაშვილი იტყუება!

**საქართველოს ყველა კუთხეს ძალიან რომ უჭირს, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ყველაზე მიტოვებული და განუკითხავი რატომღაც სამეგრელო აღმოჩნდა. ძალიანაც რომ არ უნდოდეთ, ადგილობრივები იძულებულნი არიან, აღიარონ, რომ ზუგდიდს მიშა სწყალობდა — მან განმუხურსა და ანაკლიას ახალი ელფერი შესძინა, თუმცა უხარისხოდ, მაგრამ მაინც... ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სამეგრელო კვლავ ჩაკვდა. ერთი პირობა ისიც იფიქრა ხალხმა, მთავრობას იმიტომ დავავიწყდით, ირაკლი ალასანიამ არჩევნები რომ წააგოო, მაგრამ მათი იმედგაცრუება პრემიერმა ღარიბაშვილმა გააქარწყლა, როდესაც ზუგდიდიში ჩავიდა და დადიანების სასახლის ეზოში მოსახლეობის მცირე ნაწილს შეხვდა. ღარიბაშვილმა მაშინ ზუგდიდელებს სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა, რომ ანაკლიაში ყველაზე ღრმაწყლიანი პორტი აშენდებოდა. პრემიერის ამ განცხადებიდან რამდენიმე კვირის თავზე მინისტრთა საბჭოს მშენებლობის განყოფილების ყოფილმა გამგემ ჯუნა მხეიძემ „საქართველო და მსოფლიოს" სენსაციური ინფორმაცია მოაწოდა — ანაკლიის პორტის მშენებლობა არ იგეგმებაო.**



**— რა ვითარებაა ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით? პრემიერმა ზუგდიდელები დააიმედა, რომ პორტის მშენებლობა ძალიან მალე დაიწყებოდა.**

— ზუგდიდში გაკეთებული განცხადების შემდეგ პრემიერმა ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტი აშენდება.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ ჩვენ, რამდენიმეკაციანმა ჯგუფმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორსა და ეკონომიკის მინისტრს უკრაინიდან ჩამოსული ინვესტორის სახელით წერილები მივწერეთ, რომ მზად არის, ანაკლიის პორტი ააშენოს.

**— ვინ არის ეს ინვესტორი?**

— ეს არის ფირმა „ოლტა". მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ უკრაინაში მცხოვრები ქართველი, ხოლო ფირმის ხელმძღვანელია ებრაელი ბიზნესმენი. სწორედ ისაა დაინტერესებული ანაკლიის პორტის მშენებლობით. ეს ადამიანი, წლებია, წარმატებით მუშაობს უკრაინაში და სურს, გრანდიოზული პროექტები საქართველოშიც განახორციელოს.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— ამ ინვესტორის ლიმიტი რამდენიმე ათეული მილიარდია. 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში ზუსტად ამ მიზნით ქართველი ებრაელი ჩამოვიდა, მაშინ **ედუარდ შევარდნაძემ თითქმის უკვე დაწყებული საქმე გააფუჭა — გადაწყვეტილება შეცვალა და ანაკლიის ნაცვლად პორტი ყულევში გააკეთა. ყველამ ვიცით, რომ ყულევს, გარდა კონტრაბანდის გადაზიდვისა, სხვა დანიშნულება არ ჰქონია. წლები რომ გავიდა და ხელისუფლება შეიცვალა, ებრაელი ინვესტორები კვლავ დაინტერესდნენ ანაკლიის პორტით. მათ საქართველოში ძალიან ახლო და მჭიდრო ურთიერთობები აქვთ გარკვეულ ადამიანთა ჯგუფთან და ძალიან კარგად იციან ანაკლიის პორტის მშენებლობა. ერთადერთი უმთავრესი გზაა ქვეყნის გადარჩენის, აფხაზების შემორიგებისა და ხალხის კეთილდღეობის. „თი-ბი-სი" ბანკის მმართველი მამუკა ხაზარაძე, რომელიც, სავარაუდოდ, დღესაც ხელს უშლის ანაკლიის პორტის მშენებლობას, მაშინაც მხარში ედგა შევარდნაძეს.**

**— რა გაძლევთ ამ განცხადების გაკეთების საფუძველს? ეს სერიოზული ბრალდებაა.**

— ყველაფერს მოგიყვებით. **ერთი კვირის წინ გამოვნახეთ გზები საიმისოდ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიას შევხვედროდით. მართლაც, ზუგდიდში ერთ-ერთ კაფეში მას ინვესტორთან ერთად შევხვდით. შეხვედრისთანავე გამოუცხადა ინვესტორს, გთხოვთ, ანაკლიის პორტზე ნუ ვისაუბრებთო. სტუმარმა უთხრა, რომ მხოლოდ ამ საქმით არის დაინტერესებული და სხვა მიზანი არ ამოძრავებს. შონიამ უპასუხა, რომ ანაკლიაში პორტს არ ააშენებს და რომ ის დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის განვითარებით.** წარმოგიდგენიათ? **პრემიერის განცხადებიდან რამდენიმე კვირაში სამეგრელოს გუბერნატორი ამბობს, რომ ანაკლიის პორტი არ აშენდება. ინვესტორი გაოგნებული უყურებდა და უთხრა, რომ ავაშენებთ ფოთის პორტს და შემდეგ მივხედავთ ლებარდეს, სქურს და მუხურს, სადაც წყლის საამქროებს გავაკეთებთ და ბაზარზეც გავიტანთო.**

ინვესტორები მზად არიან, მილიარდ 200 ათასი დოლარი ჩადონ პორტის მშენებლობაში; მზად არიან, გააკეთონ არხიც, რომ ენგურს მიმართულება შეეცვალოს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უბედურება მოხდება.

**— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც ეს ინფორმაცია მოისმინეთ?**

— კინაღამ გადავირიეთ. პირადად მე მზად ვიყავი, ხელიც კი დამერტყა. მოკლედ, **ვერაფერზე რომ ვერ შევთანხმდით, მერე გუბერნატორმა ინვესტორს ასეთი რამ უთხრა, — ამიშენეთ პორტი სუფსაში თხევადი გაზის ტერმინალით, რათა გაზი ევროპაში გავიტანოთო.**

**სუფსის პორტში გაზის ტერმინალის გაკეთება ამერიკელებს უნდათ. ამის თაობაზე მათ პრემიერ ღარიბაშვილს ამერიკაში უთხრეს. შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა ისინი საქართველოში დაპატიჟა და დღემდე კვლევით სამუშაოებს აწარმოებენ. მათთან ერთად იმყოფებოდა მამუკა ხაზარაძეც, სწორედ ამიტომაც გვაქვს ეჭვი, უფრო ზუსტად, დადასტურებული ინფორმაცია, რომ ხაზარაძე ისევ ამ საქმეებშია ჩარეული და არა მარტო ის, საქმეში კვლავ შევარდნაძის კლანი ფიგურირებს. მამუკა ხაზარაძე სუფსაში პორტის აშენებას უხელმძღვანელებს.** შესაძლოა, ვინმე შემომედავოს, რაღა დროს შევარდნაძეაო, მაგრამ ფაქტია, რომ მამუკა ხაზარაძე ისევ ზენიტშია და საქმესაც სათავისოდ აკეთებს.

## «სუფსის პორტში გაზის ტერმინალის გაკეთება ამერიკელებს უნდათ. ამის თაობაზე მათ პრემიერ ღარიბაშვილს ამერიკაში უთხრეს»

**— კი, მაგრამ გუბერნატორს რატომ არ ჰკითხეთ — პრემიერი ერთ განცხადებას აკეთებს, თქვენ კი სხვას და რით აიხსნება ესო?**

— პრემიერისა და გუბერნატორის ნალაპარაკევს შორის ცდომილება რატომ არის, ვერ გავიგეთ, მაგრამ **ლევან შონიამ გარკვევით გვითხრა, რომ ანაკლიაში პორტი არ აშენდება, რადგან საჭირო არ არისო. ვფიქრობთ, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ხალხის თვალის ასახვევად იტყუება.**

ახალ ხელისუფლებას, ისევე, როგორც მის წინამორბედს, არ აინტერესებს მეცნიერების აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ანაკლიის პორტის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტური ადამიანებისგან მოისმენდნენ.

**— ინვესტორი მთავრობის მეთაურთან შეხვედრას არ შეეცადა? იქნებ მას სულ სხვა მოსაზრება აქვს?**

— კი, მათ ღარიბაშვილს დეტალურად გააცნეს საკუთარი გეგმები: რომ ააშენებდნენ პორტს, ასევე, უანგაროდ გააკეთებდნენ დამცავ არხს, რომელიც პორტს არ ეხება, კურორტებზე ააგებდნენ წყლის საამქროებს და დააგებდნენ გზებსაც, მაგრამ ღარიბაშვილმა მათი წინადადება უპასუხოდ დატოვა.

ათასი ჰექტარი მიწა ზღვას უკვე წაღებული აქვს. გეგმა ასეთი იყო: წელს „მოლები" ჩადგმულიყო, რომლითაც შესაძლებლობა გვექნებოდა, ზღვიდან მოტანილი ქვიშა და ღორღი ჩვენთან შეგროვებულიყო. ამ ხერხით 1 500 ჰექტარი მიწა უკან დაგვიბრუნდებოდა, ამით ფოთსაც ვუშველიდით. ანაკლიაში დაწყებული მშენებლობა სამუშაოს აფხაზეთის მცხოვრებლებსაც მისცემდა.

**დღეს ანაკლიაში ასეთი ვითარებაა: ჩამოყვანილი ჰყავთ იაპონელი მკვლევარები და მათ დასკვნას ელოდებიან. საქართველოს მთავრობა ამ კვლევისთვის იაპონელებს 5 მილიონ დოლარს უხდის და, ბუნებრივია, ისინი ზუსტად იმ დასკვნას დადებენ, რომელიც მთავრობას აძლევს ხელს.** არადა, ქართველი მეცნიერები სულ სხვა რამეს ამტკიცებენ. პროფესორი და მკვლევარი არჩილ კიკნაძე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერია, რომლის მტკიცებითაც, ანაკლიის პორტი ძალიან მნიშვნელოვანია.

**— როგორც ვიცი, თქვენ ეკონომიკის სამინისტროშიც გქონდათ შეხვედრა.**

— 21 აპრილს ინვესტორისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის — ქეთევან ბოჭორიშვილის შეხვედრა შედგა. შეხვედრას პირველი მოადგილე **დიმიტრი ქუმსიაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა: — არ ვიცი, რა არის პორტი, მაგრამ თქვენი ინვესტორი ჩვენ რაში გვჭირდება, ჩვენ 6 ინვესტორი გვყავსო.**

ასეთ განცხადებას აკეთებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, მაშინ, როდესაც რეგიონის გუბერნატორი ინვესტორს ეხვეწება, — სუფსა ამიშენე ან სოფლის მეურნეობა ამილორძინეო. საუბარს შელაპარაკება მოჰყვა და მან თქვა, რომ მინისტრთან დარეკავდა, აიღო ტელეფონი და სადღაც მართლაც დარეკა, ვიღაცას ელაპარაკა, მაგრამ მინისტრს ნამდვილად არა, რადგან მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მინისტრი საქართველოში არ იმყოფებოდა. სატელეფონო საუბრის შემდეგ მან წასვლა დააპირა, საათზე იყურებოდა. მაშინ პროფესორმა გოგა ლომინაძემ უთხრა, შეგვახვედრეთ იაპონელებს, რომლებიც ანაკლიაში კვლევებს ატარებენ, რადგან აუცილებელია, ერთმანეთს მოსაზრებები გავუზიაროთო. ქუმსიაშვილი გაგვეცალა, დარჩა **ქეთევან ბოჭორიშვილი, რომელსაც ძალიან საინტერესო ფრაზა წამოსცდა — ანაკლიის პორტის მშენებლობა პოლიტიკურად გამართლებული არ არისო. მივუტრიალდით და გაოცებულებმა ვკითხეთ: — ეს რას ნიშნავს? აფხაზეთი დავკარგეთ? და მაშინ მივხვდით, რომ ხელისუფლება ანაკლიის პორტის მშენებლობას არც გეგმავს იმის შიშით, რუსეთმა მერე აშენებული რომ არ წაართვას.**

**„საქართველო და მსოფლიო" ინფორმაციის გადასამოწმებლად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიას დაუკავშირდა.**

**— ბატონო ლევან, რა ხდება ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით? სამშენებლო სამუშაოები დაიწყო?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, ჯერ კვლევები მიმდინარეობს.

**ასეთი მოკლე პასუხით შემოიფარგლა გუბერნატორი. საუბრის დასაწყისში (თუ ამას საუბარი ერქვა — ე. ნ.) მას მკაფიოდ წამოსცდა: „ეტო სეკრეტნო".**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ობამა ამერიკელებს ატყუებს

**ამერიკელთა 60 პროცენტი თვლის, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მათ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებში ატყუებს. ასეთია შედეგები საზოგადოებრივი აზრის კვლევისა, რომელიც ტელეარხმა Foxnews-მა 16 აპრილს ჩაატარა.** გამოკითხულთა 37 პროცენტი თვლის, რომ ობამა „თითქმის ყოველთვის ცრუობს", 24 პროცენტი დარწმუნებულია, რომ თეთრი სახლის მეთაური ტყუილს „ხანდახან" ამბობს, 20 პროცენტის აზრით კი, ობამა „იშვიათად" ცრუობს. აღსანიშნავია, რომ ობამას მხოლოდ მოქალაქეების 15 პროცენტი ენდობა, მათი აზრით, აშშ-ის პრეზიდენტი ყოველთვის სიმართლეს ამბობს. **ამჟამად პრეზიდენტის პოსტზე ობამას მოღვაწეობას დადებითად აფასებს ამერიკელთა 42%, უარყოფითად — 51%.** Foxnews-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში 1 ათასზე მეტი ამერიკელი მონაწილეობდა.





## რომის პაპის პატივსაცემად აგებულმა მონუმენტმა ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლა

**იტალიაში ტრაგედია დატრიალდა — ჯვარცმა, რომელიც იოანე პავლე II-ს პატივსაცემად აღმართეს, ახალგაზრდა მამაკაცს დაეცა.** ექიმებმა 21 წლის მარკო გუსმანის გადარჩენა ვერ შეძლეს. ეს შემთხვევა საზეიმო ღონისძიებაზე მოხდა ქალაქ სავოში, სადაც 1998 წელს კონტიფიკოსის — იოანე პავლე მეორის ჩასვლის აღსანიშნავად 30-მეტრიანი მონუმენტი აღმართეს. მონუმენტი წარმოადგენდა გაღუნულ ხის ჯვარს, რომელზეც ფოლადის ბაგირებით მიმაგრებული იყო ქრისტეს 600-კილოგრამიანი ქანდაკება.

ტრაგედიის შემსწრენი ამბობენ, რომ მონუმენტის დანგრევამდე ხის მტვრევის ხმა შემოესმათ. დაღუპული 21 წლის მამაკაცი ქალაქ ბერგამოს მკვიდრია, იქ ის ორატორულ ხელოვნებას ასწავლიდა.





## ტარას შევჩენკო კტულჰუდ აქციეს

**ოდესის ოლქის ქალაქ იუჟნიში დადგეს სახელგანთქმული უკრაინელი პოეტის, პროზაიკოსის, მხატვრისა და ეთნოგრაფის — ტარას შევჩენკოს ძეგლი, რომელიც ძალიან ჰგავს მითოსურ არსება კტულჰუს (არსება, რომელსაც ძინავს წყნარი ოკეანის ფსკერზე, თუმცა შეუძლია ადამიანის გონებაზე ზემოქმედება.** 1928 წელს პირველად მოიხსენია ამერიკელმა მისტიკოსმა მწერალმა და ჟურნალისტმა ჰოვარდ ლავკრაფტმა თავის ნაწარმოებში „კტულჰუს ძახილი". კტულჰუ სხეულის სხვადასხვა ნაწილით ჰგავს რვაფეხას, დრაკონსა და ადამიანს).

ქანდაკების ავტორი, ლვოველი სკულპტორი **ანტონ ლუბიი** ამბობს, რომ მსგავსება შემთხვევითია:

— მე არ მსურდა ტარას შევჩენკოს ქანდაკება ტრადიციული სახით შემექმნა — დაღვრემილი და ქუდით, ვცდილობდი, ნათელი, ზღაპრული სახე გამომეკვეთა. მას „თავისუფლების სული" ვუწოდე. ზოგი ამბობს, რომ ტარას შევჩენკოს ქანდაკება კტულჰუს ან დეივი ჯონსს (ფილმ „კარიბის ზღვის მეკობრეების" გმირი) უფრო ჰგავს, თუმცა მე მსგავსება მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, როდესაც ამის შესახებ მითხრეს, — განაცხადა ქანდაკების ავტორმა.

# ცნობიერების მართვა — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ექსპერიმენტები



**აშშ-ის ხელისუფლებას აქვს უცნაური და ბნელი საიდუმლო — ეს არის ექსპერიმენტები ცნობიერის მართვაზე, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები 1950-იანი წლებიდან ატარებდნენ.**

პროექტს ეწოდებოდა „მკ ულტრა" (Project MK ULTRA ან MK-ULTRA) და ხორციელდებოდა 1950-იანი წლების დასაწყისიდან 1960-იანი წლების ბოლომდე.

ექსპერიმენტებში იყენებდნენ ტვინის მართვის მეთოდებს და ცდილობდნენ, ადამიანები უფრო დამყოლნი ყოფილიყვნენ შეგონების მიმართ. გამოსაცდელებს, რომელთა შორისაც იყვნენ ამერიკელი და კანადელი მოქალაქეები, აძლევდნენ ნარკოტიკებს, ისეთს, როგორიც არის LSD, შემდეგ კი მათ ფსიქიკაზე ზემოქმედებდნენ.

1973 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა რიჩარდ ჰელმსმა MK-ULTRA-ს ყველა დოკუმენტის განადგურების ბრძანება გასცა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს პროექტი აშშ-ის სენატის სპეციალური კომიტეტის განხილვის საგანი გახდა.

„ცსს-ს დირექტორის მოადგილემ გვითხრა, რომ 30-ზე მეტი უნივერსიტეტი და დაწესებულება მონაწილეობდა პროგრამაში, რომლის მიხედვითაც საიდუმლო ექსპერიმენტები ტარდებოდა აშშ-ისა და უცხო ქვეყნების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელ მოქალაქეებზე.

ზოგიერთ ექსპერიმენტში იყენებდნენ LSD-ს, თუმცა ამის შესახებ ადამიანებმა არაფერი იცოდნენ, შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა". — თქვა 1977 წლის სენატორმა ტედ კენედიმ სენატის კომისიის სხდომაზე.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კი განაცხადა, რომ პროგრამა MK-ULTRA-ს ექსპერიმენტები შეწყდა, თუმცა ვიქტორ მარჩეტი, ცსს-ს თანამშრომელი 14-წლიანი სტაჟით, ამტკიცებდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კვლავინდებურად ახორციელებს კონტროლს ადამიანის ცნობიერებაზე. ცსს-ს განცხადება, რომ MK-ULTRA-ს ექსპერიმენტები შეწყდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

სენატის საგამოძიებო კომისიის დასკვნით, ექსპერიმენტის მიზანია, ინდივიდუალურობა დააკარგვინოს ადამიანს და ის შეგონებისადმი მორჩილი გახადოს.

**აღსანიშნავია, რომ სერხან სერხანი, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, სენატორ რობერტ ფ. კენედის მკვლელობა (5 ივნისი, 1968 წ.) აღიარა, ამტკიცებდა, რომ მის ფსიქიკაზე ზემოქმედებდნენ და მკვლელობის ჩადენისკენ უბიძგებდნენ.**

„ეჭვგარეშეა, რომ სერხანი დაპროგრამებული იყო ჰიპნოზის მეშვეობით", — განაცხადა ადვოკატმა უილიამ ჰეპერმა 2011 წელს ტელეარხ ABC NEWS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

# თამაშები 4 ათასი მონის ძვლებზე

## ყატარის მიმართ დასავლეთს პრეტენზია არ აქვს

**სკანდალმა, რომელიც ყატარის 2022 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის გარშემო აგორდა, ყველას დაანახა, რომ სპარსეთის ყურის ნავთობისა და გაზის მონარქიებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ საქმე, სულ ცოტა, იმაზე უკეთესად არ არის, ვიდრე დიქტატორულ სირიაში, რომლის მოსახლეობის დაცვასაც ასე თავგამოდებით ცდილობენ ეს მონარქიები.**




ინგლისურმა გაზეთმა Daily Telegraph-მა მოიპოვა დოკუმენტი იმის შესახებ, რომ **მას შემდეგ, რაც ყატარი 2022 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლად გამოცხადდა, ყატარის სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა ფიფას ვიცეპრეზიდენტს მხარდაჭერისთვის 1,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასცა. ეს გახლავთ მოჰამედ ბინ ჰამამი — ფიფას აწ უკვე ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, რომელსაც 2011 წელს კორუფციულ სქემებში მონაწილეობის გამო სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალეს ფეხბურთის სფეროში მოღვაწეობა**.

2013 წლის დასაწყისში ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა გამოძიების შედეგები, რომელთა მიხედვითაც, **აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის წარმომადგენლების — ისი აიატესა (პრეზიდენტი) და ჟაკ ანუმის — ხმები ყატარმა 1,5 მილიონ დოლარად იყიდა**.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატისთვის მზადების გზაზე ყატარს არა მხოლოდ კორუფციაში, არამედ მიგრანტი მუშახელის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ. 2013 წლის შემოდგომაზე ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატული იყო შეშფოთება იმ ადამიანების მდგომარეობის გამო, რომლებიც 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ობიექტებზე მუშაობდნენ.

ინგლისური გაზეთი Guardian წერდა, რომ **მხოლოდ 2013 წლის ბოლო ორი თვის განმავლობაში ყატარში 44 ნეპალელი მიგრანტი დაიღუპა, მუშები ჩივიან აუტანელ საცხოვრებელ პირობებზე, წყლის გადასახდზე, იძულებით შრომასა და ხელფასის დაგვიანებაზე.**

**დღეს კი უკვე ლაპარაკია 1200 დაღუპულ მუშახელზე,** სწორედ ეს რიცხვი მოჰყავს ყატარისადმი მიძღვნილ სტატიაში ინგლისურ Mirror-ს. ყატარი, რომელსაც განზრახული აქვს, პომპეზური ნაგებობების მშენებლობაზე 39 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დახარჯოს, მუშებს მხოლოდ 57 პენსს (დაახლოებით 1 დოლარი) უხდის საათში, თანაც აუტანელ პირობებში აცხოვრებს და, წყალზე მაღალი ფასის გამო, იძულებულს ხდის, მარილიანი წყალი სვან. უფლებადამცველები ამბობენ, რომ ყატარელები დაქირავებულ მუშებს ისე ექცევიან, როგორც მონებს, რომელთა სიცოცხლეც არაფერი ღირს და ვარაუდობენ, რომ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის წინ მშენებლობებზე დაღუპულთა რიცხვი 4000-ს მიაღწევს.

ცოტა ხნის წინათ ყატარში ჩავიდა სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირის მოღვაწეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი „მონების არმიის სისხლზე და ძვლებზე" ჩატარდება.

**იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთი ხშირად მიმართავს ორმაგ სტანდარტს, ძნელი წარმოსადგენია, რამე ნაბიჯი გადადგას თანამედროვე მონობის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ყატარი ხომ დასავლეთის უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა სპარსეთის ყურის რეგიონში, გარდა ამისა, ის ერთ-ერთი სპონსორია სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომისა, ამიტომ სტადიონებზე დაღუპულ რამდენიმე ათას ნეპალელსა და ინდოელს სწრაფად დაივიწყებენ, სამაგიეროდ როგორი საფეხბურთო ზეიმი გაიმართება?!**

მონობა სპარსეთის ყურის ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლებებმაც, დასავლელი მიმომხილველების თქმით, თანამედროვე მოთხოვნებთან ტრადიციების შერწყმით საოცარ მოდერნიზაციას მიაღწიეს, მონობა ჩვეულებრივი საქმეა.

სპარსეთის ყურის ქვეყნები, პრაქტიკულად, უფასო მუშახელის ბაზარია, სადაც თავისი ნებით ჩადიან ინდოეთის, შრი ლანკის, ვიეტნამის, ნეპალის, პალესტინის, ინდონეზიის, სუდანის, ეთიოპიისა და კენიის მოქალაქეები, შემდეგ კი კარგავენ თავისუფლებას.



## ევროკავშირი ვალებში ეფლობა

**2013 წელს ევროზონისა და ევროკავშირის ქვეყნების ვალმა კიდევ მოიმატა და ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.** ევროკავშირის სტატისიკის სამმართველოს მონაცემებით, 2013 წელს ევროზონის ქვეყნების სახელმწიფო ვალმა 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,9 პროცენტებით მოიმატა და მთლიანი შიგა პროდუქტის 92 პროცენტი შეადგინა. **ევროპაში ყველაზე დიდი ვალი აქვს საბერძნეთს. 2013 წელს ამ ქვეყნის ვალმა მშპ-ს 175 პროცენტი შეადგინა (2012 წ. — 157%); შემდეგ მოდის იტალია (132%), პორტუგალია (129%) და ირლანდია (123,7%).** 2%-ით შემცირდა სახელმწიფო ვალი გერმანიაში, თუმცა გაიზარდა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე სასტიკი ქვეყნები

**საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-ის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების მიხედვით, 2013 წელს სიკვდილით ყველაზე მეტი ადამიანი ჩინეთში დასაჯეს, აშშ კი „საპატიო ხუთეულშია".**

ორგანიზაცია ჩინეთში სიკვდილით დასჯილთა ზუსტ რაოდენობას ვერ ასახელებს, რადგან ასეთი მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებაა.

2013 წელს წინა წელთან შედარებით მკვეთრად მოიმატა სიკვდილით საჯაროდ დასჯის შემთხვევებმა: 778 დასჯა 2013 წელს, 682 დასჯა — 2012 წელს. ასეთი შემთხვევების 80 პროცენტი ჩინეთზე, ირანზე, ერაყსა და საუდის არაბეთზე მოდის.

Amnesty International-ის მოხსენებაში ჩამოთვლილია სიკვდილით დასჯის მეთოდებიც, რომელთა შორის არის თავის მოკვეთა (საუდის არაბეთი), ელექტროდენი (აშშ) და სასიკვდილო ინიექცია (აშშ, ჩინეთი და ვიეტნამი). ზოგ ქვეყანაში კი ადამიანები ჩამოახრჩვეს. ერთადერთი ევროპული ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სიკვდილით დასჯა, არის ბელორუსი, სადაც 2013 წელს 4 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

2013 წელს, სულ ცოტა, 23 ათასი ადამიანი იმყოფებოდა სიკვდილმისჯილთა კამერებში. სულ კი გასულ წელს სიკვდილით დასაჯეს 57 ქვეყნის 1925 ადამიანი.




## 1. ჩინეთი

Amnesty International-ს არ აქვს ოფიციალური ინფორმაცია 2013 წელს ჩინეთში სიკვდილით დასჯილთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ თვლის, რომ ამ ქვეყანაში სიკვდილით ათასზე მეტი ადამიანი დასაჯეს.



## 2. ირანი

ირანში სიკვდილით საჯაროდ დასაჯეს 369 ადამიანი.



## 3. ერაყი

ამ ქვეყანაში სიკვდილით საჯაროდ დასჯის 169 შემთხვევა აღირიცხა.



## 4. საუდის არაბეთი

საუდის არაბეთში სიკვდილის 79 განაჩენი აღასრულეს.



## 5. აშშ

2013 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილით დასაჯეს 39 ადამიანი.



## 6. სომალი

ამ ქვეყანაში სიკვდილით საჯაროდ დასაჯეს 34 ადამიანი.



## 7. იემენი

2013 წელს იემენში სიცოცხლეს გამოასალმეს 31 ადამიანი.



## ბრედლის ნაცვლად — ჩელსი

**კანზასის შტატის (აშშ) სასამართლომ ნება დართო ორგანიზაცია Wikillaks-ის ინფორმატორს, ბრედლი მენინგს, რომელსაც ჯაშუშობისა და სახელმწიფოს საკუთრების ქურდობის ბრალდებით 35 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი, მამაკაცის სახელი ქალის სახელით შეიცვალოს. ექსსამხედრო მოსამსახურეს ამიერიდან ჩელსი მენინგი ერქმევა.**

Wikillaks-ის ინფორმატორი სასჯელს ფორტ ლი-ვენუორტის (კანზასის შტატი) ციხეში იხდის.

აშშ-ის პენიტენციური სისტემის წარმომადგენლების თქმით, სახელის შეცვლა არ ნიშნავს, რომ მენინგს ისე მოეპყრობიან, როგორც ქალს. მას არც ქალთა ციხეში გადაყვანენ, თუმცა მენინგს დოკუმენტებში სახელს შეუცვლიან.

მენინგი, რომელსაც აშშ-ის სახმელეთო ჯარებში მსახურობდა, 2010 წელს ქუვეითში განლაგებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე დააპატიმრეს. მან „ვიკილიკსს" 700 ათასზე მეტი სამხედრო და დიპლომატიური დოკუმენტი, აგრეთვე, ვიდეოფაილები გადასცა. იმხანად ეს აშშ-ის ისტორიაში ინფორმაციის ყველაზე დიდ გაჟონვად ჩაითვალა. მოგვიანებით მენინგის „რეკორდი" ედვარდ სნოუდენმა მოხსნა, რომელმაც აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოდან 1,7 მლნ დოკუმენტი გაიტაცა.

რაც შეეხება მენინგს, 2013 წელს, მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიების დასრულებიდან რამდენიმე დღეში, მენინგმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამიერიდან ქალია და სურს, ჩელსი დაუძახონ.



## აშშ-ში სამმა ლესბოსელმა ერთმანეთზე იქორწინა

**გაზეთი Daily Mail-ი სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს: მასაჩუსეტსის შტატში მცხოვრებმა სამმა ლესბოსელმა ქალმა ერთმანეთზე იქორწინა — ეს მსოფლიოში პირველი შემთხვევაა.**

ორმა ლესბოსელმა ქორწინება ოფიციალურად გააფორმა, მესამე კი მათ იურიდიული მეთოდებით დაუკავშირდა. თითოეულ ქალს თანაბარი ვალდებულებები აკისრია დანარჩენი „ცოლების" მიმართ. სამივე ლესბოსელი გეგმავს ბავშვის გაჩენას ხელოვნური განაყოფიერებით. სხვათა შორის, ერთი უკვე ფეხმძიმედაა და ბავშვს ივნისში ელოდება.

შეგახსენებთ, რომ ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართულია აშშ-ის 17 შტატსა და კოლუმბიის ოლქში.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ გამოსვლის წყალობით, ევროზონა კრახის პირას აღარ დგას. აშშ-ში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რესპუბლიკელებმა კონგრესში უკვე მოილაპარაკეს შერიგების თაობაზე, ოღონდ როგორმე თავიდან აიცილონ მთავრობის კიდევ ერთხელ დაკეტვის საფრთხე სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდის აუცილებლობასთან დაკავშირებით.**

# დასავლეთი — გლობალური რისკების ზონა



**მსოფლიოში ეკონომიკური, ფინანსური და გეოპოლიტიკური რისკები იცვლება. ორიოდე წლის წინ სცენის ცენტრში ექვსი მთავარი რისკი იდგა:**
**ევროზონის დაშლა (მათ შორის ევროზონიდან გერმანიის გასვლა და იტალიისა და ესპანეთის მხრიდან წვდომის დაკარგვა კაპიტალის ბაზართან);**
**აშშ-ის ფინანსური კრიზისი (იმ შემდგომი პოლიტიკური ომების შედეგად, რომლებიც სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის თემას და მთავრობის კიდევ ერთ დახურვას უკავშირდება);**
**იაპონიის სახალხო ვალის კრიზისი (იქ რეცესიის, დეფლაციისა და დეფიციტის მაღალი დონის ნაზავმა ვალისა და საერთო შიდა პროდუქტის თანაფარდობა გაზარდა);**
**განვითარებული ეკონომიკის მქონე მრავალ ქვეყანაში მოსალოდნელი დეფლაცია;**
**ისრაელსა და ირანს შორის ომი ირანის სავარაუდო ბირთვულ განვითარებასთან დაკავშირებით;**
**გაცილებით ფართომასშტაბიანი რეგიონული არეულობები ახლო აღმოსავლეთში.**

ჩამოთვლილი რისკების დონემ ამ დროისთვის იკლო. ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტ მარიო დრაგას გამოსვლის თანახმად, გაკეთდება „ყველაფერი, რაც საჭიროა“ ახალი ფინანსური სახსრებისთვის პრობლემური სუვერენული მევალეების სტაბილიზაციისთვის და საბანკო კავშირის დასაწყისისთვის. **ამ გამოსვლის წყალობით, ევროზონა კრახის პირას აღარ დგას. აშშ-ში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რესპუბლიკელებმა კონგრესში უკვე მოილაპარაკეს შერიგების თაობაზე, ოღონდ როგორმე თავიდან აიცილონ მთავრობის კიდევ ერთხელ დაკეტვის საფრთხე სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდის აუცილებლობასთან დაკავშირებით.**

იაპონიაში პრემიერ-მინისტრის სინდზო აბეს ეკონომიკური სტრატეგიის პირველმა ორმა გასროლამ — ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო ექსპანსიების შერბილებამ — უკვე შეაჩერა დეფლაცია ზრდის მატების ხარჯზე. „აბეკონომიკის“ მესამე გასროლა — სტრუქტურული რეფორმები — გრძელვადიანი საბიუჯეტო კონსოლიდაციის დაწყებასთან ერთად, შესაძლოა, ვალის სტაბილიზაციის წინაპირობად იქცეს (თუმცა მოხმარების გადასახადების მოსალოდნელი ზრდის შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი ჯერჯერობით განუსაზღვრელია).

დეფლაციის რისკი მთელ მსოფლიოში შეჩერდა ეგზოტიკური და არატრადიციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკით: თითქმის ნულოვანი საპროცენტო განაკვეთები, რაოდენობრივი შერბილება, საკრედიტო შერბილება და მოწინავე ხელმძღვანელობა.

ისრაელსა და ირანს შორის ომის რისკი შემცირდა ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ გასული წლის ნოემბერში დადებული დროებითი შეთანხმებით, თუმცა ბევრს ეჭვი ეპარება ირანის გულწრფელობაში და ღელავს, რომ ის მხოლოდ დროის მოგებას ცდილობს და კვლავაც ამდიდრებს ურანს.

მართალია, ახლო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა კვლავაც უკიდურესად არასტრაბილურია, მათგან არც ერთი არ არის სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური თვალსაზრისით და ამ დრომდე არც ერთ კონფლიქტს არ ჩაუგდია სერიოზულ შოკში ნავთობისა და გაზის გლობალური მიწოდებები. ცხადია, ამ კრიზისებიდან და კონფლიქტებიდან ზოგიერთების გამწვავებამ, შესაძლოა, კვლავ წინა პლანზე წამოწიოს ენერგეტიკური უსაფრთხოების თემა. რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, არის ის, რომ, თუ უკანასკნელი წლების რისკები ამ დროისთვის შემცირდა, ექვსი ახალი რისკი განუხრელად იზრდება და იკავებს მათ ადგილს პირველ რიგებში.

დასაწყისისთვის, არსებობს ჩინეთთან დაკავშირებული რისკი. ინვესტიციებიდან კერძო მოხმარებამდე ზრდის თანასწორობის აღდგენა ძალიან ნელა მიმდინარეობს, რადგან ყოველწლიურად საერთო შიდა პროდუქტის წლიური ზრდა ნელდება 7%-მდე, ხელისუფლება პანიკაში ვარდება და აორმაგებს ფსონს კაპიტალში ინვესტირების კიდევ ერთ რაუნდში, ეს ინვესტიციები კი კრედიტებითაა გამყარებული. სწორედ ეს განაპირობებს ცუდ აქტივებს და არაპროდუქტიულ კრედიტებს, უზომო ინვესტირებებს უძრავ ქონებაში, ინფრასტრუქტურასა და სამრეწველო პოტენციალში, ასევე დამატებით სახელმწიფო და კერძო ვალს. მომავალი წლისთვის, შესაძლოა, აღარ დარჩეს არანაირი გზა.

არსებობს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკაში შეცდომების დაშვების რისკიც. შარშან ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ იმის გამოცხადებამ, რომ ის ნელ-ნელა შეაჩერებს გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ყოველთვიურ შესყიდვას, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებსა და განვითარებად ბაზრებზე ისტერიკა გამოიწვია. ახლა ზოგიერთი ხელისუფლება და ინვესტორი შიშობს, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, შესაძლოა, ძალიან ადრე და ძალიან სწრაფად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთები, რომელთაც შედეგად ეკონომიკური და ფინანსური შოკი მოჰყვება.

მეორე მხრივ, ფედერალური სარეზერვო სისტემა ნულოვანი საპროცენტო განაკვეთებიდან, შესაძლოა, ძალიან ნელა და ძალიან გვიან გადავიდეს რაიმე სხვა მაჩვენებელზე (მისი ამჟამინდელი გეგმის მიხედვით, განაკვეთები 4%-იან ნიშნულამდე მხოლოდ 2018 წელს აიწევს), რითაც განპირობებული იქნება კიდევ ერთი ბუმი აქტივების ფასებზე და საბოლოო ჩავარდნა. **მართლაც, აშშ-სა და განვითარებული ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში არატრადიციულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უკვე განაპირობა აქტივების ფასების მასობრივი რეფლაცია, რაც, შესაძლოა, უძრავი ქონების, კრედიტებისა და საფონდო ბირჟების სფეროებში ბუშტებამდეც მივიდეს.**

ზოგიერთ სუსტ განვითარებად ბაზარზე კრიზისი, შესაძლოა, გამწვავდეს. განვითარებადი ბაზრები წინააღმდეგობას აწყდებიან (ნედლეულ საქონელზე ფასების ვარდნისა და იმ რისკების გამო, რომლებიც უკავშირდება ჩინეთის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას და ფედერალური სარეზერვო სისტემის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძვრებს), მაშინ, როდესაც მათი საკუთარი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ჯერ კიდევ ძალიან თავისუფალია და სტრუქტურული რეფორმების არარსებობა ეკონომიკის ზრდის პოტენციალს ანადგურებს. უფრო მეტიც, ამ განვითარებადი ბაზრებიდან ბევრი ეჯახება პოლიტიკურ და საარჩევნო რისკებს.

**არსებობს ანალოგიური რისკი იმისა, რომ აზიის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიული უთანხმოებები (ჩინეთსა და იაპონიას შორის კამათით დაწყებული), შესაძლოა, პირდაპირ საომარ კონფლიქტში გადაიზარდოს**

არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ უკრაინის ახლანდელი კონფლიქტი მეორე ცივი ომის საბაბი გახდება. მოვლენათა ამგვარი განვითარების შედეგი — ენერგიის მიწოდებასა და საინვესტიციო ნაკადებზე, ასევე ადამიანების ცხოვრებასა და ფიზიკურ კაპიტალზე ზეგავლენა უზარმაზარი იქნება.

დასასრულ, არსებობს ანალოგიური რისკი იმისა, რომ აზიის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიული უთანხმოებები (ჩინეთსა და იაპონიას შორის კამათით დაწყებული), შესაძლოა, პირდაპირ საომარ კონფლიქტში გადაიზარდოს. ამგვარი გეოპოლიტიკური რისკები — თუკი ისინი მატერიალიზდება — სისტემური ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების საბაბი გახდება.

ამ დრომდე ფინანსური ბაზრები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი ამ ახალ მზარდ რისკებთან დაკავშირებით. არამდგრადობამ მხოლოდ უმნიშვნელოდ იმატა მაშინ, როდესაც აქტივების ფასები სტაბილური იყო. ამ რისკების შესახებ ხმაურმა მხოლოდ გარკვეული დროით შეაშფოთა ინვესტორები და შეარყია მათი თავდაჯერებულობა, ბაზრის მოკრძალებული კორექციები კი, როგორც წესი, თავისთავად რეგულირდება.

**ინვესტორები, შესაძლოა, მართალნი არიან იმასთან დაკავშირებით, რომ ეს რისკები არ მატერიალიზდება გაცილებით უფრო მძიმე ფორმებში და რომ თავისუფალ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში და აღდგენის გაგრძელებას ამგვარი რისკები ახლავს. მაგრამ ინვესტორები თავს იტყუებენ, თუ იმის სჯერათ, რომ ამ რისკების ალბათობა დაბალია.**

მართლაც, როგორც მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემთხვევაში მოხდა, ინვესტორებს, როგორც ჩანს, არ შეუძლიათ, წინასწარ გამოიცნონ, შეაფასონ და სათანადოდ დააზღვიონ ასეთი მცირე რისკები. დრო გვიჩვენებს, მათი ამჟამინდელი უზრუნველობა არის თუ არა მორიგი ჩავარდნა შეფასებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მომზადების საქმეში.



**არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ უკრაინის ახლანდელი კონფლიქტი მეორე ცივი ომის საბაბი გახდება**

**ნურიელ რუბინი,**
**ნიუ იორკის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი, ანალიტიკური კომპანია „Roubini Global Economics“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.**
**Project Syndicate**

## ოქრუაშვილის მიერ გათავისუფლებული პოლკოვნიკი საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა



**საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ახალი მრჩეველი ჰყავს — 2005 წელს თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით გათავისუფლებული პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე.** აკია ბარბაქაძე 1991 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს. მას შემდეგ კი, რაც 2005 წელს ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით გათავისუფლდა, უკვე თადარიგის პოლკოვნიკი გახდა. ბარბაქაძის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილმა 2005 წელს 1200 ადამიანი უკანონოდ გაათავისუფლა და ეს შტატების შემცირებით ახსნა, თუმცა, როგორც პოლკოვნიკი განმარტავს, სინამდვილეში შტატები არ შემცირებულა.

აკია ბარბაქაძეს სამხედრო განათლება მიღებული აქვს გერმანიაში, სადაც მან 1997-2002 წლებში გერმანიის ბუნდესვერის ლოგისტიკის სკოლა და ბუნდესვერის გენერალური აკადემია დაამთავრა. რაც შეეხება სამოქალაქო განათლებას, დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და პროფესიით სისტემური ინჟინერია. იყო სამხედრო ექსპერტი და ტელევიზია „ობიექტივის“ ეთერში უძღვებოდა გადაცემას.

აკია ბარბაქაძე 48 წლისაა. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.




**ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ აშშ აქტიურად უწყობდა ხელს მოძრაობა თალიბანს, რომელიც დატოტვილ ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ ქაიდაში“ გადაიზარდა. ამასთან, აშშ-ს იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ შეძლებდა ამ რადიკალური ძალების მართვას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

> „დასავლური კულტურის უნივერსალურობისადმი დასავლეთის რწმენას სამი ნაკლი აქვს: არასწორია, ამორალურია და სახიფათოა“.
> სამუელ ხანტინგტონი

# ახალი ჯვაროსნები და ახლო აღმოსავლეთი



**სირიაში მიმდინარე მოვლენები აცოცხლებს ძირითად თეზისებს ამერიკელი პოლიტოლოგის სამუელ ხანტინგტონის ფუნდამენტური ნაშრომიდან „ცივილიზაციათა შეტაკება“. ნაშრომში პროფესორი ხანტინგტონი ირწმუნება, რომ ცივილიზაციების გეოგრაფიული მეზობლობა მათ დაპირისპირებას განაპირობებს. უფრო მეტიც, როგორც წესი, კონფლიქტები ხდება ამორფულად მოხაზულ ცივილიზაციათა საზღვრებზე. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხანტინგტონმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური განვითარებისა და ურთიერთქმედებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ კონფლიქტების წინასწარ განჭვრეტა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველში „ნაციონალური ინტერესის“ პრინციპი დევს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში „realpolitik“ მჭიდროდაა გადაჯაჭვული ცივილიზაციათა კონფლიქტის კონცეფციასთან.**

**უძველესი ცივილიზაციების აკვანი და სამი მსოფლიო რელიგიის ცენტრი — ახლო აღმოსავლეთი — კარდინალურად იცვლის სახეს. რეგიონის იმ პოლიტიკური და ცივილიზაციური ტრანსფორმაციის ფუნდამენტი, რომელსაც მთელი ხალხების განადგურება ახლავს, ჯერ კიდევ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლამდე ჩაიყარა. ცსს-ს ერთ დროს გასაიდუმლოებული და შემდგომ გამოაშკარავებული დოკუმენტების თანახმად, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა „ძმებ მუსლიმანებთან“ ურთიერთობები ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან ააწყვეს. მიზანი ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლა იყო.**

საერთო ჯამში მოვლენათა ქრონოლოგია ასეთია: 1952 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ ნასერმა ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანები“ კანონგარეშედ გამოაცხადა, რის შემდეგაც, 1953 წელს, აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეები, საიედ რამახდანის მეთაურობით, ვაშინგტონში მიიღო.

**„ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის თანამშრომლები ვარაუდობდნენ, რომ კომუნიზმთან ბრძოლაში რელიგია არის ის ძალა, რომლის გამოყენებაც აშშ-ს შეეძლო. 50-იანი წლების დასაწყისისთვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ღიად უჭერდა მხარს რამადანს“,** — წერს ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი იან ჯონსონი.

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ აშშ აქტიურად უწყობდა ხელს მოძრაობა თალიბანს, რომელიც დატოტვილ ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ ქაიდაში“ გადაიზარდა. ამასთან, აშშ-ს იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ შეძლებდა ამ რადიკალური ძალების მართვას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს უნდა გამოეფხიზლებინა ოფიციალური ვაშინგტონი, მაგრამ მისი შემდგომი პოლიტიკური დემარშები — ერაყში შეჭრა და ტუნისში, ლიბიაში, ეგვიპტესა და სირიაში ტერორისტების ფინანსური მხარდაჭრა იმის დემონსტრირება იყო, რომ ამერიკულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ადგილი არ მოეძებნება იდეოლოგიურ და კულტურულ-ცივილიზაციურ ასპექტებს.

ფრანგი მკვლევარი და პოლიტოლოგი რიშარ ლაბევიერი თავის მონოგრაფიაში „Les Dollars de la terreur: Les Etats-Unis et les islamistes“ (დოლარები ტერორისთვის: აშშ და ისლამისტები) წერს: „მისდევენ რა ხანმოკლე მიზანს, პენტაგონის სტრატეგებმა ისლამზე დადეს ფსონი. მიუხედავად იმისა, რომ ისლამის რადიკალური ჯგუფების მრავალი ლიდერი აშშ-ს საკუთარ მტრად აცხადებს, სინამდვილეში ისინი ამერიკულ სპეცსამსახურებთან ერთად ერთ თამაშს თამაშობდნენ“.

**ამრიგად, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს დაარსდა ტრადიციონალიზმისა და ქრისტიანობის პრინციპებზე, რადიკალური ისლამიზმის მთავარ არქიტექტორად იქცა, მისი ქმნილების მოქმედებებმა კი ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანული ცივილიზაცია გაანადგურა.**

დღეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს იმ სხვადასხვა ცივილიზაციურ სამყაროთა ბრძოლა, რომლებიც ოდესღაც ასწლეულების განმავლობაში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა საუდის არაბეთი და ყატარი, გახდნენ რა რეგიონის სანავთობე ლიდერები, მიეცათ შესაძლებლობა, განეხორციელებინათ საკუთარი იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური მიზნები. ამასთან, ერთი ასპექტი ავტომატურად გამომდინარეობს მეორიდან: ერ-რიადი, სუნიტური მსოფლიოს პროტექტორი, ებრძვის ირანს ისლამური სამყაროს მთავარი ლიდერის როლისთვის, რაც, თავის მხრივ, გეოპოლიტიკურ ჰეგემონიასაც (ადამიანური ფაქტორი, რესურსები, იდეოლოგია) გულისხმობს.

## ახლანდელ დასავლეთს, დიდი ხანია, ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს

**თავის მხრივ ქრისტიანულმა ცივილიზაციამ, იქცა რა ზემოხსენებული შეტაკების მსხვერპლად, ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. გაეროსა და წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემების თანახმად, ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა საერთო რაოდენობა 2014 წლისთვის სულ რაღაც 2%-ს შეადგენს.**

მთელ რეგიონში დარჩა მხოლოდ სამი სახელმწიფო, რომლებშიც ქრისტიანები დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლნი არ არიან. ეს სახელმწიფოებია ირანი, ისრაელი და ლიბანი. ერაყში აშშ-ის შეჭრამდე ამ ქვეყანაში ქრისტიანთა რაოდენობა მილიონს აჭარბებდა, დღეისთვის ქვეყანაში სულ 150 ათასი ქრისტიანი ცხოვრობს.

სულ რაღაც 4 წლის წინათ ქრისტიანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეგვიპტესა და სირიაში, ქვეყნებში, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიმართ ყველაზე ლოიალურებად ითვლებოდნენ. „არაბულმა გაზაფხულმა“ განაპირობა მთელი ხალხების განადგურება და რეგიონში პოლიტიკური ისლამის ჩამოყალიბება. პოლიტიკური ისლამის დომინირებისთვის მთავარი მებრძოლები გახდნენ ტერორისტული ორგანიზაციები „ალ ქაიდას“ მეთაურობით. მათი ფინანსური და პოლიტიკური მხარდამჭერები გახდნენ „დასავლური ბლოკის“ ქვეყნები და თურქეთი, რომელიც ამ ბლოკის წევრობისკენ მიისწრაფვის.

საზოგადოებრივ დისკუსიებში ხშირად ისმის კითხვა: როგორ შეუძლიათ ევროპულ, ქრისტიანულ ქვეყნებს, მხარი დაუჭირონ ფუნდამენტალისტ ტერორისტებს? სინამდვილეში ახლანდელ ევროპას, დიდი ხანია, ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს. თუ თვალს გადავავლებთ მისი პოლიტიკური განვითარების ევოლუციას, შევნიშნავთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა იღებს კანონებს, რომლებიც ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ქრისტიანული რწმენის კანონებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ მორალსაც კი (მაგალითად, ერთსქესიანი ქორწინებები, პედოფილია, ინცესტი, პროსტიტუციისა და ნარკომანიის ლეგალიზება).

ახლანდელი დასავლური სამყარო საგარეო პოლიტიკაში აგებულია მატერიალიზმზე, შიდა პოლიტიკაში კი — ყველაფრის დაშვებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპელებსა და ამერიკელებს ნაკლებად ადარდებთ სხვა ხალხთა ბედი, ერთობლივ ისტორიულ, კულტურულ და ქრისტიანულ ღირებულებებზე აპელირება კი სერიოზულ არგუმენტს არ წარმოადგენს.

აღნიშნულ კონტექსტში ძალზე ნიშანდობლივია აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას უკანასკნელი ვიზიტი საუდის არაბეთში. თეთრი სახლის მეთაურმა საუდის მეფე დაარწმუნა, რომ ვაშინგტონი მზადაა, სამხედრო მხარდაჭერა გაუწიოს სირიელ ამბოხებულებს, მიაწოდოს თვით მოდერნიზებული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიც კი.

**თურქეთი ახლოაღმოსავლელი ტერორისტების გადასაზიდი პუნქტია და ის გაცილებით აქტიურ როლს შეასრულებს სირიის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტაში. ეს არამხოლოდ ქრისტიანების, არამედ ალავიტების (შიიტები) განადგურებასაც ნიშნავს.**

სირიაში ოპოზიციის უფრო აქტიური მოქმედების მიზეზი უკავშირდებოდა ორ ფაქტორს: კონფლიქტს საუდის არაბეთსა და ყატარს შორის და შიდაპოლიტიკური კრიზისს თურქეთში. რუსეთი, ირანი და თურქეთი სირიასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულნი უნდა იყვნენ. ქურთული მოძრაობა კი აქტიურად უნდა იბრძოდეს თურქულ და ერაყულ ფრონტებზე, რადგან სირიის დაცემა თურქეთის გამარჯვება იქნება, ეს კი ქურთების ახალ გენოციდსა და გადასახლებას ნიშნავს.

**თავის მხრივ, სომხეთმა და საბერძნეთმა თავიანთი მრავალმილიონიანი დიასპორის რესურსის მობილიზება პოლიტიკურ დონეზე უნდა მოახდინონ. ამ დიასპორებს გავლენიანი ლობისტური ინსტიტუტები აქვთ როგორც აშშ-ში, ასევე ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში. სომხურ ორგანიზაციებს ფართო კავშირები აქვთ წამყვან ქრისტიანულ თემებთან აშშ-ში, ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში. საჭიროა ერთიანი ფრონტით ბრძოლა, რადგან სხვაგვარ ინიციატივებს ლოკალური ხასიათი აქვს და მხოლოდ დროებით გადაავადებს ქრისტიანული ცივილიზაციის დაღუპვას. დღეს სირიაში არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიო ქრისტიანთა ბედი წყდება.**

iarex.ru



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამას ზოგიერთი პარტიული კოლეგაც კი შეშინებულია პრეზიდენტის დაბალი რეიტინგით და სენატში საარჩევნო კომპანიას თეთრი სახლის პოლიტიკისგან დისტანცირებით იწყებს.**

# ობამა — აშშ-ის უკანასკნელი პრეზიდენტი?



**მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ნოემბერში, დემოკრატი ბარაკ ობამა კონტროლს დაკარგავს პარლამენტის მეორე პალატაზეც — სენატზე. ამის თაობაზე პრაქტიკულად ყველა ამერიკელი ანალიტიკოსი თანხმდება.**

**კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელებს უმრავლესობა აქვთ. სენატში უმრავლესობა ჯერ-ჯერობით დემოკრატების ხელშია. 2014 წლის 6 ნოემბრის არჩევნებზე დემოკრატებს სენატში 21 ადგილის დაცვა მოუწევთ, რესპუბლიკელებს კი — 15-ის. ამასთან, ამ უკანასკნელთ დამატებით სულ ექვსი ადგილის მოგება სჭირდებათ, რათა კონგრესზე სრული კონტროლი მოახდინონ. ეს რესპუბლიკელებს საშუალებას მისცემს, განახორციელონ საკუთარი იდეები და სრულად დაბლოკონ დემოკრატთა წამოწყებები საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი წლით ადრე.**

პრაქტიკულად ყველა ამერიკელი ანალიტიკოსი წინასწარმეტყველებს, რომ რესპუბლიკელები მიიღებენ ამ 6 ადგილს, რადგან ობამას ზოგიერთი პარტიული კოლეგაც კი შეშინებულია პრეზიდენტის დაბალი რეიტინგით და სენატში საარჩევნო კომპანიას თეთრი სახლის პოლიტიკისგან დისტანცირებით იწყებს. დემოკრატების პოზიციები ყველაზე სუსტია ფლორიდის, მონტანას, არკანზასის, ალიასკის, ლუიზიანის, ჩრდილოეთ კაროლინის შტატებში.

**ობამა ამერიკის პირველი პრეზიდენტი არაა, რომლის მმართველობისას ადმინისტრაციასა და კონგრესს სხვადასხვა პარტიები აკონტროლებენ. მაგალითად, 2006 წელს, ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის მეექვსე წელს, დემოკრატებმა, მოიპოვეს რა წარმომადგენლობით პალატასა და სენატზე კონტროლი, წამოიწყეს საბრალდებო კამპანია ბუშის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. კამპანიის საფუძველი ერაყში „უსამართლო ომი“ გახდა.**

აღმასრულებელი ხელისუფლების დანიშვნისას ბუშის მიერ წამოყენებული კანდიდატების პარლამენტის მხრიდან დაბლოკვას დიდი დეპრესიის შემდეგ უდიდესი რეცესია მოჰყვა და განაპირობა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ბარაკ ობამამ დიდხანს ვერ შეძლო, დაეძლია ქვედა პალატის ვეტო სახელმწიფო ვალის ზედა ზღვართან დაკავშირებით. სენატის არჩევნების შემდეგ მას ორჯერ მეტი პრობლემები ელის.

მეორე ანალოგიურ პრეცენდენტს ადგილი ჰქონდა 1998 წელს — დემოკრატი ბილ კლინტონის მეორე ვადით პრეზიდენტობის შუა პერიოდში. მაშინ რესპუბლიკელებმა დაიკავეს ორივე პალატაში უმრავლესობა. მათ ორგანიზება გაუკეთეს კლინტონის იმპიჩმენტს მონიკა ლევინსკის მონაწილეობით გაჩაღებული სექსუალური სკანდალის საფუძველზე, მანამდე კი კლინტონსა და რესპუბლიკელებს დიდხანს ჰქონდათ დავა ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების მიღებაზე.

რა სირთულეები ელის აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტს? ცხადია, ობამასთვის ასევე რთული იქნება სახელმწიფო თანამდებობებზე საკუთარი კანდიდატების, მოსამართლეების დანიშვნა და, რაც მთავარია, საკუთარი შვილობილის — ჯანდაცვის რეფორმის რეალიზება. ამ მომენტისთვის პროგრამა Medicaid-ი აშშ-ის 50 შტატიდან 24-ში შეჩერებულია.

ეკონომიკის უმაღლესი სკოლის ნაციონალური კვლევითი ინსტიტუტის საერთო პოლიტოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი ლეონიდ პოლიაკოვი აცხადებს, რომ „თუ რესპუბლიკელების ორმაგი კონტროლი მართლაც დამყარდება, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ რესპუბლიკელები ობამას დისკრედიტირებას შეუდგებიან. დაიწყება დაპირისპირებები ნებისმიერი მიზეზით. რესპუბლიკელები, შესაძლოა, არ დაეთანხმონ მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებას, ეს კი აისახება ამერიკის ეკონომიკაზე და განაპირობებს სტაგნაციას, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი მოჰყვება, ცხადია, ნეგატიური რეზონანსი. მაგრამ ეს იდეალური ვარიანტი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რესპუბლიკელთა კანდიდატის სტარტის მხრივ. რუსეთისთვის ეს გამარჯვება არც ისე წამგებიანი იქნება. მიუხედავად საომარი რიტორიკისა, რესპუბლიკელი პრეზიდენტები მათ დემოკრატ კოლეგებზე ბევრად უფრო პრაგმატულნი არიან“.

**მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ რესპუბლიკელები ობამას დისკრედიტირებას შეუდგებიან. დაიწყება დაპირისპირებები ნებისმიერი მიზეზით**

თავისი მმართველობის პერიოდში ობამამ რიგიანად გაუფუჭა რეპუტაცია საკუთარ პარტიას. გელაპის ინსტიტუტის ბოლო გამოკითხვებმა აჩვენა, რომ პრეზიდენტის მოქმედებებს ამერიკელების მხოლოდ 51% ამართლებს, 44% კი — არა.

**ეს მხარდაჭერის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია უკანასკნელი წლების განმავლობაში. პრეზიდენტს აკრიტიკებენ არა მხოლოდ ზემოხსენებული ჯანდაცვის რეფორმის გამო, არამედ უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ სუსტი ბრძოლის, ფარული უმუშევრობის მაღალი დონის, დაბალი ხელფასების, მოსახლეობაზე ტოტალური თვალთვალის პროგრამების, ძალადობის პროფილაქტიკის სუსტი ზომების და კიდევ სხვა მრავალი რამის გამო.**

განსაკუთრებულად მისი რეიტინგი საგარეო პოლიტიკაში ჩაფლავების შემდეგ დაეცა. ცნობილმა პოლიტოლოგმა პატრიკ ბიუკენენმა სტატიაში „რით ივსება იდეოლოგიური ვაკუუმი“ დაწერა, რომ ამერიკას უკვე აღარ აქვს ნაციონალური იდეა, რომელიც უფროსი ბუშის მიერ იქნა ფორმირებული როგორც „მსოფლიოში არსებული ტირანიისგან გათავისუფლება“. ამერიკელებისთვის სულ უფრო რთულია, სხვა ქვეყნებს შთააგონონ დემოკრატიის მათეული ხედვა. „ამერიკული იმპერია არის უკანასკნელი დასავლეთის დიადი იმპერიებიდან და ის, შესაძლოა, მალე სცენიდან ისევე მოულოდნელად გაქრეს, როგორც მე-20 საუკუნის სხვა იმპერიები“, — წერს პატრიკ ბიუკენენი.

„ის ცოტათი ამუქებს სიტუაციას, — ამბობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ფრანკლინ რუზველტის სახელობის აშშ-ის შესწავლის ფონდის დირექტორი იური როგულევი, — მაგრამ ამაში სიმართლის წილიც არის. **თუ სტატისტიკას გადავხედავთ, უკვე 40-იანი წლებიდან მსოფლიოში ამერიკის გავლენა განუხრელად იკლებს; იკლებს მსოფლიო წარმოებაშიც, მეცნიერებაშიც, ვაჭრობაშიც. თავიდან წინ მიდიოდა ევროპა, შემდეგ — იაპონია, ახლა — ჩინეთი, ინდოეთი და, რა თქმა უნდა, რუსეთი. ამერიკის გავლენა მომავალშიც განაგრძობს ვარდნას, მაგრამ არ ვიტყოდი, რომ ის ვერ მიაღწევს 2023 წლამდე. რაც უნდა იყოს, ეს აქტიური ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელსაც უზარმაზარი პოტენციალი და რესურსები აქვს — როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანურიც“.**



**თუ სტატისტიკას გადავხედავთ, უკვე 40-იანი წლებიდან მსოფლიოში ამერიკის გავლენა განუხრელად იკლებს**

ექსპერტის ვარაუდით, ყველა საუბარი იმის შესახებ, რომ აშშ ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებად დაიყოფა, სხვა არაფერია, თუ არა რეგიონების ცვალებადი როლის თემაზე სპეკულაცია. „კი, აშშ ფედერაციაა და შტატები ძლიერ განსხვავდებიან განვითარების დონით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამერიკამ თავისი იდენტურობა დაამტკიცა. ეს არის ყველა თვალსაზრისით გამძლე სახელმწიფო, რომელიც, 200 წელზე მეტია, არსებობს და შესწევს უნარი, დაძლიოს მწვავე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები“, — ამბობს იური როგულევი.

**ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სოფიის სუგესტოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის — ველიჩკო დობრიანოვის თქმით კი, ვანგამ იწინასწარმეტყველა, რომ ამერიკის 44-ე პრეზიდენტი შავკანიანი იქნებოდა და ეს პრეზიდენტი უკანასკნელი გახდებოდა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ან გაიყინება, ან „გატყდება“ უდიდესი ეკონომიკური კრიზისის შედეგად. პროგნოზის პირველი ნაწილი უკვე ახდა.**

pravda.ru

ქალაქი



## რიყე-ნარიყალას საბაგირო გზამ მუშაობა შეწყვიტა

**„28 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით, ტექნოლოგიური პროცესებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოებისა და გამწევი ბაგირის შეცვლის გამო, „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზა დროებით შეწყვეტს მუშაობას. რიყისა და ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო 2012 წლიდან ემსახურება თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს. გახსნის დღიდან საბაგირო 1 298 124 მგზავრს მოემსახურა. აღნიშნული გეგმიური სამუშაოების განხორციელებაც სწორედ მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხორციელდება“, — აღნიშნულია მერიის განცხადებაში.**

საბაგიროს მშენებლობა, რომელიც რიყის მოედანს ნარიყალასთან აკავშირებს, 2011 წლის ნოემბრიდან დაიწყო, 2012 წლის მაისის ბოლოდან კი ექსპლუატაციაში შევიდა. პროექტი თბილისის განვითარების ფონდმა დააფინანსა და იტალიურმა კომპანია „ლაიტნერმა“ განახორციელა.

**მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების გაციების მიზეზები ყირიმის კრიზისის დაწყებამდეც მრავლად იყო. გავიხსენოთ თუნდაც მწვავე უთანხმოებები ამ ქვეყნებს შორის სირიასა და ირანთან დაკავშირებით მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დროისთვის აშშ ძალიან ახლოსაა იმასთან, რომ ჩაიდინოს სასიკვდილო ცოდვა საგარეო პოლიტიკაში: ის საკუთარი თავის წინააღმდეგ ერთდროულად ორ წამყვან სახელმწიფოს განაწყობს.**




# ვაშინგტონის მთავარი სტრატეგიული შეცდომა

დაძაბულობა იგრძნობა აშშ-ის ორმხრივ ურთიერთობებში პეკინსა და მოსკოვთან და ახლა ამ დაძაბულობის დონემ უკანასკნელი ერთი წლის მაჩვენებლების პიკს მიაღწია.

ეს სახიფათო ფაქტორია, რომელმაც, შესაძლოა, სერიოზული გეოპოლიტიკური პრობლემების პროვოცირება განაპირობოს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია უახლოეს პერიოდში კორექტირებად ზომებს არ მიიღებს და საკუთარ პრიორიტეტებს არ დააბალანსებს.

**ყირიმის მოვლენებთან დაკავშირებით მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის უამისოდაც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა.**

**მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ოფიციალური პირების მხოლოდ მცირე ნაწილი ეთანხმება მიტ რომნის მტკიცებას, რომ რუსეთი მათი ქვეყნის მთავარი გეოპოლიტიკური მტერია, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების გაციების მიზეზები ყირიმის კრიზისის დაწყებამდეც მრავლად იყო. გავიხსენოთ თუნდაც მწვავე უთანხმოებები ამ ქვეყნებს შორის სირიასა და ირანთან დაკავშირებით მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე.**

ყირიმის ეპიზოდმა მნიშვნელოვნად გაამძაფრა სიტუაცია. ვაშინგტონმაც და ევროკავშირში მისმა მოკავშირეებმაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს, რომელსაც კრემლმა საკუთარი სანქციების შემოღებით უპასუხა. მოსკოვიდან და ვაშინგტონიდან იმდენად მტრული განცხადებები ისმის, როგორიც ცივი ომის დასრულების შემდეგ აღარ სმენია მსოფლიოს.

აშშ-ის ჩინოვნიკები განიხილავენ აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე დამატებითი ჯარების განლაგების შესაძლებლობებს, რათა თავიდან აიცილონ რუსეთის მხრიდან ექსპანსიური ქმედებები. ამერიკის საგარეოპოლიტიკური საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც მკაცრი ზომების მომხრეა, ღიად გამოდის უფრო პროვოკაციული ქმედებების და უკრაინის ახალი ხელისუფლებისთვის სამხედრო მხარდაჭერის გაწევის ინიციატივით.

**ბოლო დროს განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ვაშინგტონსა და პეკინს შორისაც. ამას მოწმობს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ჩაკ ხეიგელის ბოლოდროინდელი ვიზიტი ჩინეთში. საკმაოდ მკაცრი შენიშვნების სერიის კულმინაციად იქცა ჩინეთის თავდაცვის მინისტრის ჩან ვანიციუანის მკაცრი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ ჩინეთის „შეკავების“ მცდელობა წარმატებით არასდროს გვირგვინდება.**

დიდი ხანია, პეკინს მრავალ საკითხში ხელს აღარ აძლევს აშშ-ის პოზიცია. ერთ-ერთ უმწვავეს მომენტად კვლავაც რჩება აშშ-ის პოზიცია სამხრეთ-ჩინურ და აღმოსავლეთ-ჩინურ ზღვებზე ჩინეთისა და მისი მეზობლების ტერიტორიული კამათის თაობაზე. **პეკინის თვალსაზრისით, ობამას ადმინისტრაციამ ღიად აჩვენა იაპონიის, ფილიპინების, ვიეტნამისა და ჩინეთის სხვა მოწინააღმდეგეებისადმი მხარდაჭერა. ვაშინგტონსა და მანილას შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი შეთანხმება, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამწვავებს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით.**

აშშ-ის მხრიდან ერთდროულად რუსეთსა და ჩინეთთან ურთიერთობების გაფუჭება ძალზე სახიფათო ტენდენციაა. ის ეწინააღმდეგება იმ მნიშვნელოვან გაფრთხილებას, რომელსაც სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა გაუსვა ხაზი ცივი ომის დროს.

მსჯელობდა რა პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის მხრიდან ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზების გადაწყვეტილებაზე კისინჯერმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა მის საფუძველში ჩადებულ გეოსტრატეგიულ პრინციპზე. „ჩვენი ურთიერთობები შესაძლო ოპონენტებთან, — დაწერა მან თავისი მემუარების „თეთრ სახლში მსახურების წლები“ პირველ ტომში, — ისე უნდა აეწყოს, რომ ჩვენი შესაძლებლობები მათთან დაკავშირებით მუდამ უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მათი შესაძლებლობები ერთმანეთთან კავშირში“.

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი თვალსაზრისით, ვაშინგტონმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მოსკოვსა და პეკინთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს, ვიდრე მათ თავად ექნებათ ერთმანეთთან. ეს სტრატეგია სავსებით გონივრულად გამოიყურება.**

ობამას ადმინისტრაციის მოუქნელი დიპლომატია კი ქვეყანას სხვა და გაცილებით უსიამოვნო შედეგამდე მიყავანას უქადის. ვაშინგტონის ქცევა, შესაძლოა, უბიძგებს კიდეც მოსკოვსა და პეკინს ერთმანეთისკენ და აიძულებს, დროებით დაივიწყონ საკუთარი უთანხმოებები — მათ შორის ტერიტორიული დავებიც და შუა აზიაში პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციაც — რათა გადაწყვიტონ აშშ-ისთვის დაპირისპირებასთან დაკავშირებული გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხი.

ამერიკული დიპლომატიის მხრიდან რუსეთისა და ჩინეთის მიმართ გამონათქვამების ტონიც კი ხშირად გაუმართლებლად უხეში და აგრესიულია. ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა არა ერთხელ გამოხატეს გაღიზიანება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვმა და პეკინმა წინააღმდეგობა გაუწიეს აშშ-ის მცდელობებს, შეეცვალა სირიაში ლიდერი და მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაეწესებინა ირანის წინააღმდეგ.

ნაციონალური უსაფრთხოების საკითხთა მრჩეველმა სიუზენ რაისმა, რომელიც იმ პერიოდში გაეროში აშშ-ის ელჩი იყო, განსაჯა რუსეთისა და ჩინეთის ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის რეზოლუციის კენჭისყრასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მსგავსი ქმედებები „სამარცხვინო“ და „უპატიებელია“. ცხადია, მისმა ამგვარმა ტონმა მოსკოვისა და პეკინის მკვეთრი რეაქცია განაპირობა.

**იდეალურ ვარიანტში, აშშ უნდა შეეცადოს ურთიერთობების აღდგენას ორივე ქვეყანასთან. თუ ობამას ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს არ შეუძლიათ, თავი აიძულონ და ამგვარი მიდგომა გაიზიარონ, უკიდურეს შემთხვევაში, ორიდან ერთი სახელმწიფო მაინც უნდა აირჩიონ თავიანთი მთავარი მოწინააღმდეგის სახით და არ უნდა ცდილობდნენ, ერთდროულად დაუპირისპირდნენ ჩინეთსა და რუსეთს.**

ახლა აშშ, პირველ რიგში, იმას უნდა უფრთხოდეს, რომ თავისი მოქმედებებით უნებლიეთ არ დაეხმაროს რუსეთსა და ჩინეთს 1950-იანი წლების დასასრულიდან ჩაშლილი ურთიერთობების აღდგენაში. ამისთვის კი საჭიროა პრიორიტეტების განსაზღვრა და არჩევანის გაკეთება. პოლიტიკოსებმა პასუხები უნდა იპოვონ მთელ რიგ უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხებზე. ორი ქვეყნიდან რომელს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს აშშ-ისთვის ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით? **ორი ქვეყნიდან რომელს შეუძლია უფრო მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება აშშ-ის უმნიშვნელოვანესი ინტერესებისთვის? ორი ქვეყნიდან რომელს აქვს მეტი შესაძლებლობა და განზრახვა, დაარღვიოს სტატუს-კვო საკუთარ რეგიონში? ორი ქვეყნიდან რომელს უფრო მეტად შეუძლია შეეცადოს სტატუს-კვოს დარღვევას აშშ-ის საზიანოდ?**

ამ კითხვებზე პასუხები იოლი მოსაძებნი არ არის. ზოგიერთ ასპექტში რუსეთი უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეა, ზოგიერთში — ჩინეთი, მაგრამ სწორედ ასეთი სერიოზული შეფასება წარმოადგენს ნებისმიერი ეფექტური საგარეო პოლიტიკის ძირითად სირთულეს.

**ამ ამოცანის გადაჭრისთვის თავის არიდება და მოსკოვსა და პეკინთან ერთადროულად დაპირისპირების რისკის შექმნა — ასეთია ამჟამად საკითხისადმი აშშ-ის მიდგომა, რაც ძალიან უხეში შეცდომაა. თუ ის ამ გზით განაგრძობს სვლას, წინ მხოლოდ იმედგაცრუება და კატასტროფა ელის.**

KM.RU

**აშშ-ის საარჩევნო სისტემამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წარმოშვა „საარჩევნო გეოგრაფიის“ მოვლენა, რომლის წყალობითაც კენჭისყრის შედეგები ვარირებს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ. ამ ილეთს ჯერიმენდერინგი ჰქვია და, მიუხედავად იმისა, რომ მთლად კანონიერი არ არის, ამ დრომდეც არსებობს ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში და, ფართოდ გამოიყენება რა ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ, არჩევნების შედეგებზე სერიოზული გავლენის საშუალებას იძლევა.**

# აშშ-ის საარჩევნო სისტემა: როგორ აყალბებენ ამერიკაში არჩევნების შედეგებს

ტერმინი „ჯერიმენდერინგი“ 1812 წელს გაჩნდა და სახელი დაერქვა მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის ელბრიჯ ტომას ჯერის საპატივცემულოდ. ამ ადამიანმა არჩევნებში საკუთარი პარტიის გამარჯვებისთვის უბრალოდ „გამოჭრა“ ბოსტონის ჩრდილოეთით აუცილებელი საარჩევნო ოლქი. ამ ოლქს თანამედროვეები კარიკატურებზე სალამანდრის სახით ხატავდნენ, ამიტომაც მასაჩუსეტსელმა იუმორისტებმა, უბრალოდ, შეაერთეს სიტყვები „ჯერი“ და „სალამანდრა“ და ოლქს ჯერიმანდრა უწოდეს. ამგვარი ოლქების „გამოჭრის“ პროცესს შესაბამისად ჯერიმანდერინგი ეწოდა.

**იმ დროიდან მოყოლებული ჯერიმანდერინგი აშშ-ში ძალზე გავრცელებულ მოვლენად იქცა — პოლიტიკოსები პერიოდულად მისწი-მოსწევდნენ ხოლმე ოლქების საზღვრებს ხმათა სასურველი რაოდენობის შესაბამისად, ქმნიდნენ ოლქებს არათანაბარი რაოდენობის ამომრჩევლებით და საოცარი ტერიტორიული ფორმებით. ეს განაპირობებდა სკანდალებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, პრაქტიკა მრავალ შტატში განაგრძობდა არსებობას.**

ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან მკაცრი კონტროლი მხოლოდ 1980-იან წლებში დაიწყო, მაგრამ საზოგადოებრივი გეოგრაფიის ხარისხიანი სტატისტიკის ფლობით ახლაც ადვილად შეიძლება ოლქების მიჭრა-მოჭრით მანიპულირება თვით ფორმალური წესების დაცვითაც კი. ეს აჩვენა კიდეც აშშ-ში 2012 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა. ჯერიმანდერინგის პრაქტიკა აღაშფოთებს მასმედიას და საზოგადოებას, რადგან ამ შემთხვევაში მოქალაქეები კი არ ირჩევენ პოლიტიკოსებს, არამედ პოლიტიკოსები ირჩევენ საკუთარ ამომრჩევლებსა და მათ რაოდენობას.

თვალსაჩინო მაგალითისთვის ამერიკელ მოქალაქეებს შორს წასვლა არ დასჭირდებათ — მეზობელ კანადაში ჯერიმანდერინგი 1955 წლამდე ყვაოდა, ვიდრე პროვინცია მანიტობას ხელმძღვანელობამ არ გადაწყვიტა, ექსპერიმენტის სახით დაეფუძნებინა „საარჩევნო გეოგრაფიის“ შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისია. 10 წლის შემდეგ კანადის ორმა მთავარმა პოლიტიკურმა პარტიამ ანალოგიური კომისიები დააკანონა და ისინი დღემდე ადევნებენ თვალს არჩევნების პროცესს ყველა პროვინციაში.

რატომ არ წავიდა აშშ ამ მარტივი და ამომრჩევლის მიმართ სამართლიანი გზით? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ოლქების განაწილება თავად შტატების ხელთაა, კანადაში კი ამ საქმეს ეროვნული პარლამენტი განაგებს. **კანონი იმ დამოუკიდებელი კომისიების შექმნის თაობაზე, რომლებიც თვალს ადევნებენ ყველა ოლქის საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, არა მხოლოდ შტატების დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო, არამედ, შესაძლოა, თვით ქვეყნის კონსტიტუციის საწინააღმდეგოც კი ყოფილიყო.**

კომისიების შექმნისა და მათი მუშაობის წესების დადგენის შემთხვევაშიც კი უდიდეს როლს ასრულებს წვრილმანი პოლიტიკური ნიუანსებიც. ამერიკის ექვს შტატში ახლა ამგვარი კომისიები მოქმედებენ, მაგრამ მათი წევრები მუდამ მიუკერძოებელნი არ არიან — თუ კანადაში კომისიების წევრები დაინტერესებული ადამიანები არ ხდებიან, აშშ-ში კომისიების წევრების ადგილების უმეტესობა წინასწარვე რეზერვირებულია პოლიტიკური პარტიების წევრებისთვის. პოლიტოლოგების აზრით, აშშ-ში აბსოლუტურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კომისია ჯერ არ არსებობს.

**საარჩევნო საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაცია-კონსულტანტის დამოუკიდებელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოს იმ 60 ქვეყნიდან, რომლებშიც ასე თუ ისე გამოიყენება ჯერიმანდერინგი, 43-მა ოლქების საზღვრების ფორმირების პროცესის რეგულირება დამოუკიდებელ კომისიებს მიანდო, 14-მა, მათ შორის აშშ-მა, საფრანგეთმა, იტალიამ და კორეამ კვლავაც პოლიტიკოსების ხელში დატოვეს მთავარი როლი საარჩევნო პროცესში.**

russian.rt.com

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხატინის სადამსჯელო ოპერაციის დროს, 1943 წლის 22 მარტს მოკლეს 149 ადამიანი, მათ შორის — 75 ბავშვი.



# ხატინიდან მაიდნამდე

**ბელორუსიის ამ სოფლის და ათასობით მისნაირი დასახლების ტრაგედია ფაშისტების მაჩანჩალების სინდისზეა.**

**73 წლის წინათ, როგორც კი ფაშისტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, სტეპან ბანდერამ უკრაინელ ხალხს ყველას გასაგონად მოუწოდა, „ყველგან და ყოველთვის დახმარებოდნენ გერმანიის არმიას, გაენადგურებინათ მოსკოვი".**

**რამდენიმე დღის წინათ გაეროში უკრაინის წარმომადგენელმა იური სერგეევმა, რომელიც უცებ თავგადაკლულ მაიდნელად იქცა, ოფიციალურად განაცხადა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირმა ნიურნბერგის პროცესზე სპეციალურად მოსცხო ჩირქი სტეპან ბანდერას და მის მიმდევრებს.**

**ფერშეცვლილი უკრაინელი დიპლომატის მტკიცებით, ისინი მკვლელები, ავაზაკები და გერმანელი ოკუპანტების ერთგული ხელის ბიჭები კი არ იყვნენ, არამედ — ნამდვილი პატრიოტები.**

**როგორი პატრიოტები და თავისუფლებისთვის მებრძოლებიც იყვნენ ბანდერას ბანდები, ღაღადებს ჯერ კიდევ 6 წლის წინათ განსაიდუმლოებული ისტორიული დოკუმენტები, რომელთა ერთ ნაწილი „საქართველო და მსოფლიო" დღეს გთავაზობთ.**

**ეს არის სასამსახურო ჩანაწერები, ანგარიშები პასუხისმგებელი პირების, თვითმხილველთა მიერ დადასტურებული ფაქტები იმისა, თუ რა „მოღვაწეობას" ეწეოდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციები (ОУН) და უკრაინის მეამბოხეთა არმიის (УПА) ნაწილები სამამულო ომის წლებში.**

ხატინი ერთადერთი არ იყო, ფაშისტებმა იავარქმნეს ბელორუსიის კიდევ 186 სოფელი, დახოცეს იქ მცხოვრებნი. ხატინის მემორიალი ყველა მათგანის ძეგლია.



## ფაშისტებს ტრადიციული პურითა და მარილით ხვდებოდნენ

„უკრაინელი ნაციონალისტები, რომლებიც მანამდე იატაკქვეშ იმყოფებოდნენ, გერმანელებს პურითა და მარილით ხვდებოდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ...

ფაშისტებმა კიშენსკ-ორიოლის რაიონი თავიანთ საყრდენ ბაზად გადააქციეს და უკრაინელი ნაციონალისტების დახმარებით ყოველგვარი საბჭოურისგან გაწმინდეს. ასე, მაგალითად, **სოფელ სტ. ორლიკში 1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა დააპატიმრეს და შემდეგ მდ. დნეპრთან, ტყეში დახვრიტეს საბჭოთა აქტივის 60 ოჯახი, სოფ. კიტაიგოროდში გერმანელებმა დახვრიტეს 45 ოჯახი, კოტოვსკის რაიონის სოფ. ჟდანოვკაში დააპატიმრეს 35 ოჯახი, სოფ. ნეხვოროშჩაში დახვრიტეს 200-მდე ოჯახი, სოფ. პერეშჩეპინოში დახვრეტილია 100-მდე ოჯახი".** *(სსრკ შინსახკომის მე-4 სამართველოს უფროსის — სუდოპლატოვის შეტყობინებიდან, 1942 წლის 5 დეკემბერი).*

„გერმანია-პოლონეთის ომის დროს უკრაინელმა ნაციონალისტებმა აქტიური როლი ითამაშეს პოლონეთის არმიის ზურგში ჯაშუშობის ორგანიზებასა და დივერსიების მოწყობაში. ამ დახმარებისთვის გერმანიის სარდლობამ ოუნელებს *(ნაციონალისტებს. — რედ.)* უფლება დართო, მხეცურად გაესწორებინათ ანგარიში პოლონელი მოსახლეობისთვის დასავლეთ უკრაინის ოლქებში, განსაკუთრებით, გალიციაში. ამ საზიზღარი მოღვაწეობის შედეგად **ამოწყვიტეს ათასობით პოლონური ოჯახი და გადაწვეს ასობით სოფელი** *(ი. თ. კუტკოვცის დაკითხვის ოქმიდან, 1944 წ. 01.02).*

„აგენტმა... გვაცნობა, რომ მ. წ. 18 ივლისს მოწმე გახდა უკრაინელი ნაციონალისტ-ბანდეროველთა მიერ ქ. ვლადიმირ-ვოლინსკში მცხოვრები პოლონელი მოსახლეობის მასობრივი განადგურების. ეკლესიებში **ღვთისმსახურების დროს ბანდიტებმა მოკლეს 11 ქსენძი და 2000-მდე პოლონელი ქალაქის ქუჩებში"** *(სპეცცნობა, 1943 წელი).*

„გოშჩანსკის რაიონის სოფ. ტუდოროვში, წითელი არმიის მიერ მისი გათავისუფლების წინა დღეს, **ბანდერელებმა დაწვეს საბჭოთა მეურნეობა, ასევე დაწვეს ამ საბჭოთა მეურნეობის მუშა სავიცკი და მისი ცოლ-შვილი.** სავიცკის ცოლს ბანდიტებმა მავთულით მიაბეს ორი შვილი და ცოცხლები ცეცხლში შეაგდეს" *(ი. თ. კუტკოვცის დაკითხვის ოქმიდან, 01.02.1944 წ.).*

**„1944 წლის 23 მარტს, დაახლოებით დილის 7 საათზე ტერნოპოლის ოლქის სტრუსოვსკის რაიონის სოფელ ნოვა-ბრიკულიაში მივიდნენ ბანდერელები, რომლებიც გადაცმული იყვნენ წითელარმიელთა ფორმაში, ალყა შემოარტყეს სოფელს და დაიწყეს ხალხის სამუშაოზე შეგროვება... დაახლოებით დღის ორ საათზე სოფლელები დაინტერესდნენ და საძებრად წავიდნენ. დაადგინეს, რომ ნოვა-ბრიკულაის სამხრეთით, ერთი კილომეტრის დაცილებით ეს ადამიანები (115 კაცი) დახვრიტეს"** *(ლეიტენატ ე. სერიბკაევის აქტიდან, 1944 წლის 11 აპრილი).*

„როვნოს რაიონის სოფელ კარაჩაევში ბანდჯგუფი 15-მდე კაცის რაოდენობით, შინსახკომის ჯარების ფორმაში გამოწყობილი, შეიჭრა ადგილობრივი მცხოვრებლის — მელნიკის სახლში და მოსთხოვა, მიეყვანა ისინი სოფლსაბჭოს თავმჯდომარესთან. ბანდიტების მოთხოვნაზე **ქალმა უარი თქვა, რის გამოც იგი ზუმბებით სცემეს და ოჯახის დანარჩენი წევრების თვალწინ დახვრიტეს"** *(ვ. ნ. მერკულოვისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათიდან, 1944 წელი).*

## ცეცხლს მისცეს სკოლები და საავადმყოფოები

**„გერმანელებმა პოლიციელების დახმარებით ალექსანდროვის რაიონში დაწვეს 27 სკოლა, 15 საავადმყოფო და ყველა საცხოვრებელი სახლის 40 პროცენტი.** მხოლოდ სოფელ ივერსკში გერმანელებმა მოღალატეებთან ერთად **დახვრიტეს 162 სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანი სოფელ ალექსანდროვკიდან, მათ შორის, მოხუცებული მღვდელი"** *(უკრაინის მე-4 ფრონტის დოკუმენტი).*

„19-დან 20 სექტემბრის ღამით სოფელ გლუბოჩევში ბანდერელებმა ხელთ იგდეს 167-ე დივიზიის რიგითები — კოზინი და კოტინი. ტყვეები სასტიკად აწამეს. **ბანდიტებმა წითელარმიელ კოზინს მოაგლიჯეს მარცხენა ყური, დათხარეს თვალები, ნაჯახით გაუპეს ყბა და კისერი, ხელ-ფეხზე ცეცხლი წაუკიდეს"** *(38-ე არმიის პოლიტპატაკი, 1945 წლის 29 სექტემბერი).*

„მკვლელების ბანდა შეამტვრევდა კარებსა და ფანჯრებს, ხვრეტა, ნაჯახითა და დანებით კლავდა ადამიანებს, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებს, რის შემდეგაც გვამებს საზიდრებზე აწყობდნენ, მიჰქონდათ და ორმოებში ფლავდნენ". *(მაიორ ბ. გ. შკლიარევის აქტიდან, 1944 წლის აპრილი).*

„პირველი მასობრივი დახვრეტა ქ. კოსტოპოლეში 1941 წლის 16 აგვისტოს მოხდა. **ამ დღეს დახვრიტეს 500 ადამიანი „დინამოს" სტადიონიდან 700 მეტრში.** ჩამოხრჩობის შესახებ: „განწირულებს თავს ყულფში ებრაელები აყოფინებდნენ, ისინი სპეციალურად ამ სამუშაოსთვის მოიყვანეს" *(ი. ა. სულიკოვსკის დაკითხვის ოქმიდან, თარიღი მითითებული არ არის).*

**და ეს საზარელი ფაქტები მხოლოდ წვეთია ტრაგედიების ზღვაში. ამის ჩამდენი მკვლელები და, უწინარეს ყოვლისა, მათი მამამთავარი სემიონ ბანდერა გააფეტიშა უკრაინაში ფერადმა რევოლუციამ, რომელმაც იუშჩენკო-ტიმოშენკოს ტანდემი მოიყვანა ხელისუფლების სათავეში.**

დღეს მათ რეაბილიტაციას ცდილობენ მაიდნის ლიდერები და მარჯვენა სექტორის რადიკალები, რომლებიც უკრაინული პატრიოტიზმის პრივატიზაციით არიან გართული. პატრიოტიზმისა, რმელიც ეროვნული იდეის აღორძინებას კაცთმოძულეობის ფესვებზე ცდილობენ. ეს ფესვები საყოველთაოდ სახილველად გააშიშვლა უკრაინის ამბოხებულთა არმიის (УПА) დამსჯელი რაზმების დამნაშავეების შესახებ მასალების განსაიდუმლოებამ.

**წარდგენილია არამხოლოდ ფაქტები და სტატისტიკა, რომელიც თავისთავად სულის შემძვრელია, არამედ — კონკრეტული ადამიანების ტრაგედიაც, ამხილა კონკრეტული დამნაშავენი, რასაც სამართლიანი შურისძიება მოჰყვა.**

თუნდაც ხატინის გამო.

## ომის ჭრილობები

**ხატინის სადამსჯელო ოპერაციის დროს, 1943 წლის 22 მარტს მოკლეს 149 ადამიანი, მათ შორის — 75 ბავშვი.** სოფელი მიწასთან გაასწორეს. ხატინში მომხდარი დანაშაულის შესახებ ცნობა მყისვე გავრცელდა სასწაულებრივ გადარჩენილთა და პარტიზანთა მონათხრობით. მაგამ ბოროტმოქმედები „ფსკერზე დაწვნენ", გაქრნენ. ამასთან ერთად, ოფიციალური ვერსიით, მიჩნეული იყო, რომ ხატინის მოსახლეობა გერმანელმა ფაშისტებმა ამოხოცეს. **მხოლოდ 1973 წელს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლებმა მიაგნეს ჭეშმარიტ კვალს.**

გამომძიებელთაგან ერთ-ერთი საოლქო კონტრდაზვერვის თანამშრომელი **ლეონიდ კოლმაკოვი მუშაობდა.** იგი ჩეკისტების ოპერაციის უშუალო მონაწილე იყო.

— სახელმწიფო უშიშროების კუიბიშევის სამმართველოს ბელორუსმა კოლეგებმა თხოვნით მიმართეს, — დაეკითხათ ვინმე **სახნო**, რომელიც, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, იყო თვითმხილველი იატაკქვეშელი მამასახლისისა და მისი ოჯახის დახვრეტის, და წარედგინათ მისთვის რამდენიმე ფოტოსურათი ამოსაცნობად, — **ჰყვება ლეონიდ კოლმაკოვი,** — სახნომ თავიდან განაცხადა, რომ არ იცის, შეძლებს თუ არა დახმარებას, რადგან ამბავი ძველი იყო, ოცდაათი წლის წინანდელი. ყურადღება მივაქციე მოწმის ერთ უცნაურ ქცევას: იგი თითქოს განგებ ურევდა გვარებს — ფოტოზე გვიჩვენებდა ერთს, გვარს სხვისას ასახელებდა და ა. შ.,



ბანდერელთა ბანდები ომის შემდეგაც დათარეშობდნენ. ეს ფოტო გადაღებულია 1946 წელს კარპატებში

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეს მასალები 2007 წელს გამოქვეყნდა და ვერავინ დასწამებს ამ დოკუმენტების მზის სინათლეზე გამომტანთ, რომ მათ ეს საქმე უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებს მიუსადაგეს, უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირების გასაღვივებლად გამოიყენეს.

◀ მაგრამ, ამასთან, სახნოს შესანიშნავად ახსოვდა ფრონტული ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებიც კი.

ყოველდღიური, მრავალსაათიანი „საუბრები“ სახნოს სერიოზულად ანერვიულებდა. ერთხელ კიდეც განაცხადა, რომ იგი დაჭრილი მებრძოლია, ფრონტელი, და უფლებას არავის მისცემს, უნდობლობით შეურაცხყონ. დაემუქრა კიდეც გამომძიებელს, რომ საჩივრით მიმართავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. ოპერმუშაკს კარგად ესმოდა, რომ ამგვარ დემარშებს „მოწმე“ ამაოდ არ მიმართავდა, რაღაცას უდავოდ მალავდა. მაგრამ რას?

გადაწყვიტეს სახნოსთან ერთად ბელორუსში გამგზავრება. ამოცანა ერთი იყო: ფსიქოლოგიურად განეიარაღებინათ იგი და იძულებული გაეხადათ, ეღიარებინა ყველაფერი. სახნოსთან ერთად შემოიარეს ფაშისტების მიერ ომის დროს ოკუპირებული რაიონები, „პარტიზანთა ტყეები“. შედეგი ნულის ტოლი იყო.

პარალელურად მიმდინარეობდა საარქივო დოკუმენტების შესწავლა, მაგრამ 1943 წლიდან ფაშისტები მონდომებით შლიდნენ თავიანთი ბოროტმოქმედების ყოველგვარ კვალს. **ხატინის ტრაგედია წარმოდგენილი იყო, როგორც „მძიმე ბრძოლა პარტიზანებთან, რომელიც სოფლის განაპირას გაიმართა. ხატინელთა დიდმა ნაწილმა სოფელი რამდენიმე დღით ადრე დატოვა“.**

მაგრამ სწორედ ამ დოკუმენტებში კოლმაკოვმა იპოვა გერმანელთა ფორმირების — „დირლევანგერის“ მეთაურის მოგონება, ფაქტები, რომლებიც მას ახალგაზრდების განსაკუთრებული აქტიურობით დაახსომდა. განსაკუთრებით გამოჰყოფდა მაღალ, ცისფერთვალება პოლიციელს უკრაინელთა ბატალიონიდან. მისი გვარი დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ ახსოვდა, რომ იგი მე-9 ნომრით ბატალიონის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა. სხვა საქმეში ფიგურირებდა ვინმე, მეტსახელად მახნო, ახალგაზრდა, ცისფერთვალება, ტანადი უკრაინელი, რომელსაც ეს მეტსახელი მშვიდი ხასიათის გამო არ ჰქონდა შერქმეული.

სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა პოლიციელთა ბატალიონის როლი სადამსჯელო ოპერაციებში, მაგრამ უწინდებურად ვერ ხერხდებოდა კონკრეტულ დამნაშავეებზე პირდაპირი სამხილების მოპოვება.

ერთხელ გამომძიებელმა კოლმაკოვმა მახნოსთან საუბრისას სიტყვა ფეხბურთზე ჩამოაგდო. სახნო კუბიშევის ფეხბურთელთა გუნდის — „კრილია სოვეტოვის“ თავგადაკლული ქომაგი აღმოჩნდა. გაჩაღდა საუბარი და თემით აღტაცებულმა სახნომ განაცხადა, რომ ფრონტული გუნდის თავდასხმაში თამაშობდა. ისიც თქვა, რომ მეტსახელად მახნოს ეძახდნენ. აშკარა ხდებოდა, რომ ფეხბურთელი, რომელსაც ფაშისტი ოფიცერი იხსენებდა და სახნო ერთი და იგივე ადამიანი იყო.

**ნაბიჯ-ნაბიჯ იკვეთებოდა „მოწმის“ ნამდვილი სახე. ბოლოს და ბოლოს სახნომ ფსიქოლოგიურ დატვირთვას ვერ გაუძლო და თავად აღიარა, რომ ხელები სისხლში აქვს გასვრილი: „30 წელიწადს ვცხოვრობდი ნაჭუჭში... პასუხი უნდა ვაგო“.**

ამ მომენტიდან სახნომ ჩვენებების მიცემა დაიწყო, არ მალავდა არც ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილს, არც მოღალატეთა გვარებს, მაგრამ ხატინის თემას უწინდებურად გვერდს უვლიდა. ერთ-ერთ დაკითხვაზე კოლმაკოვმა პირდაპირ ჰკითხა: რომელი სოფელი იყო ხატინი, რომელიც მათ ვერა და ვერ იპოვეს?

და ამ დროს სახნოს შიგნით თითქოს რაღაც ჩაუწყდა, დაიწყო ყვირილი, რომ არასოდეს დაავიწყდება კვამლის ის ბოლქვები, ცეცხლმოდებული ის ადამიანები, რომლებიც გამოვარდებოდნენ კოცონიდან, გმინვა და კივილი მათი.

ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი კი მისი აღიარება იყო:



**„ხატინი ყოველდღიურად იყო“... 1943 წლის 6 იანვარს სოფ. ჩმელევიჩში დაწვეს 58 სახლი და სკოლა, 18 თებერვალს სოფ. ზარეჩიეში დახვრიტეს 12 ადამიანი და დაწვეს 30 სახლი...** ხატინი კი შურისძიება იყო პარტიზანების მიერ ლიკვიდირებული ჰანს ველკეს გამო, ბირთვის კვრაში 1936 წლის ოლიმპიური ჩემპიონის, რომელიც ფიურერის პირადი მეგობარი იყო. ვიოლკე მინსკის აეროდრომისკენ მიდიოდა, მას მიაცილებდა 118-ე ბატალიონის თანამშრომლებით სავსე ორი სატვირთო მანქანა. გზად მათ შეხვდნენ ქალები, რომლებიც ხეებს ჭრიდნენ. კოლონა გაჩერდა, ქალებს ჰკითხეს, ხომ არ დაუნახიათ ახლო-მახლო პარტიზანები. უარყოფითი პასუხი რომ მიიღეს, განაგრძეს გზა, მაგრამ 300 მეტრში პარტიზანებმა ფაშისტებს ცეცხლი გაუხსნეს. ველკე დაიღუპა. **ბატალიონი დაბრუნდა იქ, სადაც ქალები ხეებს ჭრიდნენ და 23 უდანაშაულო ქალი ადგილზე დახვრიტეს.**

შემდეგ დამხმარე ძალა მოითხოვეს და ბატალიონ „დირლევანგერთან“ ერთად ტყეში პარტიზანების ძებნას შეუდგნენ. მიადგნენ სოფელ ხატინს, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივებს. **მთავარი როლი ამ საშინელ დანაშაულში პოლიციელების სწორედ 118-ე ბატალიონმა შეასრულა. მისი ხერხემალი უკრაინის დასავლეთ ოლქების მცხოვრებნი იყვნენ, ერთ-ერთი შემსრულებელი კი ესესის შტურმფიურერი — სტეპან სახნო გახლდათ.**



**სახნო დააპატიმრეს. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მისმა ჩვენებებმა ხელი შეუწყო დანაშაულის სრულად გახსნას და დამსჯელთა მხილებას და 25 წლით აღუკვეთა თავისუფლება.**

**მისი შემდგომი ბედი უცნობია.**

## ბანდერას ბანდების ქრონიკები

გამოქვეყნებული დოკუმენტები მხოლოდ მცირე სერიაა საარქივო პირველწყაროების. ძირითადად, ეს არის მოხსენებითი ბარათები და აქტები, უკრაინული ამბოხებული არმიის, სადამსჯელო რაზმების დანაშაულობათა შესახებ.

ეს მასალები 2007 წელს გამოქვეყნდა და ვერავინ დასწამებს ამ დოკუმენტების მზის სინათლეზე გამომტანთ, რომ მათ ეს საქმე უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებს მიუსადაგეს, უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირების გასაღვივებლად გამოიყენეს.

კარგა ხნის მანძილზე კარგ ტონად ითვლებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ბანდერელთა დანაშაულობაში დაეჭვება.

მაგრამ გამოქვეყნებული დოკუმენტები ღაღადებენ, რომ დაეჭვება უადგილოა. და — ფაქტები სისხლით ნაწერი დოკუმენტებია.

თუნდაც ასეთი, პოლონელი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი.

**„კაშტარინა ბრონია. გვამი ნახევრად დამწვარია, აშკარად ამჩნევია ცემის კვალი: თავის ქალა ბლაგვი საგნით თხემის არეშია ჩამტვრეული კისერში დანით მიყენებული ჭრილობების კვალია, მარჯვენა თეძო გადატეხილია.**

**კაშტარინ ზბეშკო. 6 თვის ბავშვი, გვამის ხერხემალზე წელის არეში აშკარად ჩანს მჭრელი იარაღის დარტყმის კვალი. გვამი გადატეხილი ხერხემლით ორად იყო დაკეცილი და ორმოში ჩაგდებული“.**

აი, „მოსკალებიც“:

„1945 წ. 12 იანვარს ბენდერელთა ბანდა 200 კაცის შემადგენლობით შეიჭრა ჟიტომირის ოლქის ცენტრში — გოროდნიცაში. ლეიტენანტი ფილიმონოვი თავის ბინაში იმყოფებოდა. სროლის ხმა რომ გაიგონა, ავტომატით ხელში ქუჩაში გამოვარდა და წინააღმდეგობა გაუწია. მოკლა ექვსი ბანდიტი და მოასწრო მიმალვა. ბინაში იმყოფებოდა მისი ცოლი ოთხი წლის ბავშვთან ერთად, ბანდერელებმა ისინი მხეცურად მოკლეს და ცხედრები აკუწეს“.

იქნებ საკმარისია?

შეიძლება მოიძებნოს ისეთებიც, ვინც იტყვის, რომ ეს ცალკეული შემთხვევებია, გადახრები ადგილებზე. თორემ УПА-ს მებრძოლები ომობდნენ არა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ — ფაშისტურის წინააღმდეგაც.

შეიძლება კი ასეთ მხეცობათა „გადახრად“ მონათვლა?! დოსტოევსკის შეეძლო, ბავშვის ერთ ცრემლში ზეციერი სამეფო გაეცვალა. თავისუფალი უკრაინის თავისუფლების მოპოვებას კი სისხლის მდინარეებით ცდილობდნენ. და ის, რომ ბანდერელები გერმანელთა წინააღმდეგაც იბრძოდნენ, გამართლება არ არის.

მით უფრო, მაინცდამაინც არც იბრძოდნენ.

**„გერმანელების სამხედრო ხელისუფლება შეუდგა სადამსჯელო რაზმების ფორმირებას უკრაინული ეროვნების პირებისგან. ძირითადად ესენი არიან წითელი არმიიდან დეზერტირებული უკრაინელები და ადგილობრივი ნაციონალისტური ელემენტები. გერმანელების ხელისუფლება მათ განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს, დახვრეტამდეც კი“. ეს დოკუმენტი 1942 წლის 19 იანვრისაა.**

„ბანდერელები არ ააშკარავებენ თავიანთ კავშირს გერმანელთა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებასთან, მაგრამ, ფაქტობრივად, გერმანელთა კარნახით მოქმედებენ, რისთვისაც მათგან იღებენ შეიარაღებას, ეკიპირებას და სხვა სამხედრო ქონებას“.

1944 წლის 22 აპრილს УПА-ს შტაბის განადგურებისას აღმოჩენილია ბრძანება კლიმ საკურის ხელმოწერით, რომელშიც ნათქვამია: „მადიარების, სლოვაკების, ლიტველების და ჰიტლერის მოკავშირე სხვა ჯარების წინააღმდეგ არ უნდა იბრძოლოთ“.

ეს უკვე 1944 წლის ივნისია.

ბანდერას ბანდები ომის შემდეგაც არსებობდა, ხოლო ბანდერელობა წლეულს კიევის მაიდნის მემარჯვენე სექტორის სახით შხამიან ამონაყარად გამოეცხადა უკრაინას.

**უცხოეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით**



სავიცკის ცოლს ბანდიტებმა მავთულით მიაბეს ორი შვილი და ცოცხლები ცეცხლში შეყარეს



ქალაქ სტანისლავში პოლონეთის გენერალ-გუბერნატორ რაისლაიტერ ჰანს ფრანკს ბანდერელმა ქალებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ონკოლოგების კვლევის თანახმად, დადგინდა, რომ პროდუქტები, რომლებიც კოფეინს შეიცავს, საუკეთესო საშუალებაა ბაზალურ-უჯრედოვანი კარცინომის პრევენციისთვის და, რაც მეტია კოფეინი, მით ნაკლებია რისკი



# ყველაფერი კოფეინის შესახებ



**კოფეინი (იგივე თენი, მატეინი, გურანინი) პურინის გვარის ალკალოიდია. კოფეინს შეიცავს ისეთი მცენარეები, როგორიცაა ყავის ხე, ჩაი, მატე, გუარანა, კოლა და სხვ. გამოიყენება სასმელებში. მცირე დოზით მიღებისას ასტიმულირებს ნერვულ სისტემას, მაგრამ დიდი დოზა იწვევს დამოკიდებულებას — კოფეინიზმს. კოფეინის მიღების შედეგად იმატებს გულის ცემა, რომელიც ზრდის სისხლის წნევას, თუმცა 3-6 საათის შემდეგ კოფეინის მოქმედება მთავრდება, რაც იწვევს დაღლილობას და შრომისუნარიანობის დაქვეითებას. სუფთა სახით კოფეინი პირველად 1828 წელს მიიღეს.**

აუცილებელი არ არის, რომ ყავა და კოფეინის შემცველი სხვა პროდუქტები უარყოფითად მოქმედებდეს თქვენს ორგანიზმზე. ძლიერი სტიმულატორი, კოფეინი, ხელს უწყობს ადრენალინისა და შაქრის დონის ზრდას სისხლში, გამამხნევებლად მოქმედებს ტვინსა და სხეულზე. ერთი-ორი ჭიქა ყავა ამცირებს დაღლილობას და ძილიანობას, აუმჯობესებს რეაქციას.

**ყველაზე ძლიერი ეფექტი მიიღწევა ყავის მიღებიდან ნახევარი საათის შემდეგ. კოფეინი ორგანიზმში რჩება 5-6 საათის განმავლობაში და აიძულებს ორგანიზმს, დაწვას მეტი ცხიმი, რათა გამოათავისუფლოს ენერგია.** ერთ-ერთი ცდის დროს დადგინდა, რომ ორი ფინჯანი მაგარი ყავის მიღების შემდეგ მრბოლელებს შეუძლიათ 15 წუთით მეტ ხანს ირბინონ. სხვა ცდამ აჩვენა, რომ კოფეინის მიღების შემდეგ ველოსიპედისტი უკეთეს შედეგებს აჩვენებს.

**ყავა, ზომიერად მიღების შემთხვევაში (არაუმეტეს 2-3 (200 გრ) ფინჯანი დღეში), არ იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და არ უწყობს ხელს კიბოს განვითარებას.**

**კოფეინი, ჩვეულებრივ, არ მოიხსენიება ნიკოტინთან და სხვა ნარკოტიკებთან ერთად, თუმცა აღიარებულია, რომ გარკვეულ დამოკიდებულებას აყალიბებს მომხმარებლებში.**

ხსნადი ყავის დამუშავებისას კოფეინის შემადგენლობა 30-120 მილიგრამია, ჩვეულებრივი ყავისთვის ეს მაჩვენებელი 50-150 მილიგრამია. კოფეინის ყველაზე დაბალი შემცველობაა ეგრეთ წოდებულ უკოფეინო ყავაში — სულ რაღაც 2-5 მილიგრამი კოფეინი ერთ ჭიქაში.

სხვათა შორის, ჩაი კოფეინს არც თუ მცირე რაოდენობით შეიცავს. ერთ ფინჯან შავ ჩაიში მისი შემცველობა დაახლოებით 70 მილიგრამია.

როგორც ექიმები ირწმუნებიან, დიდი რაოდენობით კოფეინი (დღეში 2-3 ფინჯანზე მეტი) ადამიანის შინაგან ორგანოებზე სახიფათო ზემოქმედებას ახდენს. ის აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას, ალკოჰოლთან და სიგარეტთან ერთად იმდენად ვნებს გულს, რომ შესაძლოა, შედეგი ფატალურიც კი იყოს, არღვევს ძილის პროცესს.

**ყავის მოყვარულებს ხშირად უჩნდებათ კითხვა: რომელი ყავა უფრო მავნებელია ორგანიზმისთვის — ხსნადი თუ ნალექიანი? სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეცნიერებს ამ კითხვაზე ერთსულოვანი პასუხი არ აქვთ, სამაგიეროდ ზუსტად იციან, რომ დოზის გადაჭარბება ორივე შემთხვევაში მავნებელია.**

ზომიერების დაცვის აუცილებლობა ეჭვქვეშ დადგა მას შემდეგ, რაც, ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ონკოლოგების კვლევის თანახმად, დადგინდა, რომ პროდუქტები, რომლებიც კოფეინს შეიცავს, საუკეთესო საშუალებაა ბაზალურ-უჯრედოვანი კარცინომის პრევენციისთვის და, რაც მეტია კოფეინი, მით ნაკლებია რისკი. პროფესორ ჯალი ხანის თქმით, რაციონის ცვლილება შეცვლიდა ამ დაავადების სტატისტიკას.

ექსპერტებმა გაუკეთეს ანალიზი 113000 ადამიანზე ჩატარებულ კვლევის შედეგებს. 20 წლის დაკვირვების შემდეგ 22800 ადამიანს განუვითარდა კარცინომა, ამასთან, კიბოს განვითარება გაცილებით დაბალი იყო მათში, ვინც დიდი რაოდენობით მოიხმარდა კოფეინის შემცველ პროდუქტებს.

**უნდა აღინიშნოს, რომ კოფეინი ადრე გამოსცადეს მღრღნელებზეც. მაშინ დამტკიცდა, რომ კოფეინის შემცველობა არ აძლევდა წარმონაქმნს გაზრდის საშუალებას. თუმცაღა მეცნიერები დადასტურებით ვერ იძლევიან კოფეინის დიდი რაოდენობით მიღების რეკომენდაციას, რადგან ამან შესაძლებელია გართულება გამოიწვიოს გულისა და დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.**

მათთვის, ვისაც დილიდან ველარ აფხიზლებს ფინჯანი ჩვეულებრივი ყავა, იყიდება სპეციალური სასმელი Death Wish Coffee. მწარმოებელი კომპანია აცხადებს, რომ კოფეინი მასში ორჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ ყავაში.

**„ეს არ არის ჩვეულებრივი ყავა, რომელსაც დილას მიირთმევთ; ეს არ არის ის ყავა, რომელსაც თქვენ ყიდულობთ მაღაზიაში ან სვამთ კაფეში; ეს ექსტრემალური ყავაა. ჩათვალეთ, ჩვენ გაგაფრთხილეთ“,** — აცხადებენ მწარმოებლები.

**ალკოჰოლის კოფეინთან შერევით მომხმარებელს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ნაკლებად მთვრალია, ვიდრე რეალურადაა, ამას კი ადვილად მისახვედრი სავალალო შედეგები მოსდევს**




კოფეინს არა მხოლოდ ყავა, არამედ სხვა მრავალი სასმელიც შეიცავს. მაგალითად, ენერგეტიკული სასმელები. რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, მსოფლიო დაღლილობისა და მოწყენილობისგან ეხსნათ და საიდუმლო ლაბორატორიებში გამოიყვანეს მათი „ჯადოსნური“ ფორმულა.

**ენერგეტიკული სასმელი (ენერგეტიკი, ენერგოტონიკი) უალკოჰოლო ან სუსტი ალკოჰოლური სასმელია. ის ადამიანს მატებს ენერგიასა და მხნეობას, უქრობს დაღლილობას და აფხიზლებს. გემოთი ენერგეტიკული სასმელები უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება ჩვეულებრივი გაზიანი სასმელებისგან, მაგრამ მწარმოებლები მათში ვიტამინებს, ნახშირწყლებსა და კოფეინს ამატებენ. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ცხოვრებით დაღლილმა ადამიანმა ძალა მოიკრიბოს და ცხოვრებისადმი ინტერესი ისევ იგრძნოს.**

ენერგოტონიკები ორ კატეგორიად იყოფა: ერთში მეტია კოფეინი, მეორეში — ვიტამინები და ნახშირწყლები, მაგრამ კოფეინს ყველა შეიცავს.

ამ სასმელებში კოფეინი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა და ახალგაზრდებს კოფეინზე დამოკიდებულს ხდის. საფრთხე განსაკუთრებით მაშინ მატულობს, როდესაც ენერგეტიკულ სასმელს ალკოჰოლთან ან ნარკოტიკთან ერთად იღებენ. კოფეინზე დამოკიდებულება ჯანმრთელობის კუთხით სერიოზულ პრობლემებს იწვევს, რადგან, კვლევების თანახმად, იმ ადამიანების 42%-ს, რომელსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა, ენერგეტიკული სასმელი ალკოჰოლთან და ნარკოტიკთან ჰქონდა შეზავებული.

ალკოჰოლის კოფეინთან შერევით მომხმარებელს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ნაკლებად მთვრალია, ვიდრე რეალურადაა, ამას კი ადვილად მისახვედრი სავალალო შედეგები მოსდევს.

2013 წელს ენერგეტიკული სასმელების ინდუსტრიამ 10 მილიარდ დოლარზე მეტი გამოიმუშავა. მსგავსი სასმელები ძირითადად დიდ ქილებში იყიდება. მისი მწარმოებლები გათვლებს თინეიჯერებსა და მოზარდებზე აკეთებენ, შესაბამისად, იყენებენ როკმუსიკის, ექსტრემალური სპორტისა და სექსუალური ხასიათის სურათებს. მომხმარებელთა დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, თუ რამდენად დიდ დოზა კოფეინს იღებს.

**თუ გადაწყვეტთ, ერთბაშად გამორიცხოთ კოფეინი თქვენი რაციონიდან, მოემზადეთ აბსისტენციის სინდრომისთვის (აბსისტეციურ სინდრომს იგრძნობთ ყავაზე თანდათან უარის თქმის შემთხვევაშიც, მაგრამ უფრო მსუბუქი ფორმით). კოფეინის გარეშე ცხოვრების დაახლოებით 18 საათის ამოწურვის შემდეგ იგრძნობთ დაღლილობას და გაღიზიანებას. ასევე შეიძლება გაგიჩნდეთ პულსირებადი თავის ტკივილი (კოფეინი აფართოებს სისხლძარღვებს და როდესაც უარს ამბობს ყავაზე, სისხლძარღვები ვიწროვდება, რაც თავის ტკივილს იწვევს). ამ შემთხვევაში თუ თავის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებებს მიმართავთ, უნდა გახსოვდეთ, რომ ზოგიერთი მათგანი იმავე კოფეინს შეიცავს.**

აბსისტენციის ნებისმიერი სიმპტომი, ჩვეულებრივ, სულ რამდენიმე დღეს გრძელდება.



**კიბოს განვითარება გაცილებით დაბალი იყო მათში, ვინც დიდი რაოდენობით მოიხმარდა კოფეინის შემცველ პროდუქტებს**



## რა უშველის ხვრინვას?

**ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს „გონიერი“ ბალიში, რომელიც ხვრინვისგან დაგიცავთ.** SANP-ის (Snore Activated Nudging Pillow) ბალიში, ერთი შეეხედვით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბალიშისგან. „გონიერ“ ბალიშს უკანა მხრიდან აქვს ელექტრობლოკი, რომელიც რამდენიმე სპეციალური ღილაკითა და მიკროფონითაა აღჭურვილი. მოწყობილობას შეუძლია ადამიანის „მოსმენა“: როგორც კი მძინარე იწყებს ხვრინვას, ბალიში უფრო და უფრო იბერება. SANP-ს აქვს სპეციალური „საჰაერო ჯიბე“, რომელიც ფართოვდება და შესაბამისად, თავს აწევინებს ადამიანს 7,5 სანტიმეტრით. მეცნიერების დასკვნით, ეს საკმარისია იმისთვის, რომ გათავისუფლდეს სასუნთქი გზები. მომხმარებლის კომფორტისთვის ბალიშში ჩამონტაჟებულია აკუმულატორი, რომელიც ჩვეულებრივი სატენით იტენება. ასევე, ადამიანს შეუძლია თავად დაარეგულიროს მიკროფონის მგრძნობელობის დონე და მისი მოცულობა. ბალიშის შეძენა მომხმარებელს 149 დოლარად შეუძლია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სად წავიდა სილიკონის მკერდი?

**39 წლის ჩინელი ტიან ჰუი ფიქრობდა, რომ ქმარი პატარა მკერდის გამო ღალატობდა, ამიტომ სასწრაფოდ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.** თუმცა 2002 წელს გაზრდილი მკერდი ერთ მშვენიერ დღეს სადღაც გაქრა — ქალს იმპლანტები მუცელსა და ზურგზე ამოუვიდა. იმპლანტების ჩასმიდან 12 წლის შემდეგ სილიკონმა მოძრაობა დაიწყო. ქალის ძალისხმევის მიუხედავად, რომ იმპლანტები თავის ადგილზე „დაებრუნებინა“, ისინი მოძრაობას განაგრძობდნენ.

პლასტიკურმა ქირურგებმა ძველი იმპლანტები ახლით ჩაანაცვლეს და თავი იმით იმართლეს, რომ იმპლანტები ამჟამად აკრძალული პოლიკარილამიდის ჰიდროფილური ჟელეთი იყო დამზადებული და წლების შემდეგ ამიტომაც შეიცვალა ფორმა.





## ვისგან გარბის საფულე?

**იაპონელმა ინჟინრებმა შექმნეს საფულე, რომელსაც შეუძლია რევოლუცია მოახდინოს პირადი ხარჯების განკარგვის თვალსაზრისით.**

„ცოცხალი საფულე“ — ასე ჰქვია აქსესუარს, რომელიც მფლობელს ზედმეტი თანხების გაფლანგვის უფლებას არ მისცემს.

როგორც საფულის შემქმნელები აღნიშნავენ, გაჯეტი დაკავშირებულია მისი მესაკუთრის მობილურ მოწყობილობაში ჩაწერილ პირადი ბიუჯეტის დამგეგმავ აპლიკაციასთან. ის აგროვებს განსაზღვრულ ინფორმაციას მისი მფლობელის მსყიდველობითი ჩვევების შესახებ, შემდეგ განსაზღვრავს პატრონის მიერ მორიგი შენაძენის გაკეთების მიზანშეწონილობას. იმ შემთხვევაში, თუკი საფულის მფლობელის თანხა იწურება, მოწყობილობაში ირთვება სპეციალური დაცვის მექანიზმები. თავდაპირველად საფულე შეეცდება „გაექცეს“ პატრონს, თუკი დაიჭერენ, მოწყობილობა „ყვირილს“ იწყებს და, თუ მას კვლავ არავინ მოუსმინა, დახმარებას ითხოვს. ექსტრემალურ შემთხვევაში, საფულე მობილურზე განგაშის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს აგზავნის.

თუკი საფულის პატრონს ანგარიშზე საკმარისი რაოდენობის თანხა აქვს, ის რეკომენდაციებსაც იძლევა და Amazon-ის ინტერნეტმაღაზიის ყველაზე პოპულარული პროდუქტების შესახებაც ატყობინებს მფლობელს.



## რას გრძნობენ ორსული მამები?

**იაპონელმა მეცნიერმა ტაკაიუკი კოსაკამ ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა, რომელსაც „დედიკოს მუცელი“ დაარქვა.**

საკმარისია სხეულზე მისი მხოლოდ მიმაგრება, რომ მამაკაცმა ბავშვის ტარების სიმძიმე, რძის გამოყოფა და ნაყოფის ფეხების „ბაკუნი“ შეიგრძნოს. ორსულობის სიმულატორი უამრავი კომპონენტისგან შედგება და თავისი არსით ძალიან საინტერესოა, რადგან ჯერ მსგავსი არსად შექმნილა.

კოსაკას აზრით, თუ მამაკაცები ამ ტექნოლოგიას საკუთარ თავზე გამოცდიან, პარტნიორებს გაცილებით უკეთ გაუგებენ და დააფასებენ. გარდა ამისა, „დედიკოს მუცელი“ მათ დაეხმარებათ, ქალბატონებთან ერთად მეტი მონდომებით შეასრულონ სუნთქვითი ვარჯიშები, რითაც პარტნიორს თავიანთ მხარდაჭერას აგრძნობინებენ.

# პენტაგონი მანქანებს ფრენას ასწავლის



**კალიფორნიული კომპანია Advanced Tactics, Inc საკუთარი ტრანსფორმერის გამოცდას აგრძელებს. უცნაური სატრანსპორტო საშუალება AT Black Knight, რომელიც ერთდროულად ავტომობილისა და შვეულმფრენის შესაძლებლობებს ითავსებს, პირველად აფრინდა ჰაერში. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, პირველი ფრენისას Black Knight (შავი რაინდი) მიწიდან დისტანციურად იმართებოდა.**

შერწყმული შესაძლებლობების მქონე სატრანსპორტო საშუალება პენტაგონის პერსპექტიული კვლევების სააგენტო DARPA-ს დაკვეთით შეიქმნა. პროექტი სახელად ARES ითვალისწინებს სამხედრო დანიშნულების ისეთი ჰიბრიდული სატრანსპორტო საშუალების შექმნას, რომელიც ფართო სპექტრის ამოცანების გადაჭრას შეძლებს. პერსპექტივაში, „შავი რაინდის“ მოვალეობებში რთულად მისადგომ ადგილებში ტვირთის, პირადი შემადგენლობისა და ტყვია-წამლის გადატანა, დაჭრილთა ევაკუაცია შევა.

**სახიფათო მისიების დროს რისკის შესამცირებლად პილოტი „შავი რაინდის“ მართვას მიწიდან, დისტანციურად განახორციელებს.**

მფრინავ ტრანსფორმერს რვა ხრახნი აქვს, რომელთა ფუნქციონირებასაც საბორტო კომპიუტერი აკონტროლებს. 9,5 მ-ის სიგრძის Black Knight მხოლოდ 1995 კგ-ს იწონის. შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მისი გამოყენება არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო-სამაშველო მიზნებითაც შეიძლება.

მიწაზე მოძრაობისას, ტრანსფორმერი 112 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს და გადაადგილება უგზოობის დროსაც შეუძლია.

**მფრინავი ავტომობილის შექმნას მანამდეც ცდილობდნენ. სლოვაკურმა პატარა ავტოკომპანიამ რამდენიმე ხნის წინ საკუთარი მიღწევა ფართო საზოგადოებას წარუდგინდა. ეს არის მფინავი ავტომობილი Aeromobil 2.5, რომლის სატესტო ფრენაც ახლახან წარმატებით განხორციელდა, თუმცა ავტომობილი 10 მეტრზე მაღლა ვერ აფრინდა, აგრეთვე, ჰაერში ყოფნის დროს მაღალი იყო მანქანის ვიბრაციის მაჩვენებელი.**

ავტომობილის პროექტირებაზე მუშაობდა საავტომობილო დიზაინერი შტეფან კლეინი, რომელსაც მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს Audi-სთან, BMW-სა და Volkswagen-თან. შტეფან კლეინმა დაახლოებით 20 წელი მოანდომა

## სახიფათო მისიების დროს რისკის შესამცირებლად პილოტი «შავი რაინდის» მართვას მიწიდან, დისტანციურად განახორციელებს



მისი ჩანაფიქრის განხორციელებას. ამ თანამედროვე ავტომობილის შექმნამდე მან რამდენიმე მსგავსი პროტოტიპიც კი დაამზადა, თუმცა საბოლოო სახე სწორედ ამ მფრინავმა მანქანამ მიიღო.

Aeromobil 2.5-ს დასაკეცი ფრთები აქვს, რომლებიც გზაზე მოძრაობისას ავტომობილის გასწვრივ იკავებს ადგილს. რაც შეეხება ავტომობილის ზომებს, მანქანის სიგრძე 6 მ-ს აღწევს, სიგანე (დაკეცილი ფრთებით) — 1.6 მ, ფრთაშლილობა 8.2 მ-ს აღწევს, ხოლო წონა — 450 კგ-ს. ის აღჭურვილია Rotax 912 ძრავით, რომელსაც უკან განთავსებული პროპელერიც მოჰყავს მოძრაობაში. ძრავის სიმძლავრე 100 ცხენის ძალაა.



მას თხევადი გაგრილების სისტემა ემსახურება. Aeromobil 2.5-ის მაქსიმალური სიჩქარე გზაზე მოძრაობისას 160 კმ/სთ-ს აღწევს, ჰაერში კი მისი სიჩქარე 200 კმ/სთ-ია. ფრენის სიშორე 700 კმ-ს უდრის.

როგორც ცნობილი გახდა, შტეფან კლეინი აღნიშნული ავტომობილის ახალ ვერსიაზე — Aeromobil 3.0-ზე მუშაობს. ამ ვერსიაში, სავარაუდოდ, გამოსწორებული იქნება ის ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც 2,5 ვერსიას აღმოაჩნდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## Tefal

კომპანია დარწმუნებული იყო, რომ მათი გეგმა გაამართლებდა, როდესაც საერთო ბაზარზე გამოუშვებდა ქვაბებსა და ტაფებს, რომელთა ზედაპირი ნივთიერება „ტეფლონით“ იქნებოდა დაფარული. ეს დიასახლისებს საშუალებას მისცემდა, ნაკლებზეთიანი ან საერთოდ უცხიმო სადილი მოემზადებინათ და შემდეგ ქვაბისა და ტაფის გარეცხვით ხელები არ დაესისხლიანებინათ. მთელი საიდუმლო ისაა, რომ საჭმლის ნაწილაკები მას არ ეკვრის. ექსპერიმენტმა ძალიან მალე გაამართლა და გაყიდვებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.




# პროდუქცია, რომელიც ყველაზე კარგად იყიდება

**გამოკითხვების თანახმად, მსოფლიოში ყველაზე კარგად იყიდება წარმატებული მარკეტინგის მქონე ბრენდები. რეალიზაციის თვალსაზრისით, მათ ბადალი არ აქვს.**

## Chupa Chups




ეს ყველა მშობლის „მტერი“ და ყველა პატარას საყვარელი კანფეტია. თავდაპირველად ეს კანფეტები ჩხირის გარეშე იყო და ბავშვების მთლიანად „გატკბილვის“ ალბათობა, რაღა თქმა უნდა, გაცილებით დიდი იყო. Chupa Chups-ის ამჟამინდელი სახით გამოშვება კი აზრად მოუვიდა ენრიკე ბერნატსს, დიზაინი და ლოგო კი თვით სალვადორ დალიმ შეიმუშავა. ექსპერიმენტმა ძალიან მალე გაამართლა და ბრენდს მსოფლიო პოპულარობაც მოუტანა.




## Red Bull

მატონიზირებელი და სტიმულანტი სითხე დღეს ერთ-ერთი პოპულარული ბრენდული კოქტეილია.




**IKEA**

თავდაპირველად ეს ავეჯის სახლი მხოლოდ აშშ-ში იყო პოპულარული, ამერიკელებს მისი დიზაინი მოსწონდათ, თუმცა ავეჯის გაბარიტები მათი სახლის პროპორციებში ვერ ეტეოდა. სწორედ გაბარიტებზე მოუხდა „სახლს“ მუშაობა, რამაც ნაყოფი გამოიღო და ის ერთ-ერთი აღიარებული ავეჯის სახლია დღეს მსოფლიოში.




## Camel

ეს სიგარეტი ამერიკაში გაჩნდა. მისმა მწარმოებელმა ერთ-ერთმა კომპანიამ გააცნობიერა, რომ აქლემი სწორედ ის სარეკლამო-სახასიათო ფიგურაა, რომელიც არსებით გავლენას იქონიებდა რეალიზაციაზე და მის გამოშვებამდე კომპანიამ დახლართა ინტრიგა — პირველ დღეს ამერიკის 90 ქალაქში გაუშვა რეკლამა „ხვალ ჩვენს ქალაქებში იმაზე მეტი აქლემი გამოჩნდება, ვიდრე აფრიკასა და აზიაშია“. დაინტრიგებული მოსახლეობა მეორე დღისთვის ნამდვილ აქლემებს ელოდა, თუმცა მეორე დღეს აქლემები არსად ჩანდნენ, სამაგიეროდ გაისმა ახალი განცხადება: „სიგარეტი Camel-ი უკვე აქ არის!“. სარეკლამო აქცია საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და თამბაქოს თითქმის ყველა მომხმარებელი სწორედ Camel-ს ყიდულობდა.




## Alka Seltzer

როგორ აიძულებენ მომხმარებელს, გამოიყენოს ესა თუ ის პროდუქცია 2-ჯერ ზედიზედ? 1960 წელს თავდაპირველად გამოჩნდა „ნაბახუსევის საწინააღმდეგო“ აბები, და ვინაიდან ორის ერთად მოხმარება იყო რეკომენდებული, გაყიდვებიც პირდაპირ ორმაგად დაიწყო.




## Pepsi

ამბობენ, რომ საერთო ბაზარზე „პეპსის“ რეალიზაცია „კოკა-კოლას“ რეალიზაციას აჭარბებს. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ, როდესაც „კოკა-კოლას“ გაყიდვები 170 მილიონ ბითლს ითვლიდა, „პეპსი“ უკვე 340 მილიონ ბოთლს ყიდდა. ახლა „კოკა-კოლას“ პლასტიკური ბოთლი 0,5 მლ-ნია, „პეპსის“ ანალოგი კი — 0,66 მლ-ნი.




## Mallboro

ის თამბაქოთა შორის პირველია, რომლის კოლოფიც დასაკეცთავიანი გახადეს. ამან უფრო მოსახერხებელი გახადა სიგარეტის ჯიბით ტარება, ვინაიდან თამბაქოს გაფუჭების ან ჯიბეში ჩაბნევის ალბათობა თითქმის განულდა. ასეთმა დიზაინმა გაყიდვებზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა.










## Absolut Vodka

მისი წარმოება 1978 წლიდან დაიწყო და მართლაც განსხვავდებოდა სისუფთავითა და სხვა სტანდარტებით დანარჩენი სერიოზული სასმელებისგან.







**Snickers**

შეუდარებელი ტკბილეული, რომელსაც ყველა ასაკის მოყვარული ჰყავს და სრული დანაყრების ეფექტი აქვს, დღემდე უცვლელად ფართოდ გაყიდვადი ბრენდია.




## ჰაკერები პერსონალურ ინფორმაციას იპარავენ

**კიბერდანაშაული საგანგაშო მასშტაბებს იძენს, — განცხადებას და გაფრთხილებას ამის შესახებ ევროპოლიცია ავრცელებს. ჰაკერები კომპიუტერებიდან და ტელეფონებიდან, უსადენო ინტერნეტის საშუალებით, პერსონალურ ინფორმაციას იპარავენ.** აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მიწოდებული WiFi-ს საშუალებით შესაძლებელია საბანკო მონაცემების, პაროლებისა და სხვა პირადი ინფორმაციის ისე მოპარვა, რომ ამის შესახებ ადამიანები ვერაფერს იგებენ. სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულის რაოდენობა იზრდება საქართველოშიც. რამდენიმე დღის წინათ პოლიციამ დააკავა მოქალაქე, რომელიც ტოტალიზატორ „ლიდერბეთის“ ვებგვერდის მომხმარებელთა თანხებს იპარავდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადგილები, სადაც არავინ შეგიშვებთ

**დედამიწის დიდი ნაწილი ღიაა ტურისტებისა და მოგზაურებისთვის. საკმარისია მხოლოდ სურვილი და შესაძლებლობა და თქვენ შეგიძლიათ მოხვდეთ პლანეტის თითქმის ნებისმიერ ადგილას. თუმცა არსებობს ისეთი ადგილებიც, რომლებშიც არ შეგიშვებენ სხვადასხვა გარემოებათა გამო, რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა გქონდეთ ამ დახურულ ტერიტორიებზე მოხვედრისა.**



## ლასკოს გამოქვაბული საფრანგეთში

ლასკოს გამოქვაბულს მეორენაირად „პირველყოფილი მხატვრობის სიქსტის კაპელას“ უწოდებენ. მხატვრული და გრავირებული სურათები მის კედლებზე ჩვენს ერამდე 18-15 ათასწლეულის წინაა შესრულებული. თავიდან გამოქვაბული ყველა ტურისტისთვის ღია იყო, მაგრამ შეიქმნა ნახატების წაშლისა და განადგურების საშიშროება, ამიტომ 1960 წელს ხელისუფლებამ გამოქვაბული დახურულად გამოაცხადა. სამაგიეროდ შეიქმნა მისი ზუსტი ასლი, რომლის მონახულებაც შეუძლიათ ტურისტებს.



## კუნძული პოვეგლია

ტურისტებს ოფიციალურად აქ შესვლა ეკრძალებათ, მაგრამ ბევრი ცნობისმოყვარე და მისტიკის მოყვარული ამას მაინც ახერხებს. საქმე ისაა, რომ კუნძულთან დაკავშირებულია საშინელი ისტორია: XVI საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიის დროს აქ მოჰყავდათ ავადმყოფები და მათ სხეულებს წვავდნენ, რათა ეპიდემია შეეჩერებინათ. 1922 წელს კუნძულზე გაიხსნა ფსიქიატრიული საავადმყოფო, რომელზეც საშინელი ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ, რომ მთავარი ექიმი ცდებს ატარებდა ავადმყოფებზე. მედპერსონალი და პაციენტები მუდმივად ხედავდნენ კოშმარებს და შიშისგან იტანჯებოდნენ. კუნძულს მეტსახელად „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ უწოდეს. საბოლოოდ კუნძული მიტოვებული და უდაბური გახდა და მეთევზეებიც კი შორიახლო შიშით ჩაუვლიან ხოლმე.



## ისეს დიდი ტაძარი იაპონიაში

ეს არის იაპონიის მნიშვნელოვანი სინთოისტიკური წმინდა რელიქვია. ისე-ძინგუში ინახება მნიშვნელოვანი ეროვნული საგანძური, მათ შორის წმინდა სარკე, რომელიც საიმპერატორო რეგალიას წარმოადგენს. მთავარი ტაძარი შემოსაზღვრულია მაღალი ხის ღობით. აქ შესვლა შეუძლია მხოლოდ უმაღლესი რანგის მღვდელმსახურებს და საიმპერატორო ოჯახის წევრებს. საკერპოს ძირითად ნაწილს კი იცავს ოთხმაგი ხის ღობე და აქ შესვლა მხოლოდ იმპერატორს და მის მეუღლეს შეუძლიათ.



## ვატიკანის საიდუმლო საცავები

ეს არის შუა საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე ვატიკანის საარქივო საბუთების ნაკრები. არქივი გასაიდუმლოებულია, რადგან წარმოადგენს რომის პაპის პირად საკუთრებას. დაშიფრული წერილები, ხელნაწერები და კოდექსები იკავებს 85 კმ სიგრძის თაროებს. გადაუმოწმებელი ცნობების თანახმად, ამ თაროების 40 კილომეტრი სავსეა მსოფლიოში უდიდესი და უზუსტესი ოკულტური ლიტერატურით. ტურისტებისათვის აქ შესვლა აკრძალულია, თუმცა მეცნიერებს შეუძლიათ ზოგიერთ საბუთთან მუშაობა, თუკი მათ აქვთ სპეციალური ნებართვა.




## ციანზუს ეროვნული უსაფრთხოების შემეცნებითი ინსტიტუტი

ამ მუზეუმში ინახება ჩინეთის ჯაშუშობის საიდუმლო მასალები. აქ არის მინი-რევოლვერების, ტუჩის საცხის ფლაკონში ჩამონტაჟებული მიკროპისტოლეტების, ნიღბებისა და ჯაშუშობისთვის საჭირო სხვა ინვენტარის კოლექცია. თუ თქვენ ჩინეთის მოქალაქე არ ხართ, აქ შესვლა აკრძალული გაქვთ, რადგან ჩინელებს არ სურთ, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს უცხოელებისთვის. ინსტიტუტის ტერიტორიაზე ფოტოგადაღება ნებისმიერი ადამიანისთვის სასტიკად აკრძალულია, თუნდაც ის ჩინეთის მოქალაქე იყოს.




## პაინ-გეპი

ეს არის ერთადერთი ადგილი ავსტრალიაში, რომელზეც შესვლა აკრძალულია. ის მდებარეობას ქალაქ ალის-სპრინგსიდან 18 კმ-ის დაშორებით. აქედან ხორციელდება თანამგზავრული დაცვის მართვა. პაინ-გეპში მუშაობს ამერიკის ფედერალური დაზვერვის 1000-ზე მეტი თანამშრომელი. ობიექტი ცნობილია, როგორც აშშ-ის რადიოელექტრონული დაზვერვის საზღვარგარეთ მდებარე ყველაზე დიდი სადგური. სწორედ აქედან კონტროლდება ამერიკის სადაზვერვო თანამგზავრები. რა თქმა უნდა, ტურისტების ადგილი აქ ნამდვილად არაა.



## «ზონა-51»

ეს არის აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ლეგენდარული ბაზა, რომელიც ნევადის უდაბნოში მდებარეობს. ამ ადგილის შესახებ დადის ლეგენდები, რომ აქ ინახება უცხო პლანეტელების მფრინავი თეფშები და, აგრეთვე, მათი სხეულები. როგორც კი ზონას ვინმე მიუახლოვდება, ტერიტორიის დაცული ზონის დასაწყისში გამოკრული უზარმაზარი აბრა ამცნობს, რომ აქ სამხედროებს შეუძლიათ გაუფრთხილებლად ცეცხლის გახსნა.



## კუნძული ნიიჰაუ

ნიიჰაუ სიდიდით მეშვიდეა ჰავაის კუნძულებიდან. აქ არ არის გზები, ელექტროსადგურები, წყალგაყვანილობა, რესტორნები და მაღაზიები. სამაგიეროდ, ეს მსოფლიოში ერთადერთი ადგილია, სადაც მდებარეობს სკოლა, რომელიც ელეტროენერგიის მისაღებად მზის ენერგიას იყენებს. 1864 წელს კუნძული შეიძინა რობინსონების ოჯახმა. 1915 წელს მათ კუნძული დამთვალიერებლებისთვის დახურეს, რათა შეენარჩუნებინათ მისი პირველყოფილი კულტურა და ბუნება. კუნძულის მცხოვრებლების ნათესავებსაც კი სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალული ჰქონდათ მისი მონახულება. დღეს კუნძულზე ვიზიტი აკრძალული აქვს ყველას, გარდა მისი მეპატრონის, ადგილობრივი მცხოვრებლების, აშშ-ის საზღვაო ფლოტის და განსაკუთრებით მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა. მან მიიღო „აკრძალული კუნძულის“ სახელწოდება.



## ბირთვული კვლევების ცენტრი ნეგევის უდაბნოში

ბირთვული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მდებარეობს ისრაელის ქალაქ დომინიდან 13 კმ-ის დაშორებით. მისი მშენებლობა დაიწყო 1958 წელს. ლეგენდის თანახმად, თავდაპირველად აქ საქსოვი ფაბრიკა იყო. 1986 წელს მორდეხაი ვანუნუ, ყოფილი მთავარი ტექნიკური სპეციალისტი, გაიქცა ბრიტანეთში და საქვეყნოდ აჩვენა მტკიცებულებანი ისრაელის ბირთვული პროგრამის არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, საჰაერო სივრცე ყველა ტიპის თვითმფრინავისთვის დაკეტილია, ხოლო ტერიტორიას მკაცრი დაცვა აკონტროლებს. ინფორმაცია ობიექტის შესახებ გასაიდუმლოებულია.

# ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან ვახტანგ მაჭავარიანი ორ ამპლუაში წარსდგება

**30 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტს გამართავს. ორკესტრს უდირიჟორებს ცნობილი ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, თუმცა ამ სალამოზე ის, როგორც კომპოზიტორიც, წარსდგება აუდიტორიის წინაშე, ვინაიდან ვაგნერის ოპერის „რიენცის“ უვერტიურასთან, ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაის“ II მოქმედების II სცენის შესავალთან, ვახტანგ მაჭავარიანის მიერ გაორკესტრებული სერგეი პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის III ნაწილთან (პირველი შესრულება საქართველოში, ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის ხსოვნას) ერთად, გაიმართება ვახტანგ მაჭავარიანის პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონია“ პრემიერა (სიმფონია ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს).**



ბოლო წლების მანძილზე ვახტანგ მაჭავარიანი საზოგადოებამ კომპოზიტორის ამპლუაშიც გაიცნო, როდესაც მან მსმენელს წარუდგინა თავისი ნაწარმოებები — კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, სიმფონიური პოემა „ნაცარქექია“, ამჯერად კი შედგება პირველი სიმფონიის პრემიერა.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესოა პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონია“ ავტორისეული ხედვა: „პირველი სიმფონიის შექმნა გადავწყვიტე კლასიკური სტრუქტურით, ანუ ოთხ ნაწილად, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ პირველი სიმფონისტები და როგორც ეს გრძელდებოდა (გამონაკლისის გარდა) XX საუკუნემდე. ოთხნაწილიანი ფორმა არ წარმოიშვა შემთხვევით. მისი ფესვები ანტიკურ ხანაშია, დაკავშირებულია მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარებასთან, რომელიც მუდამ მჭიდრო კავშირში იყო მუსიკის განვითარებასთან.

**ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით 160 წელს ალექსანდრიაში ცხოვრობდა დიდი მეცნიერი, წარმოშობით არაბი, სახელად პტოლომეუსი. თანამედროვენი მას უწოდებდნენ კლავდიუსს პტოლომეუსიდან. იგი მუშაობდა თემაზე, რომელშიც სამყაროს ცენტრად წარმოდგენილია დედამიწა. ეს თეორია შემდგომ ქრისტიანობაშიც ვითარდება. პტოლომეუსი იყო არისტოტელეს ფილოსოფიისა და მეცნიერების უზადო მცოდნე.**

არისტოტელემ დაყო სამყარო ორმაგობად — ორგვაროვნებად და ამით დასვა „ყოფნა-არყოფნის“ კითხვა. ორმაგობამ კი წარმოშვა დუალიზმი, რომელშიც ციფრი ოთხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ ემპედოკლეს დროიდან (495-435 ძვ. წ. აღ.), რომელმაც გვაუწყა ოთხი ელემენტის შესახებ: ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი, რომლებისგანაც შედგებიან საგნები ან არსებანი, დაიწყო ფილოსოფიურ-მეცნიერული მსჯელობა ციფრ 4-ზე. შემდგომ ჰიპოკრატემ განმარტა, რომ სიცოცხლეს ეკუთვნის: სისხლი, ნერწყვი, შავი და ყვითელი ნაღველი, აქაც ფიგურირებს რიცხვი 4. პლატონისთვის გადამწყვეტი იყო ოთხი თვისება: სიმამაცე, ჭკუა, სამართლიანობა და თავდაჭერილობა. არისტოტელესთან ეს ოთხი გამოიხატება 4 კაუზაში: მასალა, ფორმა, გეგმა, მიზანი (ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფინალიზაციას). პითაგორელები აღმერთებდნენ ციფრ 4-ს და შექმნეს მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო „ტეტრაქტისის“ ფორმაში. ეს არისტოტელესთვის იქცა საფუძვლად, რათა ამ იდეალზე აეგო ოთხი კაუზის თეორია. შემდგომში აღნიშნულ თემას ავითარებენ ევკლიდე, არქიმედე და ჰიპარქოსი. ახალი წელთაღრიცხვის ხანაში მეცნიერების ეპიცენტრმა გადაინაცვლა არაბულ სამყაროში. პტოლომეუსი მუშაობდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, სადაც მან შექმნა ნაშრომი სახელწოდებით „ჰარმონია“ და იგი შეიძლება ჩაითვალოს მუსიკის თეორიის პირველ სახელმძღვანელოდ. აქ ბგერათა წყობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტმებს, განსაკუთრებით კი რიტმს 4/4-ზე. პტოლომეუსის ნაშრომებით მოიხიბლა დიდი გერმანელი მეცნიერი იოჰანეს კეპლერი. XVII საუკუნის სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი მონაწილე კეპლერი სხვა შრომებთან ერთად ქმნის ნაშრომებს „Astronomia Nova“ („ახალი ასტრონომია“), „Harmonices Mundi“ („სამყარო ჰარმონია“), რომლებშიც იგი ადარებს კოსმოსს მუსიკალურ ჰარმონიას. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ჩემს პირველ სიმფონიას. პტოლომეუსი ხსნის კოსმოსისა და მუსიკალური ჰარმონიის არსს, მათ კავშირს ნაშრომში „დიდი ხელოვნება“. მასში საუბარია პლანეტათა მოძრაობისა და მუსიკალური ჰარმონიის კავშირზე. სრულიად ნათელია, რომ მუსიკაზე განსჯისას შეუძლებელია დაყრდნობა ცალმხრივად ციფრებზე, მათემატიკაზე და მეცნიერებაზე მთლიანობაში. შემთხვევით არ მომყავს ამ წერილის დასაწყისში ღვთაებრივი პლატონი, რომელიც მუსიკას და პოეზიას უწოდებს ფრთოსანს, მოფრენილს იდეათა სამყაროდან. დიახ, მუსიკა არის აჟღერებული იდეა, მეტყველი იდეა და მეტყველი სული, მაგრამ უდავოა, რომ მისი ერთ-ერთი კომპონენტი რიცხვია, რაც, პირველ რიგში, მის რიტმთანაა კავშირში, ასევე — მის ფორმასთან. აქ მინდა მოვიყვანო იმ ადამიანის სიტყვები, რომელმაც შეძრა არამარტო მეცნიერება, არამედ თვით ეკლესიაც, „აამოძრავა პლანეტები“. კოპერნიკის საქმისა და იდეების გამგრძელებელმა, მუსიკის თეორეტიკოსის შვილმა, თვით მუსიკოსმა და ფლორენციაში ოპერის დაბადების ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა თანამონაწილემ, გენიალურმა გალილეო გალილეიმ 1623 წელს ბრძანა: „ბუნების წიგნის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ გაიგებ მის ენას და ასოებს, რომლითაც იგი მეტყველებს და წერს. იგი დაწერილია მათემატიკური ენით, ხოლო ასოებს წარმოადგენენ სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები და ფორმები. ამ დამხმარე ხელსაწყოების გარეშე ადამიანებს არ ძალუძთ ამ წიგნიდან ერთი სიტყვის გაგებაც კი“.

იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც, რომელსაც ჰყავდა კიდევ ერთი გენიალური თაყვანისმცემელი ისააკ ნიუტონის სახით, რომელმაც 1675 წელს წარმოადგინა ჰიპოთეზა შუქის წარმოშობის შესახებ. მან ფიზიკის თეორია გეომეტრიის მეშვეობით განმარტა და ამით კოსმოსის ფუნქციონირების საკუთარი მოდელი შექმნა, რომელიც მხოლოდ აინშტაინამდე შენარჩუნდა. ნიუტონი ადგენს, რომ მზის შუქი არის არა თეთრი, არამედ მრავალი ფერის ნარევი. ასე გამოჰყო მან 7 ფერი და საკითხში უფრო ჩაღრმავებისას დაინტერესდა საგანთა — არსთა ჰარმონიით, რომელიც შეადარა 7 პლანეტას მზის სისტემაში და დაუკავშირა 7 მუსიკალურ ბგერას. მუსიკალური ბგერების თანახმად, ნიუტონმა ფერები ასეთი წყობით წარმოგვიდგინა: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იასამნისფერი. ამასთან, შესაბამისობაში მოჰყავს 7 ბგერაც შემდეგი თანმიმდევრობით: D-E-F-G-A-B-C და განმარტავს, რომ ფერთა წყობის განლაგებაში მას დაეხმარა მუსიკალურ ბგერათა წყობა.

XIX საუკუნის უდიდესი ინგლისელი მეცნიერი, მაგნიტური ველის აღმომჩენი — მაიკლ ფარადეი, შეკითხვაზე, თუ როგორია ეს მაგნიტური ველი, უპასუხებს: მოგისმენიათ ბეთჰოვენი? ფარადეი წერს, რომ იგი მუდამ თავის ინტუიციას ეყრდნობა და ამ ინტუიციის მეშვეობით მიხვდა იმას, რასაც მაშინ სახელიც კი არ ჰქონდა და ეს არის მაგნიტური ველი.

არაერთხელ გამიგონია მამაჩემისგან, რომ ინტუიცია გადამწყვეტია კომპოზიტორის შემოქმედებაში. აქ იკვრება წრე: ინტუიცია, იდეა, აზროვნება — ფილოსოფია და მეცნიერება — მათემატიკას შორის, რაც შემოქმედების საწინდარია. ამ სულისკვეთებით შეიქმნა ჩემი სიმფონია“, — წერს ვახტანგ მაჭავარიანი.

**ვახტანგ მაჭავარიანს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და აკავშირებს საქართველოსა და მსოფლიოს ცნობილ კოლექტივებთან, რომელთან ერთად გამართული აქვს კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორიცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ავსტრალია, იტალია, თურქეთი, სერბეთი, შვეიცარია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საბერძნეთი, ისრაელი, რუსეთი, ხორვატია, უკრაინა, სომხეთი, სინგაპური, ტაივანი, ბრაზილია და სხვა.** ამჟამად იგი თანამშრომლობს ბელგიის ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრთან. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს კონცერტები გერმანიასა და აშშ-ში.

**ვახტანგ მაჭავარიანი წლების მანძილზე თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრთან. საოპერო დადგმები განხორციელებული აქვს გერმანიაში, მოსკოვის დიდ თეატრში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ლატვიასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში. იგი არის შოტლანდიის საოპერო თეატრის მიწვეული დირიჟორი.**

1984-1991 წლებში ვახტანგ მაჭავარიანი იყო მარიას თეატრის მთავარი მიწვეული დირიჟორი, 1990-2001 წლებში მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთან ერთად არა ერთხელ გამართა გასვლითი კონცერტები საზღვარგარეთ. 1996-2004 წლებში იყო საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2001-2008 წლებში კი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის — „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

2011 წლიდან ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან, რომელთან ერთადაც შესრულებული აქვს შოსტაკოვიჩის სიმფონიები № 7, 9, 10, 12; მალერის სიმფონია № 3; ბეთჰოვენის სიმფონიები № 2, 5, 6; მოცარტის სიმფონია № 39. 2013 წელს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშრებით მან იდირიჟორა კომპოზიტორის მეორე სიმფონია. ამავე წელს ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით შესრულდა რიხარდ ვაგნერის ოპერები „ტრისტან და იზოლდა“ და „ლოენგრინი“, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქი და გერმანელი საოპერო მომღერლები.

**2013 წლის 28 და 30 ივნისს ვახტანგ მაჭავარიანმა, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვერონას რომაულ ამფითეატრში (ARENA DI VERONA) იდირიჟორა ვერდის „ტრუბადური“ საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით.**

2013-2014 წლებში ვახტანგ მაჭავარიანმა კონცერტები გამართა პეტერბურგის მარიას თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან. ამავე დროს თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგა ანკარაში, აშშ-ში, კანადასა და ჩინეთში.

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;**
**ტ. 218-46-08 ოფისი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894